ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2016 წელი, 25 ოქტომბერი, №17-18 (6431)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი

## TNA-ის პროექტის ფარგლებში ფოკუს ჯგუფთან შეხვედრა გაიმართა



გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ასოციაციის CiZ-ის ინიციატივით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს (EPA) მხარდაჭერით მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს შედგა TNA-ის პროექტის ფარგლებში ფოკუს ჯგუფთან შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ საქართველოში ქაღალდის მწარმოებელი კომპანიების ხელმძღვანელები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

TNA – არის ევროკავშირის სააგენტოს, ევროპის ტრენინგების ფედერაციის (ETF) მექანიზმი, რომელიც მიმართულია სამიზნე ქვეყანაში კომპანიების საჭიროებების შეფასებაზე, ადამიანური რესურსების შესაძლებლობებისა და საჭირო ტრენინგების ჩატარების თვალსაზრისით.

საქართველოში ქაღალდს თუ აწარმოებდნენ ადამიანთა უმრავლესობისათვის ცნობილი არ იყო. უფროსი თაობის წარმომადგენლებს კარგად გვახსოვს ქაღალდის მწარმოებელი საწარმო „ენგურის“ სახელწოდებით, რომლის პროდუქცია წიგნებისა და საწერი რვეულების სახით საბჭოთა ეპოქის მოსწავლეთა ატრიბუტებს წარმოადგენდა. სამწუხაროდ დღეს ამ საწარმოდან ნანგრევებიღა არსებობს.

ქაღალდის მწარმოებელი საწარმოებიდან „ეოპრინტ“ და „ქაღალდი +“ ძირითადად მაკულატურის გადამუშავებაზეა ორიენტირებული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ქაღალდის პროდუქციას აწვდიან მომხმარებელს. შეხვედრას ესწრებოდა „ჯორჯია კარტონ“-ის მენეჯერი მაკა ჯალიაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მათი კომპანია ახლად შექმნილია და მიმდინარეობს ტექნიკური აღჭურვილობის მონტაჟი.

შეხვედრა გახსნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მონიტორინგის, ანალიზისა და შეფასების დეპარტამენტის უფროსმა, ანალიტიკოსმა ბოკა ტაბატაძემ.

შემდგომ შეხვედრა მიჰყავდა მოდერატორის მიერ მოწვეულ ექსპერტს დავით ჩიქოვანს. მან კომპანიათა ხელმძღვანელები ალაპარაკა ხელისშემშლელ პრობლემებზე, რომლებიც მათ საწარმოებში არსებობს.

გამოიკვეთა, რომ განიცდიან კვალიფიციური კადრების ნაკლებობას კერძოდ, არა ყავთ ქაღალდის წარმოების ტექნოლოგები და კვალიფიციური მუშები. ასევე აღინიშნა, რომ უჭირთ გამოშვებული პროდუქციის ექსპორტი მეზობელი სომხეთის რესპუბლიკაში და ა. შ.

შეხვედრას ესწრებოდა სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორი ნოდარ ხარაზიშვილი, რომელმაც აღნიშნა – გლდანში თანამედროვე სტანდარტების პროფესიული კოლეჯი ფუნქციონირებს, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ტექნიკური დარგების მიმართულებით ისეთ მოთხოვნად პროფესიებს დაეუფლონ როგორიცაა: მძიმე სამშენებლო ტექნიკის (ავტოგრეიდერის, სატვირთველისა და ჰიდრავლიკური ექსკავატორის) ოპერატორი, ელექტრიკოსი, სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი, ბუღალტერი და სხვა. კოლეჯში პროფესიის ათვისება ყველა ასაკის მსურველს შეეძლება.

ახალი პროფესიული კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ინვენტარით არის აღჭურვილი. გლდანში პროფესიული ცენტრის გახსნის მიზანი თბილისის გარეუბნებში მცხოვრები მოსახლეობის გადამზადება და მათი დასაქმებისათვის ხელშეწყობაა.

დღეისათვის პროფესიული განათლება სახელმწიფო პრიორიტეტს წარმოადგენს, შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების განვითარების კუთხით მნიშვნელოვან რეფორმებს ატარებს. სამიმისტრო ზრუნავს როგორც კოლეჯების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციაზე, ასევე იმაზე, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მომზადებული კადრები შრომის ბაზრის მოთხოვნებს პასუხობდნენ.

თემაზე „საქართველოს სამწერველო პალატის აქტივობები კერძო სექტორის მხარდასაჭერად“ ვრცლად ილაპარაკა საქართველოს სამწერველო პალატის საერთაშორისო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ვეკუამ.

ფოკუს ჯგუფების შედგენის ძირითად მიზნებზე ილაპარაკა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამების ექსპერტმა რატი ანჯაფარიძემ, რომელმაც ხაზგასმით მიანიშნა, რომ TNA-ის პროექტის ქვეშ კვლევის შედეგად შეგროვებულ რაოდენობრივ მონაცემებს შევაჯერებთ ფოკუს ჯგუფებისაგან მიღებულ ხარისხობრივ მონაცემებთან. ამასთანავე, ეს შეხვედრები საშუალებას მოგვცემს განვიხილოთ ის საკითხები, რომლებიც გაურკვეველი დარჩა კვლევის ამ ეტაპამდე.

განხილული საკითხების ირგვლივ გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს შპს „Neoprint“-ის დირექტორმა არჩილ მთვარაძემ, შპს „ქაღალდი +“ დირექტორმა რამაზ გვალიამ, იურისტების სამყაროს წარმომადგენელმა ვახტანგ შატირიშვილმა და სხვებმა.

**ალექსანდრე გიგილოშვილმა**

## არის თუ არა განსხვავება ფასიან და უფასო ვაქცინებს შორის – რა უნდა იცოდეს მშობელმა შვილის აცრის შესახებ

„ყველა ვაქცინა, რაც საქართველოში შემოდის სახელმწიფო პროგრამით, მაღალი ხარისხისაა და აბსოლუტურად უსაფრთხოა“ – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „ჩემი კითხვა“ ე.წ. ფასიან და უფასო ვაქცინებთან დაკავშირებით დასმული შეკითხვის პასუხად განაცხადა.

ფასიანი და არაფასიანი ვაქცინების შესახებ ხშირად არის საუბარი, დისკუსია. მინდა მოსახლეობას მივაწოდო ინფორმაცია, რომ ვაქცინაცია, იმუნიზაცია, ანუ აცრები, რომელსაც ჩვენ უბრალო ენაზე ვეძახით, გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-ჯანდაცვითი ინტერვენცია, რომელიც პრევენციას უკეთებს ბევრი ინფექციური დაავადების განვითარებას. მედიცინის ისტორიაში ვაქცინაციაზე უფრო მნიშვნელოვანი ინტერვენცია ჯერჯერობით არ არის“, – განაცხადა გამყრელიძემ.

როგორც გამყრელიძემ აღნიშნა, დღეს საქართველოში არსებობს ეროვნული კალენდარი, რომლის მიხედვითაც ტარდება ვაქცინაცია 12 ინფექციის საწინააღმდეგოდ. მისივე თქმით, იყო 10, თუმცა ბოლო სამ წელიწადში ინფექციის საწინააღმდეგო ორი ვაქცინაცია დაამატეს.

„ეს არის აუცილებელ-რეკომენდებულ ვაქცინაციათა კალენდარი, რომელიც ყველა სამედიცინო დაწესებულებაში ხელმისაწვდომია. ასევე წელს გვქონდა ერთ-ერთი ინოვაცია, რომ ეს კალენდარი და ის, თუ რა ვაქცინებით ვაწარმოებთ ქვეყანაში ვაქცინაციას, ხელმისწვდომია სმარტფონებზე. ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალური აპლიკაცია და ყველა დედისთვის, ვინც მშობიარობს, ხელმისწვდომია, რათა მან აპლიკაცია უფასოდ ჩამოტვირთოს და მიიღოს სრული ინფორმაცია ვაქცინაციის შესახებ, თუ რა ვაქცინებს ვიყენებთ ქვეყანაში, რომელი დაავადებების წინააღმდეგ. როგორც აღვნიშნე, 12 ინფექციის საწინააღმდეგოდ 10 ვაქცინას ვიყენებთ, რომელსაც სრულად ყიდულობს სახელმწიფო“, – განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, ვაქცინაცია ქვეყანაში ჯანდაცვის სფეროს ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრიორტეტია და ამაზე მეტყველებს ციფრები. როგორც გამყრელიძემ აღნიშნა, თუ 2011-2012 წლებში ქვეყანაში ვაქცინაციის ბიუჯეტი 4 ნახევარი მილიონი ლარი იყო, წლევანდელი ბიუჯეტი დაახლოებით 15 მილიონი ლარია, მომავალი წლის ბიუჯეტი კი – დაახლოებით, 19 მილიონი ლარი იქნება.

„ვაქცინაციის ბიუჯეტის ზრდა განაპირობებს იმას, რომ საქართველო გადავიდა მხოლოდ და მხოლოდ მაღალხარისხიან ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებულ ვაქცინებზე. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ პრეკვალიფიცირებული ვაქცინები ნიშნავს, რომ მათი ხარისხი და მათგან გამოწვეული ძალიან მცირე გვერდითი მოქმედებები, რომლებიც შეიძლება ვაქცინაციას ახლდეს, მინიმუმამდეა დაყვანილი. ყველა ვაქცინა, რომელიც გეგმური ვაქცინაციისთვის საქართველოში შემოდის და ასევე არაგეგმურიც, მაგალითად, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინა და სხვა, არის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ კვალიფიცირებული და, შესაბამისად, ცოტა მეტი ღირს, ვიდრე ბაზარზეა. ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას გათავისებული აქვს, რომ ვაქცინაცია გახლავთ ჩვენი მომავალი თაობის და მოსახლეობის დაცვის ერთ-ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი მეთოდი და ინტერვენცია, აუცილებელია, რომ აქ ყველაფერი გამართული იყოს“, – განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, როცა საუბრობენ ე.წ. ფასიან და უფასო ვაქცინაზე, ამ კონტექსტში იგულისხმება ე.წ. ჰექსავალენტური ვაქცინა, რომელიც ხშირად გამოიყენება ბავშვებთან მიმართებაში. როგორც გამყრელიძემ აღნიშნა, გასულ წლამდე სახელმწიფოს შემოჰქონდა პენტავალენტური ვაქცინა, ანუ 5 კომპონენტიანი, გასული წლიდან კი უკვე ჰექსავალენტურ ვაქცინაზე გადავიდა.



„სწორედ გასულ წლამდე ჩვენ შემოგვქონდა პენტავალენტური ვაქცინა, ანუ 5 კომპონენტიანი, კერძო, სექტორს ჰქონდა ე.წ. ჰექსავალენტური ვაქცინა და ექიმები ხანდახან ურჩევდნენ ხოლმე, რომ სჯობს ეს გაკეთდესო. კიდევ ერთხელ ვამბობ, ჩვენთან ყველა ვაქცინა, რაც ქვეყანაში შემოდის სახელმწიფო პროგრამით, გახლავთ მაღალი ხარისხის, არა აქვს მნიშვნელობა, ის სად მზადდება, რადგან პრეკვალიფიცირებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ და დღეს უკვე ბიუჯეტის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენ გასული წლიდან ჰექსავალენტურ ვაქცინაზე გადავედით. გარწმუნებთ, რომ ვაქცინებში, რაც კერძო სექტორშია, ან სახელმწიფო სექტორშია, ხარისხთან დაკავშირებით არავითარი განსხვავება არ არსებობს. გარწმუნებთ, რომ ყველა შემოსული ვაქცინა მაღალი ხარისხისაა და აბსოლუტურად უსაფრთხოა თქვენი შვილებისა და ახლობლებისთვის“, – განაცხადა გამყრელიძემ.

მისივე თქმით, ჰექსავალენტური ვაქცინა საკმაოდ ძვირია, „მაგრამ სახელმწიფო წავიდა ამაზე, რომ ბავშვებისთვის, მომავალი თაობისთვის უფრო მაღალი ხარისხის ვაქცინა მიეწოდებინა“.

## „აი, რა გადავიტანე ბავშვობაში მშობლების გამო“ – როცა მშობლებს მედიცინაზე არასწორი წარმოდგენა აქვთ



ჩემმა ბავშვობამ 70-იან წლებში გაიარა, მაშინ აცრები „მოდაში“ არ იყო, უფრო სწორად, მაშინდელ მშობლებს ამ მარტივი მანიპულაციის ეშინოდათ. ამიტომ არც მე ავუცრივარ. ისეთი ჯანსაღი ცხოვრებით ვცხოვრობდი, დღევანდელ ბავშვებს რომ არც „დაესიზმრებათ“. წლამდე ტკბილეული არ გამისინჯავს, 2 წლამდე დედის რძეს ვიღებდი. სოფელში ვიზრდებოდი და უნიტრატო, ეკოლოგიურად სუფთა ხილ-ბოსტნეული არ მომკლებია, ნატურალური რძის პროდუქტები ჩემს ყოველდღიურ რაციონში შედიოდა. ვიტამინები და თევზის ქონი ჩემი ბავშვობის მუდმივი თანამგზავრები იყვნენ. მუდმივად სუფთა ჰაერზე ვიყავი, სპორტზეც დავდიოდი და ცეკვაზეც. ბევრ წყალს ვსამდი, ახალგაწურული წვენებითაც მანებივრებდნენ. ჩემს ოჯახში ნახევარფარიკატს არავინ გააჭაჭანებდა – ახალთახალი ხორცი უნდა ყოფილიყო სუფრაზე.

მიუხედავად ცხოვრების ჯანსაღი წესისა, რა ავადმყოფობა აღარ გადავიტანე: წითელა, ეპიდემიური პაროტიტი, წითურა, ვირუსული მენინგიტი, ქუნთრუშა, ყივანახველა, ტონზილიტი და ჩუტყვავილა. 30 წლისას საშვილოსნოს ყელის დისპლაზია – კიბოსწინარე მდგომარეობა დამიდგინეს. ვერ გამეგო, როგორ უნდა მეთქვა მცირეწლოვანი შვილებისთვის, რომ მათი დედა შეიძლება, მალე მომკვდარიყო.

ვაქცინაციის მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ ყველა ორგანიზმს საკუთარი იმუნიტეტი იცავს დაავადებებისგან. ჩემ შემთხვევაში ამ ჰიპოთეზამ არ გაამართლა. ჯანსალმა ცხოვრებამ არ მიშველა, სულ ავად ვიყავი. მართალია, ჩემი შვილები შედარებით ჯანსაღად იკვებებიან, ისეთ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში არ ცხოვრობენ და არც მე ვარ დედაჩემივით მკაცრი საკვების შერჩევაში, ამის მიუხედავად, ისინი იშვიათად ავადმყოფობენ, როცა ავად არიან, ადვილად უმკლავდებიან ინფექციებს.

რატომ შეჰყავთ ხალხი შეცდომაში, როცა ამბობენ, რომ ვაქცინაციას საშინელი გართულებები ახლავს, დაავადებების გართულებებზე კი არაფერს ამბობენ? ჩემ ირგლივ ძალიან ბევრ ადამიანს გაურთულდა სხვადასხვა ინფექცია, ვაქცინაციით კი არავინ დაზარალებულა. მყავს მეგობარი, რომელიც წითელას შემდეგ დაყრუვდა, ჩემი ძმის მეგობარი მენინგიტით გარდაიცვალა, კიდევ ერთ მეგობარს ფილტვების ანთება დაემართა ჩუტყვავილის შემდეგ...

მე მესმის იმ მშობლების, ვისაც ვაქცინაციის სიავით აშინებენ. დედის შეშინება ხომ ძალიან იოლია. მეც მათ დღეში ვიყავი, მაგრამ ვისწავლე ექიმების მოსმენა და მათი ნდობაც გამიჩნდა. არ შეიძლება რაღაც წარმოდგენების და სტერეოტიპების გამო შვილების ჯანმრთელობა რისკის ქვეშ დადგეს. მინდა ვაქცინაციის მოწინააღმდეგეებს ვუთხრა, რომ მათი შვილები რისკის ქვეშ არიან. ეს დაავადებები ხომ გართულებების გარეშეც საშინელი გადასატანია. ვისაც გადაუტანია, მიხვდება, რისი თქმაც მსურს.

# ნაირა გელაშვილი: სანდრა რულოვსის „აღდგენითი სამუშაოები“



„რას მაგონებს ეს სიტუაცია?“

ეს კითხვა დატრიალდა ჩემში, როდესაც საქართველოდან გაქცეულმა ექსპრეზიდენტმა მ.სააკაშვილმა (მაინც) თავისი მეუღლე – ქალბატონი სანდრა ელისაბედ რულოვსი ფსიქოლოგიურად შესაბამისად აღჭურვა (ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თვალებშიც კი ჩაახედა) და ყოფილ სამშობლოში პოლიტიკური ბრძოლის წინა ხაზზე: საარჩევნო მარათონში მაჟორიტარ დეპუტატად გამოამწესა.

და მერე უცებ მივხვდი:

ღმერთო, ჩემო, რას მაგონებს და ჯაყომ მძიმე საფქვავი რომ აჰკიდა მარგოს და წისქვილისაკენ გაუყენა გზას!

რა თქმა უნდა, ჯაყო და მარგო!

ბევრი ქართული რომანი ისევე მავსებს აუტანელი სევდით, როგორც ქართული ყოფა-ცხოვრება, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილის რომანი მაინც სხვაა. აქ უკიდურესობები ბოლომდეა გამწვავებული: ძალადობა უძველესი ქართული არისტოკრატიული გვარების უკანასკნელ შთამომავლებზე (ერთ დროს კეთილშობილ, მაგრამ საზრისდაკარგულ, უადგილო ცოლ-ქმარზე) ხორციელდება: მათსავე კუთვნილ სასახლეში, მათივე მსახურის – (არაქართველი) ნახევრადცხოველის მიერ.

ცხოვრება კი თავისებურად ერთობა კალეიდოსკოპის ტრიალით, პოლიტიკური კატაკლიზმები კონფიგურაციებს ჩქარ-ჩქარა ცვლიან, პერსონაჟების გარეგნული მახასიათებლები, იქნება ეს ჩაცმულობა, წარმომავლობა თუ ლინგვისტური შესაძლებლობები, დროთა შესაბამისად იცვლება, ეპოქა დრამის რიტმს აჩქარებს, სიუჟეტის რედუცირებას ახდენს, ხშირად ორ პერსონაჟს ერთში აერთიანებს, მაგრამ არსი იგივე რჩება: ძალმომრეობის, ცბიერების, მუხანათობის, სიბრიყვისა და უსირცხვილობის მდგრადობა ულმერთო და უპატრონო ქვეყანაში. მუდმივი შანსი ამ ყოველივესთვის: ავიდეს ტახტზე.

ახლა კონკრეტულად: ცნობილია, რომ თანამედროვე დემოკრატიული ჰუმანიზმის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. მაგრამ, როგორც მოგვეხსენება, ეს მორალური კანონი აღარ ვრცელდება მაღალი თანამდებობის საჯარო პირებზე, პირველ რიგში კი პრეზიდენტზე. რადგან: ხელისუფლების საქციელს, მის ეთიკურ სახეს დიდი გადამდები ძალა აქვს და იმ შემთხვევაშიც კი ახდენს გავლენას ხალხის დიდი ნაწილის ზნეზე, როცა ეს ხალხი მას არ ენდობა. უფრო ზუსტად და ლაკონიურად ვერ იტყვი: „თევზი თავიდან ყროლდება“.ხალხს სჭირდება, ზნეობრივი საყრდენების შენარჩუნებისათვის საჭირო ძალა მიიღოს უმაღლესი ხელისუფლებისაგან.

(ხალხურ ლექსში: ქალსა და ვაჟს ერთმანეთი მოეწონათ, მაგრამ ახლო ნათესავები აღმოჩნდნენ. ქალმა ძალიან განიცადა, ვაჟი კი ეუბნება: „არა უშავს რა, ქალაო, დროება გამოგვეცვალა, რუსი დაგვიდგა ხელმწიფედ, ერეკლე გარდაგვეცვალა“).

ამიტომ პრეზიდენტი მხოლოდ სახელმწიფოს პოლიტიკურ მეთაურად არ მოიაზრება, იგი, ასევე, ერთგული, მოყვარული და ყურადღებიანი მეუღლისა და მამის (ან დედის) განსახიერებაც უნდა იყოს. ოჯახი ხომ სრულიად სამართლიანად განსაკუთრებით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ამერიკის ფუნდამენტურ ღირებულებათა შკალაზე (რაც, სხვამხრივ ამერიკის ადეპტებად ქცეულ, ქართველ „ნაციონალურ ბელადებს“ ნაკლებად აღელვებდათ). ამერიკის შეერთებული შტატების სიძლიერისა და წარმატებულობის ერთ-ერთ მიზეზად ხომ ამერიკული ოჯახის სიმტკიცეც სახელდება.

მოკლედ, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ პუნქტში აშშ-ს რომ არ ეთანხმებოდა, ყველას კარგად და მწარედ გვახსოვს.

მისი მმართველობის პირველივე წლებში ცხადი გახდა, რომ საქართველოს ასეთი აღვირახსნილი ხელისუფალი არასდროს ჰყოლია. დიდსა და პატარას პირზე ეკერა პრეზიდენტისა და მისი უახლოესი გარემოცვის ორგიები შინ თუ გარეთ, თბილისში, ბათუმში, სიღნაღსა თუ შატილში. ასევე, უცხოეთში პოლიტიკური ვიზიტების დროს. პრეზიდენტი ვერტმფრენით უვლიდა ხოლმე საქართველოს და გუნება-განწყობის მიხედვით ეშვებოდა მის ამა თუ იმ წერტილში საქეიფოდ და სალაღობოდ. დიდი ამბავი იყო ატეხილი ერთ პატარა ქალაქში იმის გამო, რომ მთვრალმა პრეზიდენტმა იქაური მოხელის ცოლს დაადგა თვალი და ქალი გადამალეს. მაგრამ პრეზიდენტი არ ცხრებოდა თურმე და ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი, როგორ ლაზღანდარობდნენ ამის თაობაზე იქაური ბავშვები, როგორ შეურაცხყოფილად გრძნობდნენ თავს იქაური ხანდაზმულები

სხვაგან მავანი მიმტანი ქალი მოუვიდა თვალში და წინ რა დაუდგებოდა. ერთხელ საქართველოს მთაში რომ ზეიმობდა, შვეულმფრენით ჩაჰგვარეს იმდროინდელი გულის რჩეული, რადგან ბრძანა, სასწრაფოდ აქ გამიჩინეთო. ხედავდნენ, როგორ შედიოდა პრეზიდენტის სასახლის ეზოში უნომრო მიკროავტობუსი, საიდანაც, როგორც საქმეში ჩახედულები ამბობდნენ, ქუჩიდან აკრეფილი „სექს-მუშაკები“ გადმოდიოდნენ მარტო მყოფი პრეზიდენტის განტვირთვისათვის. როგორც ამბობდნენ, ქალბატონებისთვის პრეზიდენტის სასახლის როგორც სასტარტო ადგილის გავლა იყო საჭირო მაღალ თანამდებობაზე მოსახვედრად მერე კი მათ კეთილად გათხოვებაზე ზრუნავდნენ შესაბამისი მოხელეები. კი, ის ჰყვებოდა ამას, ვისაც თვითონ მოუწია მსგავსი დავალების შესრულება. მოკლედ, ინგლისურად მორატრატე, ნეოლიბერალი სულთნის კარზე ჰარამხანა იფურჩქნებოდა.

და აი, ასე, პირველი ლედი თავის სახლში მარტო ატარებდა ცხოვრებას შვილებთან ერთად. პრეზიდენტი კი – სასახლეში ბორგავდა, იქ იფრქვეოდა მისი და მისი უახლოესი გარემოცვის ჰედონისტურ-ბიოლოგიური აღტყინებები. იქ იყო იგი ბოლოს თავის მომღერალ სატრფოსთან და სხვა პარტნიორებთან ერთად.

ეს ხდებოდა ღიად, აშკარად. ეს იყო მ. სააკაშვილის ხელისუფლების სტილი, „მისი გუნდის“ პრივილეგია, რაღაც სისტემური მოვლენა, ამოსაცნობი ნიშანი. იცინოდნენ ამის თაობაზე უცხოეთში, პოლიტიკურ წრეებში, დიპლომატიურ კორპუსში. საქართველოს ბედი ეს აღმოჩნდა, რომ მისი ღირსება ამ მხრივაც უნდა გაქელილიყო. ისედაც დამცრობილ ქვეყნის თავმოყვარეობიდან არაფერი აღარ უნდა დარჩენილიყო. მ.სააკაშვილის უსაშველო ბიოლოგიური დაუკმაყოფილებლობა შერწყმული მის სისასტიკესთან ადამიანთა მიმართ – იწვევდა ნერონისა და კალიგულას ასოციაციას, რადგან ესენი დარჩნენ მსგავსი პათოლოგიის კლასიკურ მაგალითებად დასავლეთის ისტორიულ სივრცეში.

უფრო დამცირებული, უფრო თავმოყვარეობაშელახული პირველი ლედი დემოკრატიული დასავლეთის ისტორიას არა სცნობია. და ხალხი ამას განიცდიდა. მიუხედავად პრეზიდენტისადმი თითქმის საყოველთაო ზიზღისა და სიძულვილისა, მისი მეუღლე ბევრს ებრალებოდა. ქალბატონ სანდრა რულოვსის ახლო წრე ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მას ჰოლანდიაში წასვლა სურდა, მაგრამ ეშინოდა. „რომ წავიდეს, მიშა მოკლავსო“ – მიმტკიცებდა ერთი მისი კეთილისმოსურნე, მეტისმეტად დამამცირებელი მდგომარეობის რაიმენაირად შესარბილებლად. მართლაც, რომელი ქალი არ გაიგებს ამ ხვედრის აუტანელ სიმწარეს?

და, ცხადია, მას ისე უნდა დაეჭირა თავი, თითქოს ქმრის ეს უკიდურესად წრეგადასული ცხოვრება, უბრალოდ, არ არსებობდა. და ასეც იჭერდა. მართალია, ეს ისე კარგად ვერ გამოსდიოდა, როგორც ყოჩაღ ჰილარი კლინტონს, როდესაც მისი მეუღლის, პრეზიდენტ ბილ კლინტონის ერთადერთ მორალურ გადაცდომას ისე ფანატიკურად ჩაეძია ამერიკული სასამართლო, რომ ელემენტარულ ნაწილაკებამდე ჩააღწია და მთელი მსოფლიო უხერხულობის შოკში ჩააგდო. ჰილარი კლინტონი კი მთელი ის ხანი მეუღლესთან ხელჩაკიდებული და ამაყად თავაწეული ჩნდებოდა, აქაოდა, ჩვენს მტკიცე ოჯახს მსგავსი პროვოკაციები ბზარს ვერ დაამჩნევსო.

და საკუთარი ძალების რამდენად უფრო დიდი დაძაბვა სჭირდებოდა სანდრა რულოვსს! ეს ხომ უწყვეტი სირცხვილი იყო მთელი ცხრა წლის მანძილზე.და ის დაძაბული ეგუებოდა: ქმრის მიერ მისი როგორც ქალის ლამის მძვინვარე უარყოფას. თუმცა, სახეზე სულ უფრო უძლიერდებოდა ჩაკლული სიხარულისა და დაფარული გამწარების კვალი. ეს ცოლების ნება ან ბედისწერაა: ზოგი ქმრისაგან ყველაფერს იტანს „ოჯახის შესანარჩუნებლად“, ზოგს პრივილეგიების დათმობას ურჩევნია, სამუდამოდ უარი თქვას ღირსებაზე. ზოგს სხვა გზა არა აქვს და იძულებულია გულში ჩაიკლას ყველაფერი და ქმარს ბოლომდე დაემორჩილოს. და ყველა გადაწყვეტილებით ბედისწერა იქსოვება.

მაგრამ, საქართველოს ყოფილი პირველი ლედი, სანდრა რულოვსი ზუსტად ასევე უდრტვინველად ეგუებოდა ცოლების დაქვრივებას, ბავშვების დაობლებას, დედების გაუბედურებას, ცამდე ასულ მოთქმასა და ვაებას, ადამიანთა მეთოდურ წამებას და პატივის აყრას ციხეებში, სადაც ის ხშირად ჩნდებოდა ხოლმე. ის ეგუებოდა ანთებული სიგარეტით სხეულის დაწვას, ძვალ-სახსართა მსხვრევას, პირში ჩაფურთხებას, ზედ დაშარდვას, ადამიანთა მასობრივ დარბევასა და შემუსვრას დედისერთა სანდრო გვირგვლიანის თოვლზე დაგდებულ, დასერილ სხეულს, მისი დედის ირინა ენუქიძის გულისგამგმირავ გლოვას, პოლიციის მიერ დაცხრილული უდანაშაულო ახალგაზრდების მიწაზე მოცახცახე სხეულებს, მათი დედებისა და მამების სამუდამოდ გაგმირულ გულებსა და უილაჯობას



მაგრამ არა მხოლოდ ეგუებოდა ის, აი, ასეთი ქმრის ერთგული იყო მის შავბნელ საქმეებში: იგი იტყუებოდა შინ და გარეთ, თავის სამშობლოში და საერთოდ, უცხოეთში ყოფნისას, რომ მიშათი უკმაყოფილო მხოლოდ ის კრიმინალური წრეები იყვნენ, ვინც მიშამ სამართლიანად დასაჯა დიადი რეფორმების გატარებისას, ვინც, კაცმა რომ თქვას, ბალასტი გახლდათ აყვავების გზაზე შემდგარი სახელმწიფოსათვის რომ საჭირო იყო ქართველ ხალხისათვის კისრის მოგრეხა, რადგან სხვაგვარად მისგან არაფერი გამოდნებოდა, და მაშასადამე, „მიშა“ სწორედ ის იყო, ვინც ამ ხალხს სჭირდებოდა“ და ა.შ.

და განა მხოლოდ შიშის გამო გააკეთებს ადამიანი ამას? არა. ქალი, ვისთვისაც სხვისი შვილების დახოცვა-დამცირება საშინელებაა, შეიძლება შიშით გაჩუმდეს, მაგრამ ასე არ იაქტიურებს ადამიანობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებათა გამართლებაში. მაშასადამე, უკვე მაშინ, სანდრა რულოვსის პირველ ლედად ყოფნის სანუკვარ პერიოდში, სულ სხვა იმპულსსაც უნდა ემოქმედა გარდა სტატუსის შენარჩუნების წყურვილისა: ქვეცნობიერად სანდრა შურს იძიებდა ხალხზე, რომლის თვალშიც ის ესოდენ შეურაცხყოფილი და დამცირებული იყო, ვისაც ის ან ეცოდებოდა, ან არაფრად აღარ აგდებდა. და იგი შურს იძიებდა თავისი მოღალატე ქმრის ხელით. და ამავე დროს, ქმრის გულის მოგებასაც ცდილობდა.

და, აბა ვის გაუკვირდება ეს მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგიამ ესოდენ გამოწვლილვით იკვლია ადამიანის სულის ფარული სართულები, ხოლო ჩვენმა ხალხურმა ინტუიციამ ჯერ კიდევ როდის გამოთქვა ლექსად, რომ ადამიანის გული ისეთია, „ვით მორევი შავი ზღვისა“.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემდეგ აბა, ვიღას მოუვიდოდა თავში, სანდრასთვის მოეთხოვა, მისი ქმრის მიერ დახოცილ ახალგაზრდების დედებთან მისულიყო სამძიმრის სათქმელად! მით უფრო,ვიღა აჩუქებდა ვეფხისა და მოყმის ბალადას. მაგრამ 2012 წელს მოულოდნელად ყველაფერი დამთავრდა: : „აჰა, განქარდა ესე სამეფოც, მიმოქროლებას გაჰყვა ქართასა“ როგორც გვეუბნება ცნობილი ქართველი პოეტი ქალის ლექსი გადაიხვეწა საქართველოდან ხალხის უდიდესი, ყველაზე საღი ნაწილის მიერ შეძულებული, უბნელეს საქმეებში გახვეული, დამარცხებული ცოლ-ქმარი, შვილებიანად, რომელთა ბედიც ნაკლებად ანაღვლებდათ, ისევე როგორც ნაკლებად ანაღვლებს ყველას, ვინც ჩადენილ ბოროტებას უტოვებს მათ მემკვიდრეობად.

მაგრამ, როგორც ამბობენ, მიხეილ სააკაშვილი გაჭირვებაში არ მიატოვეს მის მიერ მომადლიერებულმა დასავლეთის პოლიტიკურმა ძერებმა და იგი თანამშრომლებთან ერთად უკრაინაში დაამკვიდრეს, სადაც თავისუფალი სიყვარულის განუკურნებელ ტრფიალს, ისევე არ დასჭირდა მეუღლე, როგორც თბილისში არ სჭირდებოდა.

და აი, ოთხი წლის შემდეგ მან იხმო მისგან შეურაცხყოფილი და დამცირებული დედა თავისი შვილებისა. და მიუშვირა მას თვისი ამღვრეული თვალები ჩასახედად. და მონუსხული სანდრა მორჩილად გამოემგზავრა საქართველოში შვილთან ერთად და ბრმად შთავარდა არჩევნების მარათონში. რისი იმედით? მხოლოდ და მხოლოდ იმის იმედით, რომ ხალხი ბრბოა და, სანდრასი არ იყოს, სხვების ტანჯვაწამებას არაფრად აგდებს; პირიქით: უხარია კიდეც, რადგან გამწარება და ბოღმა უთუხთუხებს გულში! ან რომ ხალხს მეხსიერების ჩაზნელებები სჭირს და თანამოქალაქეთა გაპარტახება უკვე დავიწყებული აქვს; რომ ხალხი გამოსულელებულია და საკმარისია, უცხოელი რძალი თავის ენაზე დაელაპარაკოს და, სიმღერაც კი უმღეროს, – მეტი არც არაფერი სჭირდება: აღტაცებისაგან აკივლდება და ვნებისაგან ატორტმანდება. და ის, სამწუხაროდ, შორს არ არის ჭეშმარიტებისაგან. სანდრა რულოვსი თავის საარჩევნო კამპანიას ადამიანთა ყველაზე ბნელ სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე აგებს. და მიცურავს სანდრა გედივით ბრბოში. მისი მოჩვენებითად სათნო ღიმილი დაგუბებულ შხამს, დიახ, მუხანათობას ჩამოფარებია: ვენდეტა! და დაანახვებს მის უარმყოფელ ქვეყანას, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ავზნიან მეუღლეს, თავის ძალას სანდრა-დამცირებული! დაანახვებს რომ ხალხს იგი მოენატრა, განსაკუთრებით სამეგრელოში. მეგრელებსა და სანდრას ერთნაირად სჭირდებათ მიყენებული ჭრილობების მოშუშება, და ისინი ერთმანეთს ათბობენ. ოღონდ, სანდრას, სინამდვილეში, თავისი თავის გათბობაც კი აღარ შეუძლია

მე არა მჯერა, რომ სანდრა რულოვსი ციხეში მოკლული ადამიანების ორგანოებით ვაჭრობდა, როგორც ამას მრავალი პატიმარი ამტკიცებს. მე არ ვიცი, მართლა სპეცსამსახურების კაბინეტებში დაიწერა თუა არა სანდრა რულოვსისა და მიხეილ სააკაშვილის ცხოვრების სცენარი, როგორც ამ საქმეებთან უფრო ახლოს მყოფი ადამიანები გვამცნობენ. არც ის ვიცი, მართლა იმისთვის ისწრაფვის დეპუტატის იმუნიტეტის მოსაპოვებლად, რომ გაექცეს შესაძლო სასჯელს თავისი ბიზნეს-დანაშაულებებისათვის, თუ არა. მე ის ვიცი, რასაც ვხედავდი და ვხედავ და ეს საკმარისზე მეტია ერთი ქალისათვის – სამყაროში მოთარეშე ბოროტების გასამდიდრებლად. მე ვხედავ, როგორ ატყუებს და ასულელებს ჩემს ხალხს, როგორ უმტკიცებს, რომ თურმე ყორნის გასათეთრებლად მისი ქვიშით ხეხვაც კი არ არის საჭირო, უბრალო საპნიანი წყალიც საკმარისია, ხოლო კუზიანს სამარის გარეშეც უსწორდება კუზი. ვხედავ, როგორ აბრუნებს უკან გაჭირვებულ ხალხს მასობრივ აღვირახსნილობასა და სისასტიკეში; როგორ რყვნის მას, როცა საუკუნის დანაშაულს – სანდრო გვირგვლიანის ულმერთო წამებასა და სამსხვერპლო ცხოველივით დაკვლას, თუ ღირსებით სავსე სამხედრო პირის კოლექტიურ გაუპატიურებას, როცა მთელი ციხე მსხვერპლის ღრიალით ზანზარებდა, – ნაზი ღიმილით „შეცდომებს“ უწოდებს, შეცდომებს, რომლებიც მას თურმე არ ეხება!

და კიდევ ერთი რამ ვნახე, რაც უშუალოდ შემეხო: 2010 წელს ჩვენი საზოგადოება შეძრა „ნაციონალური ხელისუფლების“ კიდევ ერთმა ექსცესმა, რომელსაც ყოფილი მხედრიონელი და ქილერი, ბატონი ნიკოლოზ რურუა მეთაურობდა (არ დაგავიწყდეთ თანამოქალაქენო, რომ სწორედ ეს სისხლიანხელებიანი კაცი იყო ნაციონალების კულტურის მინისტრი!) ჰოდა ამ კაცმა პრეზიდენტს მიაღებინა გადაწყვეტილება მთელს კავკასიაში ცნობილი, უძველესი სამშვიდობო ორგანიზაციის, კულტურისა და განათლების ცენტრის „კავკასიური სახლის“ გამოძევების შესახებ იმ შენობიდან, რომელიც მისთვის ააშენა ევროპულმა ფონდმა „ჰორიზონტმა“. ამ ფონდის რეზიდენცია ნიდერლანდებშია, მას იქაური ადამიანები მართავენ, და მათ სწორედ „კავკასიურ სახლში“ გაიცნეს თავიანთი თანამემამულე სანდრა რულოვსი, რომელიც აქ, როგორც ჩვენი ერთ-ერთი მეგობარი, ხშირად დაიარებოდა. და ყველანი სიყვარულით ვიღებდით მას. ის კი, ქალური და სათნოღიმილიანი, ჩვენთან სტუმრად რომ დადიოდა და წვეულებებზე თავის თანამემულეებსაც ხვდებოდა, თურმე ჩვენს შენობას სათავისოდ ათვალიერებდა. და აი, დადგა დღეც ოცნების ასრულებისა. 2010 წელი. კუდი და სოდი გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ მთელი მომსახურე პერსონალი ქუჩაში უნდა გავეყარეთ, „კავკასიური სახლისთვის“ მთელი უძრავი ქონება წაერთმიათ და მის სანაცვლოდ დაარსებული რუსული ცენტრისთვის გადაეცათ. თამანშრომლებისთვის ბინებში უკვე ჩხრეკა დაიწყო. ტერორის მიზნით სანდრას რულოვსის რომელიღაც ფონდისათვის განკუთვნილი იყო მთელი პირველი სართული. ხოლო მეორე და მესამე სართულები – „რუსული კულტურის ცენტრს“ უნდა დაეკავებინა. და აქ მთავარი ის არის, რომ „კავკასიური სახლის“ გაუქმებას და მის ნაცვლად „რუსული მუზეუმის“ შექმნას მისი დაარსების დღიდან: 1994 წლიდან, არაოფიციალურად თუ ღიად, დაჟინებით ითხოვდა რუსეთი, განსაკუთრებით, მეორე რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შემდეგ, როდესაც „სახლმა“ ჩეჩენი ლტოლვილები შეიფარა. საერთოდ, ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ „კავკასიური სახლი“ რუსეთისაგან რეპრესირებული ორგანიზაცია იყო თავის მისწრაფებების გამო, მიეღწია შიდა კავკასიური სოლიდარობისა და თანხმობისათვის. და ნეოლიბერალიზმისა და „ევროპული ფასეულობების“ განსახიერება ბატონი რურუა ქალბატონ სანდრასთან ერთად უმჭიდროეს კავშირს ამყარებს თბილისში ოფიციალურად მოქმედ მეხუთე კოლონასთან და მასთან ერთად აუქმებს „კავკასიურ სახლს“!

მხოლოდ ჩვენი და დასავლური საზოგადოების მძაფრმა პროტესტმა იხსნა ორგანიზაცია დაღუპვისაგან და პრეზიდენტმა სააკაშვილმა მისი აღსრულება შეაჩერა. და მადლობა დღევანდელ ხელისუფლებას, რომელმაც ბოლოს და ბოლოს იურიდიულად დაგვიმტკიცა ჩვენთვის აშენებული შენობა და დასავლელი მეგობრების თხუთმეტწლიან გაოგნებას და ჩვენს ტანჯვას წერტილი დაუსვა. ასე რომ, საკუთარ კანზე გამოვცადეთ, რა შეიძლება იდგეს სანდრას მომხიბლავი ღიმილისა და ქალური მანერების უკან. და თუ რატომ სჭირდებოდა თავისი ფონდის რუსული კულტურის ცენტრთან (ასეთი „ცენტრები“ სინამდვილეში, სულ ცოტა, სააგენტოებია) თანაარსებობა, ეშმაკმა უწყის.

და მაინც გამიჭირდება თქმა, რომ ის თავის მეუღლესთან თუ მეგობარ ნ. რურუასთან ერთად ორმაგი აგენტია, თუ სამმაგი. არ ვიცი. ეს ქსელები არ მესმის. რასაც მე თვითონ ვხედავ, ისიც საკმარისია და მიცურავს სანდრას ნაზი ღიმილი და მოღუღუნე ხმა აღტკინებულ ბრბოს თავზე და მიცურავს სანდრა ბრბოს ტალღებზე თავისი გაურკვეველი მომავლისაკენ. ნუთუ მართლა ჰგონია, რომ ამ ნაკადმა ის შეიძლება ნანატრ მიკროსოდომში – პრეზიდენტის გიგანტურ სასახლეში შეაცუროს? მაშ რა ამოძრავებს, რატომ გაირთულა კიდევ უფრო ცხოვრება და გადაიდო მშვიდი მომავალი? რატომ დაუპირისპირდა

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

დასაწყისი მე-2 გვ.-ზე

ასე ჯიქურ საქართველოს? რატომ წამოიკიდა ტვირთი, რომელიც იმ საფქვავზე უფრო მძიმეა, ჯაყოს მიერ მოტყუებულ, პატივაყრილ და გასრესილ მარგოს რომ წამოუკიდია ზურგზე და წიქვილის გზას მიუყვება? შვილებს კიდევ უფრო რატომ უმძიმებს საკუთარი მამის წყალობით ისედაც დამძიმებულ ხვედრს? მხოლოდ კაცის კი არა, ქალის გულიც შავი ზღვის მორევსა ჰგავს, და თუ რაღაც სპეციერარქიის მიერ მიღებულ დავალებას გამოვრიცხავთ, რომელსაც ცოლიც და ქმარიც ერთანაირად ემორჩილებიან, მაშინ ეს ვერსია რჩება: ალბათ მიუღწეველი მეუღლის მიერ დაკისრებული საბრძოლო დავალების შესრულებით სანდრა იმედოვნებს მისი გულის მოიგოს, მისი კეთილგანწყობა დაიმსახუროს და, ვინ იცის, დაიბრუნოს კიდეც ეს სანდრას ამოკის რბოლაა, ის ვეღარ გაჩერდება. მან – ახლა უკვე ბრბოს დედოფალმა – ძალიან სევდიანი ფურცლები თავისი წარსულიდან ისევ მომავალში გადაიტანა.

რაც შეეხება ბრბოს: დიახ, ბრბოა ის ხალხი, ვინც ცხრა წლის მანძილზე ნაწამები თუ ჩახოცილი სხვისი შვილების, სხვისი მამების, სხვისი ძმებისა და სხვისი ქმრების გვამებზე გადააბიჯა და თავისი ბნელი ინსტინქტებით ისევ მიშა-სანდრასკენ გაიქცა; ვინც ვერ და არ გაიგო, რა მოხდა საქართველოში 2004-იდან 2012 წლამდე; ვისაც არ ანაღვლებს, საქართველოს სხეული პრეზიდენტ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის წყალობით დაჭრილ-დასახიჩრებული და სისხლმდინარე რომ გდია: რადგან გული ამოაგლიჯეს და კიდურები ჩამოაჭრეს ვინც წესიერად ვერ ერკვევა, მაინც რა დაკარგა საქართველომ; მაინც რა არის და სად არის ეს ქართლია თუ კოდორი ვისაც არ სტანჯავს ზნეობის უკიდურესი დაცემა საკუთარ ქვეყანაში, ვინც ვერ დაინახა, რომ ამ გადაგვარებას უძლიერესი სტიმული მ. სააკაშვილის პირადმა ცხოვრებამ, ახალ-



გაზრდობის მიმართ მისმა ამორალურმა მოწოდებებმა, ნაციონალური მოძრაობის მიერ წესიერების ყველა ნორმის გაქელვამ მისცა; ეს მარადიული ბრბო! ის შეჰბღაოდა ალტყინებით ფაშიზმსა და ბოლშევიზმს! მილიონობით ადამიანთა გაცამტვერებას! ის არის დასაყრდენი თანამედროვე სახელმწიფოებრივი ტერორისა და რეპრესიებისა, რადგან არ გააჩნია სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი და მოთხოვნილება! არ გააჩნია ფსიქიკური სისაღე და შინაგანი მთლიანობა! გამქრალი ან მოჩლუნგებული აქვს თანაგრძნობა და თანატანჯვა! დიახ, ბრბოა, გინდაც მეგრელი იყოს, გინდაც ქართლელი, გინდაც კახელი.. ბრბოა ის, ვინც ახლა ისევ ბოროტმოქმედებს აძლევს ხმას არჩევნებში, რის გასამართლებლადაც ახლანდელი ხელისუფლებისადმი სიძულვილი ვერ გამოდგება. ამ ხელისუფლების კრიტიკა დაუსრულებლად შეიძლება ( რისი უფლებაც ყველასა აქვს „ნაცებისა“ და მათი მომხრეების გარდა ), მაგრამ ეს ხელისუფლება ხალხის სისხლში ამოსვრილი არ არის და ადამიანებზე არ ნადირობს. პირიქით: ამ ყველაფერს სწორედ მან დაუსვა წერტილი, მაშინ როცა მავანმა მწერლებმა, მხატვრებმა თუ ჟურნალისტებმა აღარ იცოდნენ, როგორ მიტმასნოდნენ ნახევრადშეშლილ მიკროდიქტატორს. თუმცა, თუ გძულს ეს „ოცნება“, – გადახაზე, აირჩიე ვინც გინდა, მაგრამ ქვეყნის ჩამოყალიბებულ მტერს, უმძიმეს ცოდვებში ჩაფლულ ძალას ნუ მისცემ ხმას.ლახვარს ნუ ჩასცემ შენი ქვეყნის მომავალს! და ბრბოა ისიც, ვინც არ იცის, რომ რა საზომითაც შენ ზომავ, იმავე საზომით გაიზომები განგების მიერ და უნდა გეშინოდეს, როცა სხვისი შვილების უბედურებას ამართლებ. (ხოლო წინა პრეზიდენტის დედა თურმე ლათინურ-ამერიკულ ცეკვებზე დადის გულის გადასაყოლებლად. და არც სხვა „ნაცების“ დედები იქცევიან ადეკვატურად, რაც ბუნებრივია, ვიღაცამ ხომ შობა და გაზარდა ისინი). და აგზნებული ბრბო ღრიალით მოირწევა და მოჰყავს თავისი დედოფალი – იერიშზე გადმოსული სანდრა-დამცირებული. მე კი იმან უფრო დამაწერინა ეს ტექსტი, რომ უსირცხვილობის ზუსტ სიმბოლოებს ვეძებდი.

სამწუხაროდ, ხშირად მიწევს გამეორება, რომ სირცხვილის დაკარგვა ეს ადამიანის დაცემის უკანასკნელი საფეხურია, უფრო მეტიც: ეს არის „დაცემა იმაზე ქვემოთ, ვიდრე შესაძლებელია დაეცეს კაცი“, ერთი პოეტს თუ დავესესხები. მკვლელსაც ეშველება, ქურდსაც და მეძავსაც, თუ სირცხვილი გრძნობა გამქრალი არა აქვს, სხვას რას გვიჩვენებს სახარების უძირო სიბრძნე და გულმოწყალება! მაგრამ ურცხვი ადამინის წინაშე ალბათ ღმერთიც უძლურია.

ერთი თანამედროვე ქრისტიანი მოღვაწე აფრთხილებს ადამიანებს: „ძალიან მოერიდეთ იმათ, ვისაც საკუთარი დანაშაულისა და შეცდომის შეგრძნება არა აქვს; ვინც არასოდეს იხდის ბოდიშს“. სწორედ ასეთ ძალებს, რომლებიც ყველაზე მეტად ისწრაფვიან ძალაუფლებისაკენ, უწოდა დოსტოევსკიმ „ეშმაკნი“ და მან ძალიან კარგად იცოდა, რასაც გულისხმობდა. ნუ დაივიწყებთ, რომ არცერთ „ნაცს“ სინანულის ჩრდილიც არ დასტყობია სახეზე ამდენი ჩახოცილი და დასახიჩრებული ადამიანის გამო. რომელ ბოდიშზე და პატიების თხოვნზეა ლაპარაკი!

და სანდრამ გადალახა უსირცხვილობის რუბიკონი და განიზრახა მოქცევაი ქართლისაი: რათა იგი კვლავ დაუბრუნოს „ეშმაკთა“ სამეფოს. და უსირცხვილობის წარუშლელ სიმბოლოდ დარჩება საქართველოს ისტორიას ცოლ – ქმარი სანდრა და მიშა, როგორც დარჩა ქართულ ლიტერატურას მუცელღმერთობისა და უსაქმურობის სიმბოლოდ ლუარსაბი და დარეჯანი; ძალადობისა და მუხანათობის სიმბოლოდ – ჯაყო, უპასუხისმგებლობისა და უთავმოყვარეობის სიმბოლოდ – თეიმურაზ ხევისთავი, და უკიდურესად დამცირებული ქალის სიმბოლოდ ორივეს ცოლი და მსხვერპლი მარგო. ხოლო „მიშამ“ ეს სამივე კაცი შეიერთა, ქვეყანა ცოდვითა და სისხლით აავსო და ისევე დაკარგა ქართლის ნაწილი, როგორც თეიმურაზ ხევისთავმა თავისი მამულები.

და ჩვენ, როგორც არ უნდა დავიღალოთ, მაინც მუდამ უნდა ვებრძოლოთ ემოციურ ატროფიასა და ამნეზიას, როგორც მერაბ მამარდაშვილი იტყოდა: „ზნეობრივ დალტონიზმს“ ჩვენში, რათა უნებურად გვამებს არ გადავაბიჯოთ და იქ არ აღმოვჩნდეთ, სადაც „ეშმაკები“ სუნთქავენ. 1 ოქტომბერი, 2016

P.S. ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როცა ვიხილე მაჟორიტარ დეპუტატ ქ-ნ სანდრა სააკაშვილ-რულოვსის შეხვედრა თავის ბრბოსთან სენაკში. და მასთან მისული ია მეტრეველი, რომელსაც ერთხელ „მგლოვიარე მშვენიერება“ ვუწოდე. დედა, რომელსაც ერთადერთი უდანაშაულო შვილი მოუკლა სააკაშვილის „სისტემამ“ და რომელიც თვითონაც ბევრჯერ მოკლეს ცრუ ადვოკატებმა, ცრუ მოსამართლეებმა და უგვანო ტელეჟურნალისტებმა მიწაზე მოცახცახე, მომაკვდავი ბავშვის უამრავჯერ ახლოდან ჩვენებით. „მინდა თვალებში ჩაგხედოო“ – უთხრა მან ქ-ნ მაჟორიტარს. და, კარგად შეხედეთ, მეგობრებო სანდრას, აი, მისი ნამდვილი სახე! ყინულოვანი სახე დაპროგრამებული რობოტისა! და გამახსენდა, როგორ მითხრა ერთხელ მისმა ყოფილმა ახლობელმა: „სიტყვებზე „ცხვრის ტყავში გახვეული მგელი“ მუდამ სანდრა რულოვსი მიდგება თვალწინო. (ამის დაწერაზე ზემოთ მაინც თავი შევიკავე, მაგრამ ახლა).

და კიდევ ეს გამახსენდა: „და ვიხილე დედაკაცი, მჯდარი ღვთისსაგმობი სახელებით სავსე შვიდთავიან და ათრქიან შავწითელ მხეცზე და დავინახე, რომ დამთვრალი იყო წმიდათა სისხლით, და რომ ვუყურებდი, მიკვირდა დიდად“ (გამოცხადება იოანესი).

**ნაირა გელაშვილი**
**5 ოქტომბერი 2016 წ.**

# როგორ შეიძლება იმკურნალო ცხოველების დახმარებით



ანიმალოთერაპია – საკმაოდ ცივილიზირებული და მეცნიერულად დამტკიცებული მეთოდია სერიოზული დაავადებების სამკურნალოდ. დადებითი ეფექტი კი დამტკიცებულია მრავალწლიანი ექსპერიმენტებით!

ანიმალოთერაპიაში გამოიყენება როგორც პირდაპირი კონტაქტი ცხოველებთან, ასევე მათი სურათები, ხმები, სათამაოშოები და ა.შ.

ხალხი, რომელთაც ჰყავთ შინაური ცხოველები, უფრო დიდხანს ცხოვრობენ და ნაკლებად ხდებიან ავად, ცხოველები ძალიან დადებითად მოქმედებენ ნერვულ სისტემაზე.

თვით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამაც კი აღიარა, ადამიანის ცხოვრებაში, ანიმალოთერაპიის დიდი სარგებელი.

## ანიმალოთერაპიის მოკლე მიმოხილვა

უძველესი დროიდან მოყოლებული ადამიანმა იცოდა ცხოველის სასარგებლო თვისებების შესახებ. ძველი ბერძნები იყენებდნენ ძაღლებს სიცხის სამკურნალოდ, ძველ ეგვიპტეში – იყენებდნენ კატებს იმავე მიზნებისთვის, ხოლო ინდიელები ისმენდნენ ჩიტების ჭიკჭიკს. ჰიპოკრატე თავის ნაშრომებში ახსენებდა ცხენზე ჯირითობის სარგებელს.

მე-20 საუკუნეში დაიწყო ანიმალოთერაპიის „დაბადება“. მეცნიერებმა დაიწყეს მრავალი ფაქტის შესწავლა, დაიწყო მთელი ინსტიტუტების შექმნა, იმართებოდა სემინარები და კონფერენციები. საბავშო ფსიქიატრებმა კი 60-იან წლებში დაიწყეს ძაღლის გამოყენება სამკურნალო მიზნებისათვის!

## ცხოველთა სასარგებლო თვისებები

გაინტერესებთ ჯანმრთელობისათვის რა სარგებელი მოაქვს ცხოველს?

პირველ რიგში, ადამიანი, რომელიც ცხოვრობს მარტო, შინაური ცხოველის აყვანისას ერთგვარად აგვარებს მარტოობის პრობლემას. დამეთანხმეთ, რომ სასიამოვნოა, როდესაც სახლში მოდიხარ და ხედავ სიხარულით აღსავსე ცხოველს, რომელიც ბედნიერია შენი ნახვით. გრძნობ, რომ შენ ვიღაცას სჭირდები და მთელი დღე გელოდა! ხშირად ცხოველებთან ურთიერთობა ავსებს ხალხთან ურთიერთობის ნაკლებობას.

მეორე, ურთიერთობა შინაურ ცხოველებთან გვაძლევს დადებით ემოციებს და ხასიათს გვიკეთებს. ჩვენ ვდუნდებით და ვამჩნევთ, რომ ნელ-ნელა გვშორდება სტრესი ან დეპრესია.

მესამეც, ეს ძალიან სასარგებლოა ბავშვებისთვის. ურთიერთობა შინაურ ცხოველებთან ეხმარება მათ განვითარებას, ასწავლის მათ სიკეთეს და სძენს პასუხისმგებლობას. შინაურ ცხოველებს ასევე შეუძლიათ გახდნენ ბავშვების ნამდვილი და საუკეთესო მეგობრები, განსაკუთრებით თუ ოჯახში მხოლოდ ერთი ბავშვია!

## ანიმალოთერაპიის ტიპები

იპოთერაპია – ურთიერთობა ცხენებთან, ცხენით ჯირითიც იპოთერაპიას განეკუთვნება. იპოთერაპია ძალიან ეფექტური მკურნალია და იგი ენიშნებათ ისეთი დაავადების მქონე პაციენტებს როგორიცაა, სქოლიოზი, ათეროსკლეროზი, გონებრივი ჩამორჩენილობა და სხვა მრავალი. საკმარისია მხოლოდ 20 წუთი ცხენზე ჯირითი, რომ მოიშოროთ დეპრესია.

კანისთერაპია – მკურნალობაში გამოიყენება ძაღლები. ამ ტიპის ანიმალოთერაპია გამოიყენება იმ ხალხის სამკურნალოდ, რომლებიც ცოტას მოძრაობენ. ყოველდღიური ძაღლის გასეირნება ამცირებს სისხლძარღვებისა და გულის დაავადებების რისკს. ურთიერთობა ძაღლთან ხდის ადამიანს (ბავშვს) მეტად კომუნიკაბელურს. ეს მეთოდი ასევე ეფექტურია ნერვოზის დროსაც.

პაციენტებთან დაიშვებიან მხოლოდ მშვიდი და „ზრდილი“ და არა – აგრესიული ძაღლები.

ფელინაროთერაპია – ეს არის მეთოდი



კატებით მკურნალობის. კატებს გააჩნიათ ყველაზე ძლიერი ბიოველი, ისინი შინაური „ექსტრასენსები“ არიან. ალბათ გაგიგიათ რამე მონაყოლი, როგორ უმკურნალა კატამ თავის პატრონს – წვებოდა დაავადებულ ადგილზე და ტკივილი ქრებოდა. კატები ამშვიდებენ ნერვულ სისტემას, ხელს უწყობენ არტერიული წნევის დაწევას, აძლიერებენ იმუნურ სისტემას, მკურნალობენ ანთებით დაავადებებს და აშორებენ თავის ტკივილს. ძვლებს მოტეხილობის შემთხვევაში, კატის კრუტუნი ყველაზე სწაფად ახორცებს მათ!!!

რა თქმა უნდა, არის ხალხი, რომელთაც აღიზიანებს კატების კრუტუნი, ამიტომ მათთვის არსებობს სხვა ტიპის ანიმალოთერაპია.

დელფინოთერაპია – როგორც მიხვდით, ეს არის ურთიერთობა დელფინებთან. ეს ხსნის პაციენტის ფსიქიკურ დაძაბულობას. ანიმალოთერაპიის ეს ტიპი დაგეხმარებათ გადაიტანო გარკვეული პერიოდი, რაიმე ფსიქიკური ტრამვის შემდეგ, ან ძლიერი სტრესი. დელფინთა პაციენტებად ითვლებიან ბავშვები, რომლებიც დაავადებულნი არიან აუტიზმით და ოლიგოფრენიის დაავადებებით. ასევე დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებიც. დელფინებთან ურთიერთობის შემდეგ ადამიანებს უვითარდებათ არასტანდარტული, ხელოვნური ხედვა, ასევე აქტიურდება ინტუიციაც.

## ჩიტები

ჩიტებიც სასარგებლო ოჯახის ცხოველები არიან. მელანქოლიურ პიროვნებებს ფრინველები ეხმარებიან გახდნენ უფრო კომუნიკაბელურები და მხიარულები ჩიტის ჭიკჭიკი ძალიან დადებითად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე.

## თევზები

კაბინეტებში სასარგებლოა გქონდეთ აკვარიუმი. თევზებზე ყურება ეფექტურად ხსნის სტრესს. ზედმეტად აქტიურ ადამიანებს კი ეხმარება გახდნენ უფრო მშვიდი. რა თქმა უნდა, თუ ეს არ არის აკვარიუმი პირანიებით!



**რჩევები და გაფრთხილებები:**

სანამ რაიმე ცხოველს შეიძენდეთ კარგად გაერკვიეთ მათი მოვლისა და საჭირო საცხოვრებელ პირობებში, ასევე ამათ დადებით მხარესთან ერთად გაარკვიეთ უარყოფითი მხარეებიც და ისე შეარჩიეთ სასურველი ცხოველი.

ზოგიერთ ადამიანს არ შეუძლია შინაური ცხოველების გარეშე ცხოვრება, ზოგისთვის კი საკმარისია ქალაქგარეთ ტყეში სეირნობა და ბულბულის გალობის მოსმენა. ცხოველის აყვანის ან ყიდვის შემთხვევაში თქვენ ხართ სრულიად თავისუფალნი, გირჩევთ ნუ იქნებით გულგრილნი ჩვენი პატარ მეგობრებისადმი, ისინი მადლობას თავის სამედიცინო შესაძლებლობებით გადაგვიხდიან.

**მოამზადა**
**ია გიგიაშვილმა**

# ხორბლის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგია

## საშემოდგომო ხორბალი — თესვა, მოვლა, მოყვანა



ხორბალი მთელ მსოფლიოში მეტად მნიშვნელოვანი კულტურაა. ადამიანისთვის საჭირო სასურსათო პროდუქტთა შორის პურს გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილი უკავია, რის გამოც ხორბლის მარცვალზე მოთხოვნილება ყველაზე მაღალია.

საქართველო აღიარებულია ხორბლის წარმოშობის პირველად კერად. ქართველ ხალხს ამ კულტურის მოვლა-მოყვანის უძველესი ტრადიცია გააჩნია. სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში ხორბლის ნათესი ფართობი მკვეთრად შემცირდა და 50-60 ათას ჰა-ზე ითესება.

საშემოდგომო ხორბალი ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით. მისი პოტენციალის გამოვლენა დამოკიდებულია ჯიშის გენეტიკურ ფაქტორებზე, გარემო პირობების გავლენაზე, სათესლე მასალის ხარისხზე, დაავადებებისა და მავნებლებისადმი გამძლეობაზე და აგროტექნიკური ღონისძიებების დროულ და ხარისხიან ჩატარებაზე.

ხორბლის კულტურა ნოყიერ ნიადაგს მოითხოვს. მაღალ მოსავალს იძლევა მხოლოდ საკვები ელემენტებით მდიდარ აგროფონზე. თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით ხორბლის მოსავლიანობა, წვრილი ფერმერული მეურნეობისთვისაც კი შესაძლებელია გაიზარდოს 4,5 – 5,5 ტ/ჰა-ზე.

### ნიადაგის განოყიერება

მინერალური სასუქების ოპტიმალური დოზების ნორმა რეგიონებისა და ნიადაგების ტიპის მიხედვით საკმაოდ მერყევია: აზოტი 30-60-90 კგ/ჰა, ფოსფორი 50-90 კგ/ჰა და კალიუმი 45-60 კგ/ჰა.

სარწყავი წყლით და ტენით უზრუნველყოფილ მიწებზე მინერალური სასუქების შეტანა უფრო მაღალი დოზით უნდა მოხდეს, ვიდრე ურწყავ და გვალვიან ზონებში, რადგან ტენით უზრუნველყოფილ პირობებში მცენარე მინერალურ სასუქებს უკეთ ითვისებს და მისი ეფექტიც მეტია.

უკეთესია თუ ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები მთლიანად შეტანილი იქნება ძირითადი ხვნის დროს ან, სასუქის 2/3 ძირითადი ხვნის დროს, ხოლო 1/3 თესვის წინა კულტივაციის დროს. ამ პერიოდში შეტანილი უნდა იქნეს აზოტოვანი სასუქიც.

ნიადაგში მინერალური სასუქის შეტანა უნდა მოხდეს სამჯერ:

ძირითადი განოყიერება — ხვნის წინ, ან ხვნისთანავე;

სასტარტო განოყიერება — თესვის დროს;

ნათესის გამოკვება.

### თესლბრუნვა

ხორბლის კულტურის თესლბრუნვისთვის კარგი წინამორბედებია: სამარცვლე პარკოსანი კულტურები, სასილოსე სიმინდი, სიმინდი მწვანე საკვებად, ერთწლოვანი პარკოსნებისა და მარცვლოვნების (შვრიანარევი ბარდა ან ცერცველა) ნარევი მწვანე საკვებად, მრავალწლოვანი ბალახების კორდი, მზესუმზირა.

აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ მიწებზე საშემოდგომო ხორბლის დასათესად სასურველი წინამორბედებია: სამარცვლე სიმინდი (მოკლე ვეგეტაციის), სასილოსე სიმინდი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები, მრავალწლოვანი ბალახების კორდი, სანაწვერალო კულტურები, სამარცვლე-პარკოსანი კულტურები (ლობიო, სოია, მუხუდო), ანეული.

როგორც სარწყავ, ისე ურწყავ პირობებში დასაშვებია ხორბლის ორი წლის მანძილზე ზედიზედ თესვაც, მაგრამ სამწუხაროდ, აღმოსავლეთ საქართველოს ურწყავ, გვალვიან პირობებში ხორბლისათვის სასურველი წინამორბედების დეფიციტის გამო, იძულებით ხდება ხორბლის ერთსა და იმავე ნაკვეთზე რამოდენიმე წელიწადს ზედიზედ თესვა.

### ნიადაგის დამუშავება

ნიადაგის მოხვნის ოპტიმალური ვადა არის მისი ფიზიკური სიმწიფე, როდესაც ნიადაგში წყლის რაოდენობა მისი წონის 15-21%-ს შეადგენს. არსებობს ნიადაგის დამუშავების რამოდენიმე მეთოდი:

ტრადიციული ტექნოლოგია ითვალისწინებს ნიადაგის ძირითად დამუშავებას — ხვნას ფრთიანი გუთნით. ხვნის დროს ხდება ბელტის გადაბრუნება, რაც ხელს უწყობს ქვედა ნაწილში არსებული ნაყოფიერი მიწის ზემოთ ამოტანას.

საადრეო წინამორბედების შემდეგ ნიადაგი უნდა მოიხნას მოსავლის აღებისთანავე 25-27 სმ სიღრმეზე და ხორბლის თესვამდე დამუშავდეს ნახევრად ანეულის წესით.

საგვიანო წინამორბედების მოსავლის აღება უნდა ჩატარდეს შემჭიდროვებულ ვადებში იმ ვარაუდით, რომ ხორბლისათვის ნიადაგი მომზადდეს თესვამდე 10-15 დღით ადრე.

მინიმალური (Mini-Till) დამუშავების ტექნოლოგიით რამოდენიმე ტექნოლოგიური პროცესი ერთ სამუშაო ოპერაციაში ერთიანდება. ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს ნიადაგის დამულჩვით დამუშავების ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებს ნაწვერალის და სხვა მცენარეული ნარჩენების გამოყენებას ტენის შენახვის და დაგროვებისათვის, ხოლო კოკისპირული წვიმის დროს ნიადაგის დაცვას ჩამორეცხვისა და ზედმეტად დატენიანებისგან.

ეს მეთოდი უფრო თანამედროვეა, ამცირებს ხარჯებს და თვითღირებულებას.

ნულოვანი (No-Till) ტექნოლოგიის გამოყენებისას ნიადაგის სტრუქტურის დარღვევა მისი დამუშავების დროს ფაქტობრივად არ ხდება. მეთოდი ითვალისწინებს მარცვლეული კულტურების თესვას მოუხნავად. სარეველებთან ბრძოლა ხდება ქიმიური საშუალებებით.

ნულოვანი ტექნოლოგიის გამოყენების დროს ნიადაგს ხუთ წელიწადში ერთხელ სჭირდება ღრმად (25 – 30 სმ) მოხვნა ბელტის გადაბრუნებით.

ღრმადხვნის ტექნოლოგია ითვალისწინებს ნიადაგის გაფხვიერებას 50 სმ-ის სიღრმეზე, ღრმად გაფხვიერების დროს ინგრევა წინა წლებში ერთსა და იმავე სიღრმეზე (22-25 სმ) ხვნის შედეგად წარმოქმნილი ხნულის ძირი და ნიადაგის ღრმა ფენებში ჰაერაცია და წყლის რეჟიმი უმჯობესდება, იზრდება ტენტევადობა, მიკრობიოლოგიური პროცესების ცხოველმყოფელობა და მცენარეს ზრდა-განვითარების უკეთესი პირობები ექმნება.

### თესლის მომზადება და თესვა

მაღალხარისხიანი თესლით თესვა მაღალი მოსავლის მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. დასათესად გამოყენებული უნდა იქნეს სათესლე ნაკვეთებიდან მიღებული, გასავრცელებლად დაშვებული ჯიშის ხორბლის მარცვალი, რომელიც აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს თესლის სისუფთავისა და გაღვივების უნარის მიმართ.

აუცილებელია სათესლე მასალის თესვისწინა დამუშავება სოკოვანი დაავადებებისა (გუდაფშუტა, ჟანგა, ნაცარა) და ფესვის სიდამპლის საწინააღმდეგოდ.

საშემოდგომო ხორბლის თესლის რაოდენობა ჰექტარზე არ უნდა იყოს 180-200 კგ.-ზე ნაკლები. მკაცრი ზამთრის პირობებში, ასევე დასარევლიანებულ მინდვრებზე სათესი ნორმა იზრდება ჰექტარზე 250 კგ-მდე.

თესვის შემდეგ ნათესი საგორავით უნდა მოიტკეპნოს. მოტკეპნის ღონისძიება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშრალ, გვალვიან პირობებში და ქარისმიერი ეროზიის ზონებში.

საშემოდგომო ნათესებისათვის აუცილებელია საშემოდგომო რწყვა (სადაც არსებობს ამის პირობები).

### ნათესის მოვლა

სარეველებთან ბრძოლა მოსავლიანობის მეტად მნიშვნელოვანი და ეფექტიანი ღონისძიებაა. სარეველების წინააღმდეგ ჰერბიციდს ასხურებენ ხორბლის ბარტყობის ფაზაში, მაშინ, როცა ჰაერის ტემპერატურა მიაღწევს 16-18°C-ს.

ჰერბიციდთან ერთად ეფექტიანია მიკროელემენტების შემცველი სასუქების (ორგანიკა 5 ლ/ ჰა; ნუტრივანტი ან კრისტალონი 2-3 ლ/ჰა) შესხურება. ეს სასუქები ზრდის ჰერბიციდების მოქმედების ეფექტს, მცენარეს უხსნის ჰერბიციდით გამოწვეულ სტრესს და ახდენს მცენარის ფოთლოვან გამოკვებას მიკროელემენტებით.

შემოდგომაზე ნათესში ბარტყობის გასაძლიერებლად და ზამთარგამძლეობის გასაზრდელად ნუტრივანტის ან ამინოკატის შეტანა ხდება. გაზაფხულზე ნათესის სწრაფი გამოჯანსაღებისა და ზრდა-განვითარების დაჩქარების მიზნით, მიმართავენ ჯეჯილის საგაზაფხულო გამოკვებას უმთავრესად აზოტოვანი სასუქებით.

სასუქის შეტანასთან ერთად, გაზაფხულზე ხორბლის ჯეჯილი შეიძლება მსუბუქი კბილებიანი ფარცხით დაიფარცხოს. თანამედროვე ტექნოლოგიით მაღალი მოსავლის მისაღებად ეფექტიანი ღონისძიებაა ფოთლიდან კვება.

პირობების გათვალისწინებით, გამოკვება შესაძლოა ჩატარდეს 3-5-ჯერ ნუტრივანტით, ამინოკატით და კრისტალონით. მოსავლის დაცვის მიზნით დაავადების და მავნებლის პირველი სიმპტომების გამოჩენისთანავე საჭიროა შესაბამისი პესტიციდების გამოყენება.

### მოსავლის აღება

მოსავლის აღება მეტად საპასუხისმგებლოა და მისი გაჭიანურება ყოვლად დაუშვებელია, რადგან აღების დაგვიანება იწვევს არა მარტო მოსავლის შემცირებას, არამედ მარცვლის ხარისხის გაუარესებასაც.

გამოლეწილი მარცვალი გადაიტანება კალოზე — ღია ფარდულის ქვეშ, სადაც ხდება მარცვლის საბოლოო გაშრობა ისე, რომ მარცვლის ტენიანობა 13-14%-ს არ აღემატებოდეს. შემდეგ მარცვალი სათანადო აგრეგატით გაიწმინდება და დახარისხდება.

**წყარო:**
**სოფლის მეურნეობის სამინისტრო**



## თხილი — ადგილის შერჩევიდან მოსავლის აღებამდე

უკანასკნელ წლებში თხილის ბაღების გაშენება აქტიურად დაიწყო საქართველოს ბევრ რეგიონში, რაც გამოწვეულია ამ კულტურისადმი მზარდი მოთხოვნილებით ევროპაში.

### თხილის კულტურის მნიშვნელობა

თხილს (corujlusl) კაკლოვანთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თხილის გული მდიდარია ცხიმებით 60-70%, ცილებით 15-16%, მაკრო და მიკროელემენტებით. თხილის ზეთი ადვილი შესათვისებელია ადამიანის ორგანიზმის მიერ, გამოიყენება როგორც ნედლი, ისე მოხალული.

კალორიულობით თხილის გული ხორბალს აჭარბებს 2-3 ჯერ , ხორცს 3-4 ჯერ, რძეს 8-9 ჯერ. თხილის გული შეიცავს ლეციტინს, რომელიც ხელს უწყობს თავის ტვინის ნორმალურ მუშაობას, აჯანსაღებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას, აუმჯობესებს მეხსიერებას; მდიდარია კალიუმის, ფოსფორისა და მაგნიუმის მარილებით. თხილი საუკეთესო საშუალებაა იოდდეფიციტის შესავსებად.

თხილს აქვს ძლიერი და ამავე დროს ნიადაგის ზედა ფენებში ჰორიზონტალურად განლაგებული ფესვები, რითაც ამაგრებს და იცავს ნიადაგს ჩამორეცხვისგან და სხვა კულტურებისათვის გამოუყენებელ ფერდობ ადგილზე გაშენების შესაძლებლობას იძლევა.

### თხილის ბიოლოგიური თავისებურებანი

თხილი მრავალწლოვანი მერქნიანი, ფოთოლმცვენი მცენარეა. ჯიშებისა და ადგილმდებარეობის მიხედვით იზრდება 2-დან 10 მეტრამდე, ცოცხლობს 60-80 წელს. ახალგაზრდა მცენარე ძლიერი ზრდით ხასიათდება, იძლევა უხვ ამონაყრებს, რომელიც მცენარის გამრავლების საუკეთესო და იაფი საშუალებაა. ამონაყრებს უხვად ინვითარებს: კუდრიავჩიკი, შველისყურა, გულშიშველა, საივანობო, ხოჯი და ნემსა.

### თხილის ბაღების გასაშენებლად ადგილის შერჩევა

ფერმერმა უნდა იცოდეს, რომ თხილი ნიადაგისადმი დიდი შეგუებით ხასიათდება, იგი კარგად ხარობს როგორც მჟავე, ისე ნეიტრალურ და ტუტე ნიადაგებზე. მისთვის საუკეთესოა ჰუმუსით მდიდარი სტრუქტურული ნიადაგები და ვერ ეგუება ჭარბტენიან და ბიცობ ნიადაგებს. წყლისადმი საკმაოდ მომთხოვნია, იტანს სიმშრალესაც.

### ნიადაგის პირველადი დამუშავება

ფერმერმა კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ თხილის სამრეწველო ბაღების გაშენებისას შერჩეული ნაკვეთების პირველადი დამუშავების მიზანია: ნიადაგში წყლისა და ჰაერის რეჟიმის გაუმჯობესება, ფესვთა სისტემის განვითარებისათვის გაუმტარი ფენის რღვევა-გაფხვიერება, ნიადაგის საკვები ნივთიერებით გამდიდრება და სარეველების მოსპობა.

ტყითა და ბუჩქებით დაფარული ადგილები იწმინდება და სუფთავდება.

ვაკე და მცირე დაქანების ფერდობებზე ტარდება ნიადაგის ძირითადი დამუშავება 40 სმ. სიღრმეზე, რომლის დროსაც ჰექტარზე 250 კგ. ფოსფორი და 200 კგ. კალიუმის სუფთა ელემენტი უნდა შევიტანოთ.

15-200 – ზე მეტი დაქანების ფერდობებზე ნიადაგის მთლიანი დამუშავება მიზანშეწონილი არ არის, არამედ, მცენარის დასარგავ ადგილებში უნდა ამოვიღოთ 0,8 მ დიამეტრისა და 0,4 მ სიღრმის ორმოები, რომელშიც შეიტანება სასუქები და მომზადდება დასარგავად. დიდი დაქანების ფერდობებზე რეკომენდებულია ტერასების მოწყობა.

### ნაკვეთის დაგეგმვა

ნიადაგის შერჩევისა და წინასწარი მომზადების შემდეგ ეწყობა თხილის ბაღების დაგეგმვა. ბაღები შესაძლებელია გაშენდეს კვადრატულად, სწორკუთხოვნად ან ჭადრაკულად.

თხილის ნარგაობის გაადგილება შეიძლება მოხდეს შემდეგი სქემით:

- 7×6 მ (240 ბუჩქი/ჰა-ზე);
- 7×4 მ (285 ბუჩქი);
- 6×6 მ (278 ბუჩქი);
- 6×4 მ (416 ბუჩქი);
- 5×5 მ (400 ბუჩქი);
- 4×4 მ (625 ბუჩქი).

### ნერგების დასარგავად მომზადება და დარგვა

თხილის გამრავლების ყველაზე ადვილი ხერხი ბუჩქის დაყოფით და ფესვის ამონაყრებით გამრავლებაა.

მეტი ამონაყრები რომ მივიღოთ, საჭიროა ადრე გაზაფხულზე შერჩეული სადედე ბუჩქების ირგვლივ ჩატარდეს ნიადაგის 20 სმ სიღრმეზე გადაბარვა, რითაც ძლიერდება ამონაყრების წარმოქმნა. თხილის ქვეშ სასურველია ნიადაგი გავანოყიეროთ გადამწვარი ნაკელით, სასუქებით, რომ ახალგაზრდა ამონაყრებს შეექმნათ უკეთესი პირობები განვითარებისათვის. გვალვიან პერიოდში ამონაყრები უნდა მოირწყას, გაიწმინდოს სარეველებისაგან. ამონაყრები ნოემბერში უნდა ამოვიღოთ ბარით, ფრთხილად, ფესვების დაზიანების გარეშე და დავახარისხოთ.

კარგად განვითარებული სტანდარტული ნერგები მუდმივ ადგილზე ირგვება, ხოლო უმრავლესობა სუსტი ნერგები უნდა გადავიტანოთ სპეციალურ სანერგეში მომდევნო წლისათვის.

თხილის ბაღის გაშენება უმჯობესია შემოდგომით (ოქტომბერ-ნოემბერი), თუმცა შეიძლება ადრე გაზაფხულზეც. მცენარეთა დასარგავად მონიშნულ ადგილზე იღებენ 40×40 სმ სიღრმის ორმოებს, ხოლო დაქანებულ ფერდობებზე, სადაც არ ჩატარებულა ნიადაგის მთლიანი დამუშავება, 80×50 სმ სიღრმის ორმოებს.

ორმოებში შეიტანება 8-10 კგ გადამწვარი ნაკელი, 150 გრ ფოსფორიანი და 100 გრ კალიუმიანი სასუქი. ყველა კომპონენტი კარგად აირევა მიწასთან ერთად და ორმო შეივსება, შემზადდება. დარგვის წინ ნერგები ფრთხილად გადაიტანება ნაკვეთზე. სასურველია, ნერგის ფესვები ამოევლოს წუნწუხში. ორმოში ირგვება 1, 2 ან 3 ნერგი.

ბაღის გაშენების დასასრულს, მებაღე ფერმერი ადგენს განაშენიანების პასპორტს, რომელშიც ასახული უნდა იქნას:

- ნაკვეთის ადგილმდებარეობა;
- ნიადაგის ტიპი;
- ბაღის ჯიშური შედგენილობა;
- გაშენების სიხშირე-გაადგილება;
- გაშენების წელი.

მებაღე ვალდებულია ყოველწლიურად დააფიქსიროს ბაღში მიმდინარე პროცესები, რომლებიც უარყოფითად აისახება მცენარეთა პროდუქტიულობაზე (ყინვა, გვალვა, სეტყვა, ქარიშხალი და სხვა).

### ახალგაზრდა ბაღების მოვლა

ფერმერმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს: თხილის ახალგაზრდა ბაღებში ნერგების მუდმივ მეთვალყურეობას, გასხლვას, კულტივაციას, თოხნას და ა.შ.

ახალგაზრდა ბაღში ყოველწლიურად შეაქვთ ორგანული სასუქი , ნაკელი, ტორფკომპოსტი, მინერალური სასუქებიდან: აზოტი 120კგ, ფოსფორი 90კგ და კალიუმი 60კგ ჰექტარზე.

დარგვიდან მესამე-მეოთხე წელს ბუჩქის ფესვის ყელიდან ამონაყრების ზედმეტი ტოტები უნდა გამოისხლას.

### ვარჯის გასხვლა-ფორმირება

თხილის ბაღებში ნარგავების ფორმირებას უკვე მესამე წლიდან იწყებენ იმ მიზნით, რომ სრულმსხმოიარობაში შესვლისას ბუჩქში შტამების რაოდენობა, ლიდერი ტოტების სახით 8-10-ს არ აღემატებოდეს.

მაღალხარისხოვანი, რეგულარული მოსავლის მისაღებად, თხილის სამრეწველო ბაღში სხვლა-ფორმირების სამუშაოების ჩატარება მოიცავს სუსტი, დაკნინებული, დაავადებული და მექანიკურად დაზიანებული დედატოტების მოცილებას და ვარჯის გამოხშირვას; ამასთან ერთად, გადანაჭერი ადგილების დამუშავებას ბაღის მალამოთი (1 წილი კანიფოლი, 2 წილი ფუტკრის ცვილი და 1 წილი ცხოველური ცხიმი).

გაგრძელება მე-10 გვ. -ზე

# ვაშლის მოვლა-მოყვანა



### ზოგადი ინფორმაცია

ვაშლი ყველაზე ფართოდ გავრცელებული თესლოვანი ხეხილოვანი კულტურაა, რომელიც ზომიერ სარტყელში პირველ ადგილს იკავებს მნიშვნელობის მიხედვით. საქართველოში ხილის მთლიან წარმოებაში ყველაზე დიდი წილი სწორედ ვაშლს უჭირავს.

ვაშლი მაღალი კვებითი და დიეტური ღირებულებით გამოირჩევა. ნაყოფი მდიდარია ნახშირწყლებით, ორგანული მჟავებით, ვიტამინებით და ჯანმრთელობისათვის სასარგებლო სხვა ნივთიერებებით.

ვაშლის ნაყოფი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ანტიოქსიდანტური (ანტიოქსიდანტები ნივთიერებებია, რომელთაც აქვთ უნარი დათრგუნონ ორგანიზმში მიმდინარე ჟანგვითი პროცესები) თვისებებით ხასიათდებიან. სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ ვაშლის რეგულარული მოხმარება აძლიერებს იმუნურ სისტემას, ამცირებს სისხლის არტერიულ წნევას და ინფარქტის ალბათობას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას.

ბუნებრივ პირობებში ვაშლი წარმოადგენს საშუალო ან დიდი ზომის ხეს, რომელიც ცოცხლობს და მსხმოიარობს 60 — 80 წელს.

კომერციულ წარმოებაში ვაშლის ბაღის მსხმოიარობაში შესვლის დრო, მოსავლის რაოდენობა და ექსპლოატაციის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნარგაობის ტიპებზე, ფორმირების წესზე, ჯიშზე და საძირეზე. ამ ეტაპზე, სამრეწველო ნარგაობებში ხნოვანება, როგორც წესი, არ აღემატება 15-20 წელიწადს.

### გაშენების სისტემები

ბაღში მცენარეთა განლაგების სწორი სისტემის შერჩევა საშუალებას იძლევა ფართობის ერთეულზე განლაგდეს მცენარეთა ოპტიმალური რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მცენარეთა მიერ კვების არის მაქსიმალური ათვისება, სინათლის ეფექტიანი გამოყენება, ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია, გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება.

ამჟამად, ფართოდ გამოიყენება მცენარეთა სწორკუთხოვანი განლაგება.

ვაშლის დარგვა შესაძლებელია როგორც შემოდგომით, ასევე გაზაფხულზე. ნახევრად ინტენსიურ ბაღებს საშუალო ზრდის საძირეებზე აშენებენ კვების არით 5,0 X 3,0, მ 5.0X 2.50 მ.

გავრცელებულია ვაშლის ბაღის შემდეგი ტიპები:

სტანდარტული ბაღი, ნახევრად ინტენსიური და ინტენსიური.

სტანდარტული ბაღი — იყენებენ ძლიერ საძირეზე დამყნილ ნერგებს. მცენარეთა რაოდენობა ჰექტარზე არ აღემატება 250-300 ხეს. ბაღი მსხმოიარობაში შედის გვიან, დარგვიდან მე-7-8 წელს, გამოირჩევა მაღალი ადაპტაციის უნარით გარემო არახელსაყრელი პირობების მიმართ.

ნახევრად ინტენსიური ბაღი — შენდება საშუალო სიძლიერის საძირეზე დამყნილი ნამყენი ნერგისაგან. არ მოითხოვს საყრდენ სისტემას. ვაშლის ბაღებში საძირეებად გამოიყენება 7, 106, 26. მცენარეთა რაოდენობა ჰექტარზე აღწევს 700-1000 ხეს.

მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მე-4-5 წელს. ფორმირების გავრცელებული ტიპია – ცენტრალური ლიდერული და გაუმჯობესებული იარუსიანი. ხეების საშუალო სიმაღლე აღწევს 3 — 3.5 მეტრს.

ინტენსიური („მოკლე ციკლის“) ბაღი — მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ტიპია ვაშლის კულტურისთვის. ბაღი შენდება საყრდენ სისტემაზე ნაგალა საძირეზე დამყნილი ნამყენი ნერგისაგან. ვაშლისთვის საძირეებად გამოიყენება 9-ს სხვადასხვა კლონი ჟმ1, ჟ2,337 ან მ26. მცენარეთა რაოდენობა ჰექტარზე გაზრდილია და აღწევს 1650-3300 ხეს.

ბაღი შენდება კარგად განვითარებული ერთწლიანი ან ორწლიანი ფორმირებულვარჯიანი ნერგით. მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მე-2-3 წელს. ფორმირების გავრცელებული ტიპია – შპინდელი, მაღალი შპინდელი, სლენდერ-შპინდელი, ფრანგული თითისტარისებრი, ჰაიტეკი, სოლაქსი და სხვა.

### ნაკვეთის მომზადება დასარგავად

დარგვამდე ნიადაგის მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და როგორც წესი იწყება გაშენებამდე რამდენიმე თვით ადრე. ნიადაგის ზედაპირის მოსწორების შემდეგ, საჭიროა ნიადაგის ღრმად დამუშავება 40 — 60 სმ-ზე, საპლანტაჟე გუთნის ან ღრმა „ჩიზელების“, „რიპერების“ გამოყენებით.

დარგვამდე, ნიადაგის ანალიზის შესაბამისად, ხდება მინერალური სასუქებით განოყიერება. ასევე, ორგანული სასუქების (გადამწვარი ნაკელი, კომპოსტი და სხვა) დამატება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას, ნაყოფიერებას და ტენის შეკავების უნარს. ნიადაგის მომზადების აუცილებელი ღონისძიებები უნდა დასრულდეს დარგვამდე რამდენიმე თვით ადრე.

### ნერგების შერჩევა

სამრეწველო დანიშნულების ვაშლის ბაღის გაშენებისთვის რეკომენდებული დასარგავი მასალაა ერთწლიანი ან ორწლიანი ნერგი. როგორც წესი, ვაშლის ნერგის ხარისხი დამოკიდებულია შტამბის დიამეტრზე, ფესვთა სისტემაზე და ტოტების რაოდენობაზე.

დასარგავად შერჩეული ნერგი უნდა იყოს სულ მცირე 1.2 — დან 1.8 მეტრამდე სიმაღლის, უნდა ჰქონდეს კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა და სწორი ღერო. შტამბის დიამეტრი ფესვის ყელიდან 10-15

სმ-ის სიმაღლეზე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 12-15 მმ-ს. შედარებით პატარა ზომის ნერგის დარგვის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ მის ჩამოყალიბებას უფრო მეტი დრო და ზრუნვა სჭირდება.

დატოტვილი ნერგებით ბაღის გაშენებისას ფერმერი უფრო ადრე მიიღებს მოსავალს; ასეთი ტიპის ნერგის ფორმირებაც გაცილებით მარტივია. განსაკუთრებით მიზანშეწონილია ე.წ. □კნიპ-ბაუმის» ტიპის დატოტვილი ნერგების დარგვა, რომელსაც საყვავილე კვირტები უკვე ჩასახული აქვთ სანერგეში და მსხოიარობას დარგვიდან მალე იწყებენ. დაუტოტავი ნერგი მისაღებია, როდესაც ხდება ნახევრად ინტენსიური ბაღების გაშენება.

### დარგვა

დარგვის დროს სასურველია ორმო ამოღებული იყოს ბაღის გაშენებამდე რამდენიმე დღით ადრე. ორმოს დიამეტრი უნდა შეადგენდეს 40-50 სმ-ს, ხოლო სიღრმე — 30-40 სმ-ს.



მაღალი სიხშირის ინტენსიური ბაღების გაშენებისას მიმართავენ ნერგების 30-40 სმ-იან ტრანშეებში დარგვას.

დარგვის წინ ნერგებს ათავსებენ მზისგან დაცულ ადგილზე და/ან ფესვების გამოშრობის თავიდან ასაცილებლად, აფარებენ სველ ტილოს.

დარგვის წინ ნერგი უნდა შემოწმდეს და დაზიანებული ფესვის ბოლოები ზომიერად დამოკლდეს. ფესვებს ორმოში კარგად შლიან. ფესვებს შორის სიცარიელე რომ შეივსოს, საჭიროა მიეყაროს ფხვიერი მიწა და ფეხით მიეტკეპნოს. მიწის მიყრისას ნერგი აწევ-დაწევით, ფრთხილად უნდა შეირხეს.

ნამყენი ადგილი თავსდება ნიადაგის ზედაპირიდან 10 – 15 სმ-ის სიმაღლეზე, 9 საძირეზე, 106 საძირეზე — 3-5 სმ-ის სიმაღლეზე.

დარგვის შემდეგ უმჯობესია სარის შედგმა და ნერგის მიბმა.

ნამყენი ადგილის სიმაღლე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საძირით განპირობებული ზრდის ხარისხზე. თუმცა, არ არის რეკომენდებული, რომ დამყნობის ადგილი ნიადაგის დონეზე 10 სმ-ზე მეტ სიმაღლეზე მოექცეს.

### დარგვის შემდგომი ღონისძიებები

დაუტოტავი ნერგის ცენტრალური ლიდერი უნდა დამოკლდეს 100 – 120 სმ-მდე. ნაგალა საძირეზე დამყნობილი (მაგალითად, .9 და .9) ძლიერ დატოტვილი 2 წლიანი ნერგის ცენტრალური ლიდერი და გვერდითი ტოტები არ მოკლდება.

### განოყიერება

ბაღის გაშენების დროს, გასაშენებელ ორმოებსა და ტრანშეებში სასურველია მხოლოდ კარგად გადამწვარი ნაკელის, არამჟავე ტორფის ან ძველი კომპოსტის შეტანა. ასევე შესაძლებელია მცირე რაოდენობის ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა ორმოს ფსკერზე — ერთ ორმოზე, საშუალოდ, 0.1-0,2კგ ფოსფორი, 0,06კგ კალიუმი.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ფესვის სასუქებთან უშუალო კონტაქტმა შესაძლებელია გამოიწვიოს ნერგის ფესვების დაწვა და გახმობა. განოყიერების საორიენტაციო სქემა 90-120, 205 – 90-120, — 60 – 90.

### ნიადაგის მოვლის პრინციპები

ვაშლის ბაღში ნიადაგის მოვლა ერთ-ერთი საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძიებაა, რომლის ძირითადი მიზანია, ოპტიმალური პირობების შექმნა მცენარეების ნორმალური განვითარებისათვის, რათა არ შეიქმნას სირთულეები საკვები ელემენტებით, წყლით და სინათლით ბაღის უზრუნველყოფის, აგრეთვე, სამუშაო ძალისა და ტექნიკის მოძრაობის კუთხით.

თანამედროვე ტიპის ვაშლის ბაღში გამოყენებულია ნიადაგის მოვლის მთავარი პრინციპი: ხეების მწკრივი 0.8-1.0 მეტრის სიგანეზე თავისუფალი უნდა იყოს სარეველებისგან, რომლებიც კონკურენციას უწევენ კულტურულ მცენარეს, ხოლო რიგთაშორისებში გამოყენებული იქნას დაკორდება, რომელიც მიიღწევა ბალახების ხშირი თიბვითა და ნათიბის რიგთაშორისებში ჩატოვებით.

### სხვლა-ფორმირება

ვაშლის ფორმირების საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს ცენტრალურ-ლიდერული წესით ფორმირება, ინტენსიურ ბაღებში იყენებენ შპინდელის, მაღალი შპინდელის, სოლაქსის, იფსილონისებურ, ტატურას და სხვა ტიპის ფორმირების მიდგომებსაც.

### საყრდენის მოწყობა

ინტენსიურ ბაღებში საყრდენი სისტემის მოწყობა ხდება 300 — 350 სმ ხის, ბეტონის ან მოთუთიებული ლითონის ბოძების გამოყენებით. გავრცელებულია 3 ან 4 მავთულიანი შპალერის სისტემები. ბოძებს შორის დაშორება შესაძლებელია იყოს 5 — 8 მეტრი.

### მცენარეთა დაცვა

ვაშლის წარმატებული მოყვანა შეუძლებელია მავნებელი-დაავადებებისგან მიზანმიმართული ინტეგრირებული დაცვის გარეშე.

ვაშლს განსაკუთრებით აზიანებს დაავადებები: ქეცი და ნაცარი, ასევე მავნებლები (ვაშლის და აღმოსავლური ნაყოფჭამიები, ბუგრები, ტკიპები, მენაღმიები და სხვა). ამიტომ აუცილებელია მცენარეთა დაცვის შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება შესაბამისი სქემების გამოყენებით.

### ნაყოფების გამოხშირვა

ვაშლი უფრო მეტ ყვავილს იძლევა, ვიდრე მოსხმა შეუძლია, ამიტომ ადრე ზაფხულში ატარებენ ზედმეტი ნაყოფების შეცლას. ამ ოპერაციის მიზანია: ტოტების ჩამომტვრევის თავიდან არიდება, მსხვილი ნაყოფების მიღება, ნაყოფების ფერის და ხარისხის გაუმჯობესება, მომავალი წლის სანაყოფე კვირტების ჩასახვა, მეწლეობის თავიდან აცილება.

ნაყოფების გამოხშირვის ოპერაციის ჩატარება უნდა მოხდეს ყვავილობის დამთავრებიდან 30 – 40 დღის პერიოდში. გამოხშირვას ახდენენ მაშინ, როდესაც ნაყოფის დიამეტრი გადააჭარბებს 20 მმ-ს.

საქართველოში ეს პერიოდი დაახლოებით ივნისის დასაწყისისთვის დგება. ნაყოფების გამოხშირვა შესაძლებელია როგორც ქიმიური, ისე მექანიკური (ხელით მოცილება) მეთოდებით ან ორივე მეთოდის კომბინაციით.

### მოსავლის აღება

კრეფა უნდა ჩატარდეს მხოლოდ მშრალ ამინდში, წვიმიანი ამინდის შემდეგ კრეფა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაყოფზე წვეთები აღარ იქნება. თუ ხილი დანამულია, კრეფა უნდა გადაიდოს 1-2 საათით, ნამის შეშრობამდე.

კრეფის დროს ხის ვარჯი პირველ და მეორე იარუსებად ნაწილდება; ნაყოფი იკრიფება ჯერ ქვედა იარუსის, შემდეგ კი — ზედა იარუსის ტოტებზე.

ვაშლის კრეფა ხორციელდება შემდეგნაირად: ნაყოფი ხელისგულში თავსდება, შემდეგ ნაყოფის ყუნწში ზევით და გვერდზე გადაწევის გზით ხდება ნაყოფის კრეფა. ამ დროს აუცილებელია ხილის ყუნწის შენარჩუნება.

დაუშვებელია ნაყოფის ტოტიდან ქვევით ჩამოგლეჯა. კრეფის დროს თავიდან უნდა იყოს აცილებული ნაყოფის ერთმანეთთან მიხეთქება და დაჟეჟვა.

აღსანიშნავია, რომ ხილის კანის დაუზიანებლობა და მისი დაუჟეჟავი ზედაპირი განაპირობებს შენახვის გახანგრძლივებას.

კრეფის დროს ყურადღება უნდა მიექცეს, რომ სანაყოფე ტოტები არ დაზიანდეს და არ დაიმტვრეს. ზაფხულის ზოგიერთი ჯიში მწიფდება სხვადასხვა დროს, ამიტომ ორ-სამ ვადაში კრეფას მოითხოვს.

### ჯიშები

გოლდენ დელიშესი — ყველაზე გავრცელებული ჯიშია მსოფლიოში. ცნობილია ამ ჯიშის მრავალი კლონი, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია გოლდენ სმუტი, გოლდენ ბი, გოლდენ რეინდერსი, გოლდსპური და სხვა.

ხე საშუალო ზრდისაა, ადრე შედის მსხმოიარობაში, მაღალმოსავლიანია, მოითხოვს ნაყოფების დანორმებას. ნაყოფი ყვითელი ფერისაა, კონუსური, საშუალო ან დიდი ზომის, ხასიათდება საუკეთესო საგემოვნო თვისებებით, იკრიფება სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში, ინახება აპრილ-მაისამდე, მაღალპროდუქტიული წამყვანი ჯიშია.

ზამთრის ბანანი — ვაშლის ამერიკული ჯიშია. ხე საშუალო ზრდისაა, მაღალმოსავლიანია, ნაყოფი ყვითელი ფერის, მრგვალი, მზის მხარეს ალისფერი ლოყით, საშუალო ან დიდი ზომისაა, აქვს დამახასიათებელი არომატი, ხასიათდება საუკეთესო საგემოვნო თვისებებით, იკრიფება სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში, ინახება მარტ-აპრილამდე. მაღალპროდუქტიული ჯიშია, თუმცა კარგავს პოპულარობას.

კეხურა — ადგილობრივი ჯიშია. აერთიანებს კლონების პოპულაციას, რომელიც განსხვავდება ერთმანეთისგან შეფერვით, შენახვისუნარიანობით და რბილობის წვნიანობით. ხე ძლიერი ზრდისაა, მსხმოიარობაში გვიან შედის, მაღალმოსავლიანია, ხასიათდება მეწლეობით.

ნაყოფი წითელი ფერისაა, მრგვალი, მსხვილი, საგემოვნო თვისებები საშუალოა. იკრიფება ოქტომბრის ბოლოს, კარგად ინახება მაის-ივნისამდე. მაღალპროდუქტიული ჯიშია, რეკომენდებულია სამრეწველო მეხილეობის ზონისთვის.

შამპანური რენეტი — ძველი ევროპული ჯიშია. ხე საშუალო ზრდისაა, მალე შედის მსხმოიარობაში, მაღალმოსავლიანია, ნაყოფი ყვითელი ფერის, საშუალო ზომის, კანი გლუვი, პრიალა. ზოგჯერ ალისფერი ლოყით, ფორმით შებრტყელებული, საშუალო ზომის, იკრიფება სექტემბრის ბოლოს — ოქტომბრის დასაწყისში, ინახება აპრილ-მაისამდე, ნელ-ნელა კარგავს პოპულარობას.

ქართული სინაპი — ადგილობრივი ჯიშია. ხე ძლიერი ზრდისაა, გვიან შედის მსხმოიარობაში, მაღალმოსავლიანია, ნაყოფი მოგრძო-ცილინდრული ფორმისაა, მწვანე ფერის, მზის მხარეს შეფერილია ჟოლოსფერ-წითლად. იკრიფება ოქტომბრის მეორე ნახევარში, ინახება აპრილ-მაისამდე. რეკომენდებულია სამრეწველო მეხილეობის ზონისთვის.

რედ დელიშესი — ცნობილი ამერიკული ჯიშია, ნაპოვნია მე-19 საუკუნეში შემთხვევითი თესლნერგის სახით. გავრცელებულია ამ ჯიშის მრავალი კლონი, რომელთაგან ყველაზე გავრცელებულია სტარკრიმსონი, რედ ჩიფი, სტარკ დელიშესი, ჯერონიმო, რედ კაპი და სხვა.

ხე სუსტი ზრდისაა, მალე შედის მსხმოიარობაში, მაღალმოსავლიანია, მოითხოვს დანორმებას, ნაყოფი წითელი, სრულ სიმწიფეში მუქი იისფერი-შავი, კონუსური, საშუალო ან დიდი ზომის, ხასიათდება კარგი საგემოვნო თვისებებით, იკრიფება სექტემბრის შუა პერიოდში ან სექტემბრის ბოლოს, ინახება მარტ-აპრილამდე. რეკომენდებულია სამრეწველო მეხილეობის ზონისათვის.

გალა — ამ ახალზელანდიური ჯიშის მრავალი კლონი არსებობს, მათ შორის, როიალ გალა, გალა მასტი, გალაქსი, შნიგა, გეილ-გალა, და ა.შ. ხე საშუალო ზრდისაა, ნაყოფი კონუსური ფორმის, საშუალო მასა 170 – 190 გრამია, შეფერვა – ალისფერ-წითელი, დაწინწკლულია ოდნავ შესამჩნევი თეთრი წერტილებით.

გამოირჩევა მიმზიდველი სასაქონლო სახით, საუკეთესო საგემოვნო თვისებებით, სიმწიფეში შედის და იკრიფება სექტემბრის დასაწყისში, მწიფდება არაერთდროულად, იკრიფება ორ ვადაში. მოიხმარება მოკრეფისთანავე. დაავადებების მიმართ მიმღებიანია. სარდაფის პირობებში ინახება მარტ-აპრილამდე. მაღალპროდუქტიული და უხვმოსავლიანი ჯიშია, პერსპექტიულია სამრეწველო მეხილეობის ზონისათვის.

აიდარედი — საგვიანო სიმწიფის პერიოდის ამერიკული ჯიშია (ვაგნერი X ჯონათანი). ხე სუსტი ზრდისაა, ნაყოფი იკრიფება ოქტომბრის მეორე დეკადაში. ჯიში გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით. ნაყოფი საშუალოზე მსხვილია (180-200 გრამი), მომრგვალო ფორმის, კანის ძირითადი შეფერვა მოყვითალოა, რომელიც მთლიანად დაფარულია ალისფერ-წითელი ფერით. რბილობი ხასიათდება სასიამოვნო გემოთი. სარდაფის ჩვეულებრივ პირობებში ინახება მაისამდე, თუმცა შენახვისას ზიანდება კანქვეშა წერტილოვანი სილაქავით. რეკომენდებულია გასავრცელებლად აღმოსავლეთ საქართველოს მეხილეობის სამრეწველო რეგიონებისთვის.

მუცუ — საგვიანო პერიოდის იაპონური ჯიშია (მიღებულია გოლდენ დელიშესისა და ინდოს შეჯვარებით). ხასიათდება საშუალო ზრდის სიძლიერითა და მობრტყო-მომრგვალო ფორმის ვარჯით. მსხმოიარობაში საშუალო საძირეზე შედის მე-4-5 წელს, მოსავლიანობა საშუალო ან მაღალი, ჯიშს მიდრეკილება აქვს მეწლეობისკენ. საუკეთესო დამამტვერიანებლებია: აიდარედი, გოლდენ დელიშესი.

ნაყოფი კონუსური ზომისაა, მსხვილი (210-230 გ), საუკეთესო სასაქონლო სახის, ძირითადი შეფერვა — მომწვანო-ოქროსფერი (ყვითელი), მკაფიოდ გამოხატული კანქვეშა წინწკლებით. პერსპექტიული ჯიშია გასავრცელებლად.

ჯონაგოლდი — ამერიკული ჯიშია, წარმოებაში გავრცელებულია ჯონაგოლდის შემდეგი კლონები: ჯონაგორედი, ჯონიკა, რედ ჯონაპრინცი, ვილმუტა და ა.შ. რბილობი — მოყვითალო, წვრილმარცვლოვანი კონსისტენციის, ოდნავ მომჟავო, მაგრამ მაღალი საგემოვნო თვისებებით. სარდაფის პირობებში ინახება აპრილამდე. პერსპექტიული ჯიშია გასავრეცელებლად.

ფუჯი — იაპონური ჯიშია. ფუჯის მრავალი კლონი არსებობს, მათ შორის, ფუჯი ნაგა-ფუ 12, ფუჯი კიკუ, სან ფუჯი და ა.შ. ხე საშუალო ზრდისაა. ნაყოფი მომრგვალო-კონუსური ფორმისაა, საშუალო მასა — 180-200 გრამი, შეფერვა – წითელი.

გამოირჩევა მიმზიდველი სასაქონლო სახით.რბილობი ხრაშუნა, ყვითელი ფერის, წვრილმარცვლოვანი, ტკბილი გემოსი. იკრიფება ოქტომბრის შუა რიცხვებში. სარდაფის პირობებში ინახება აპრილ-მაისამდე. მაღალპროდუქტიული და უხვმოსავლიანი ჯიშია. მიდრეკილია მეწლეობისკენ. პერსპექტიულია სამრეწველო მეხილეობის ზონისათვის.

გრანი სმიტი — ავსტრალიური ჯიშია. ხე საშუალო ზრდისაა. ნაყოფი მომრგვალო-კონუსური ფორმისაა, საშუალო მასა — 180-200 გრამი, შეფერვა — მწვანე. ნაყოფები დაწინწკლულია შესამჩნევი თეთრი წერტილებით.

გამოირჩევა მიმზიდველი სასაქონლო სახით. რბილობი ხრაშუნა, მომწვანო-მოთეთრო ფერის, გემო მომჟავო-მოტკბო, იკრიფება ოქტომბრის შუა რიცხვებში. სარდაფის პირობებში ინახება აპრილ-მაისამდე. მაღალპროდუქტიული და უხვმოსავლიანი ჯიშია, პერსპექტიულია სამრეწველო მეხილეობის ზონისათვის.

**წყარო: „ჩვენი სოფელი“**
**რედაქცია: აგროკავკასია**



# სვეტი, სიცოცხლის მიმნიჭებელი

შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების არც ერთ ძეგლზე არ არის შექმნილი იმდენი ლეგენდა ან გადმოცემა, რამდენიც სვეტიცხოველზე (და თითქმის ყოველი მათგანი რეალური ისტორიული მოვლენიდან იღებს სათავეს). ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქართველოში ქრისტიანობის უმთავრესი კერა ყოველთვის ერის ყურადღების ცენტრში იყო. ხუროთმოძღვრებითაც სვეტიცხოველი ქართული კულტურის ერთი ურთულესი ძეგლია. პირველმა ლეგენდამ, თუ ლეგენდებით შეზავებულმა ისტორიულმა სინამდვილემ, იმ დროისთვის ჯერ არარსებულ ეკლესიას მიაკუთვნა სახელი – სვეტიცხოველი, სახელი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ქართული ქრისტიანული კერის განუყოფელი ნაწილი იყო. „წმინდა ნინოს ცხოვრების" მიხედვით, იერუსალიმში, გოლგოთის მთაზე ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ქრისტეს პერანგი წილად ხვდა მცხეთელ ებრაელს ელიოზს. „მიხვდა წილითა კვართი უფლისა ჩვენისა ელიოზს" და როგორც უწმინდესი რელიქვია, „მიიღო იგი მცხეთად". მცხეთაში მას მისი და – ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი სიდონია დახვედრია, რომელსაც აუღია კვართი: „...იმთხვია რა პირსა და დაიდვა მკერდსა და ხმა ყო ცრემლით და აღმოუტევა სული". ელიოზმა სიდონია „კვართითურთ დაკრძალა" მცხეთაში, იმ ადგილზე, სადაც დღეს სვეტიცხოვლის ტაძარია აგებული. საფლავზე ამოსულა „ხენი იგი კვიპაროზნი" (სხვა წყაროებში – ლიბანის კედარი ან ნაძვი). მას შემდეგ, რაც მეფე მირიანმა იწამა წმ.ნინოს მიერ ნაქადაგები სარწმუნოება და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად იქნა აღიარებული, ეკლესიის ასაგებად მოჭრეს ხე, მაგრამ ერთი სვეტი ვერ აღმართეს, „რამეთუ საღმრთო ძალი აყენებდა". მას შემდეგ, რაც საქართველოს განმანათლებელმა წმ. ნინომ მთელი ღამე ლოცვაში გაატარა, სვეტი ჰაერში ორი კაცის სიმაღლეზე გაჩერდა და „გამოსცემდა ბრწყინვალებასა და ფრიადსა სულნელებასა". განთიადისას „სვეტი იგი ნათლით შემოსილი მცირე-მცირე ჩამოდიოდა და ძირთავე მისთა ზედა დაემყარა". ეს სვეტი სასწაულმოქმედი იყო, მას მირონი სდიოდა და დავრდომილნი მასთან მიკარების შემდეგ განიკურნებოდნენ. ეს იყო სასწაულმოქმედი „სვეტი ცხოველი", სვეტი, სიცოცხლის მიმნიჭებელი. მირიან მეფის დროს აიგო პირველი ქრისტიანული ეკლესია საქართველოში. რაღა თქმა უნდა, ეს არ იქნებოდა ქართული ქრისტიანული საკულტო ნაგებობის ჩამოყალიბებული სახე. როგორც „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთ რედაქციაშია აღნიშნული, „მაშინ მეფემან შექმნა გარემოის სვეტისა მის საბურველი და დაფარა ხედვისაგან". სვეტიცხოველში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს (1969-1972 წლებში ხელოვნებათმცოდნე – არქიტექტორი ვახტანგ ცინცაძე) ამ თავდაპირველი ნაგებობის კვალი იქნა მიკვლეული. V საუკუნის მეორე ნახევარში, მას შემდეგ, რაც ანტიოქიელი პატრიარქის მიერ ნაკურთხი თორმეტი ეპისკოპოსი და პეტრე კათალიკოსი მცხეთაში მივიდნენ, „მეფემან ვახტანგ ააშენა ეკლესია მოციქულთა სვეტი ცხოველი". ამ ნაგებობის გეგმა გაირკვა სვეტიცხოვლის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ (გეგმა გრაფიკულად აღადგინა ვახტანგ ცინცაძემ). ეს ნაგებობა ბოლნისის სიონის მსგავს სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენდა და მასზე მნიშვნელოვნად დიდი იყო. აქაც, ისევე როგორც ბოლნისში, ნავების გამყოფი სვეტების ხუთი წყვილი იყო, აქაც შვერილი აფსიდია, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, ბოლნისის მსგავსად, აქაც გალერეებია მიშენებული. გორგასლისეულ ბაზილიკას ჩვენამდე არ მოუღწევია. მოგვიანებით, გუმბათიანი ტაძრის აგებისას, მისმა ოსტატმა არსაკისძემ ბაზილიკის არსებული ფრაგმენტები გამოიყენა (აღმოსავლეთის ფასადზე – ხარის თავები, გუმბათქვეშა ბურჯის საფუძველში, დღევანდელ იატაკის დონეზე დაბლა, ჩატანებული ორნამენტული ქვის ფრაგმენტები). ეკლესიის დასავლეთ ნაწილში შენობის ტანში ჩართულია ძველი ბაზილიკის ფრაგმენტები. სვეტიცხოვლის დღევანდელი კათედრალური ტაძარი XI საუკუნის პირველ ნახევარშია აგებული. საქართველოში მშენებელი იშვიათად აწერდა თავის სახელს ეკლესიას, რის გამოც მრავალი მშენებლისა და დამკვეთის სახელი სამუდამოდაა დაკარგული. სვეტიცხოველი ამ მხრივაც გამორჩეული ძეგლია. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადზე სამშენებლო წარწერამ შემოგვინახა დამკვეთის – მელქისედეკ კათალიკოსისა და ხუროთმოძღვრის არსუკისძის სახელები: „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღაშენა ესე წმინდაი ეკლესიაი ხელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაითაო, ღმერთმან განუსოვენე სულსა მისსა". როგორც წარწერიდან ჩანს, არსუკისძე წარწერის გაკეთებისას ცოცხალი აღარ ყოფილა. ქართველმა მეცნიერებმა გიორგი ჩუბინაშვილმა, ნიკო ბერძენიშვილმა და ლევან მუსხელიშვილმა ეკლესიაზე და კარიბჭეზე შემორჩენილი წარწერების ისტორიულ საბუთებთან შეჯერებით დაადგინეს ძეგლის აგების თარიღი. კათედრალის მშენებლობა დაიწყო 1010 წელს და ცხრამეტი წლის შემდეგ 1029 წელს დასრულდა. იმავე ხანებში აიგო სვეტიცხოვლის გალავნის კარიბჭეც. XI საუკუნის პირველი ნახევარი გაერთიანებული საქართველოსათვის ბრძოლის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპთაგანია, რომელიც XII საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლის დროს, ერის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. X საუკუნის დასასრული და XI საუკუნე ეროვნული კულტურის ამაღლების ხანაა, ხანა, როდესაც ეროვნული ამაღლება კულტურის ყველა დარგს შეეხო. აღმავლობა ყველაზე მეტად ხუროთმოძღვრებას დაეტყო. XI საუკუნის დასაწყისის პირველ სამ ათეულ წელიწადში აიგო საქართველოს სამი დიდი კათედრალი: ქუთაისში ბაგრატის ტაძარი, კახეთში ალავერდი და მცხეთაში სვეტიცხოველი. ამ პერიოდში მშენებლობის აღმავლობის უფრო ნათლად წარმოსადგენად არ შეიძლება არ ვახსენოთ სამთავრო, სამთავისი, ნიკორწმინდა, მანგლისი და სხვა. სვეტიცხოვლის ჯვარ-გუმბათიანი ნაგებობის გეგმა აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე დაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს. აღმოსავლეთის მკლავი აფსიდით მთავრდება, დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა. ეკლესიაში მთავარი შესასვლელი დასავლეთიდანაა, კარიბჭის გავლით. ტაძარში შემსვლელს ზემოთკენ მისწრაფებული, უზარმაზარი სივრცე წარმოუდგება თვალწინ. თავისი ზომით სვეტიცხოველი საქართველოში ქრისტიანული კულტის ყველაზე დიდი ნაგებობაა. ის სიმაღლით მხოლოდ ოდნავ ჩამორჩება ალავერდის ტაძარს. ეკლესიის შიდა ჯვრული სივრცე ნავების გადაკვეთითაა მიღებული. ტაძრის ცენტრალურ ნაწილს ნავების გადაკვეთაზე აღმართული გუმბათქვეშა სივრცე წარმოადგენს, რომელიც მძლავრ ბოძებზე დაყრდნობილ 16 სარკმლით გახსნილი გუმბათის ყელითა და გუმბათით მთავრდება (ეს გუმბათი XV საუკუნეშია აღდგენილი, მაგრამ თავდაპირველი გუმბათის ყელის პროპორციებს უნდა იმეორებდეს). კათედრალი მოყვითალო თბილი ტონალობის კარგად გათლილი ქვითაა ნაგები. ოსტატი ფასადთა აგებისას სხვადასხვა – მომწვანო, ღვინისფერი მწვანე, ღია ყვითელი ფერის ქვების ჩართვასაც არ ერიდება. ფასადთა მორთულობის საფუძველს დეკორაციული თაღები წარმოადგენს. აღმოსავლეთის ფასადი სხვადასხვა სიმაღლისა და სიგანის ხუთი თაღითაა გაფორმებული, სადაც სიმაღლით გამოიყოფა შუა, ცენტრალური თაღით შემოფარგლული არე. მის შუა ნაწილში ინტენსიური ღვინისფერი ქვის საპირეთი შემკული საკურთხევლის სარკმელია, ხოლო უშუალოდ თაღის არეში მარაოსავით გაშლილია დეკორი. დეკორს გარშემო თორმეტი დისკო მიყვება, სადაც სამშენებლო წარწერაა მოთავსებული. მეორე წარწერა არსუკისძის სახელით ჩრდილოეთის ფასადზეცაა. ასომთავრული წარწერა „ხელი მონისა არსუკისძისაი, შეუნდვეთ" ქვაზე გამოკვეთილი გონიოს და ხელის გვერდითაა. ლეგენდა ოსტატისთვის ხელის მოკვეთის შესახებ ამ რელიეფური გამოსახულებისა და წარწერის გავლენით უნდა იყოს შექმნილი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფასადთა გაფორმების საფუძველი ისევ თაღების სისტემაა: გრძივ ფასადებზე თაღების სიმაღლის მონაცვლეობა შეფარდებულია კედლის სიბრტყესთან. იქ, სადაც გადახურვის ფრონტალური ნაწილი გამოდის და კედლის სიბრტყეც მაღალია, თაღის სიმაღლე შესაბამისად იზრდება. ორივე ფასადის დასავლეთ მონაკვეთში სამ-სამი თაღი ჰორიზონტალური კარნიზითაა გადაკვეთილი. დასავლეთის ნავის ზედა ფასადის ნაწილში კედლის ზედმეტი მასივის მოსაშორებლად სამ-სამი თაღით შექმნილი ღრმა ნიშებია. დეკორის რეპერტუარი XI საუკუნისათვისაა დამახასიათებელი. დეკორის ნახატი უმთავრესად რთულია და ძლიერ პლასტიკურადაა ნაკვეთი. აღსანიშნავია დასავლეთის ფასადზე სარკმლის თავსართი და დასავლეთისა და სამხრეთის ფასადებზე განსხვავებული ფერის ქვისგან გამოკვეთილი სტილიზებული ვაზის გამოსახულებები. ეკლესიის ფასადებზე ფიგურები ასევე ინარჩუნებენ პლასტიკურობას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კომპოზიცია მაღლაა მოთავსებული, მნახველისათვის მათი მონუმენტურ-პლასტიკური გადაწყვეტა მაინც საგრძნობია. ეკლესიის გუმბათის ყელი, როგორც აღვნიშნეთ, არ არის ძეგლის თანადროული. გუმბათის ყელი XIII საუკუნეში მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა, ხოლო XIV საუკუნის ბოლოს, თემურ ლენგის შემოსევის დროს მნიშვნელოვნად დაზიანდა. იგი XV საუკუნეში აღადგინა ერთიანი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ ალექსანდრემ. ამავე დროს შეაკეთეს ეკლესიის სხვა ნაწილებიც. გუმბათის ყელზე დეკორს XI საუკუნის დამახასიათებელი პლასტიკურობა და სიძლიერე შესამჩნევად აკლია. ტაძარი თავიდან მთლიანად მოხატული იყო. დღეისათვის უმთავრესად XVI-XVII საუკუნეების მხატვრობაა გადარჩენილი. საკურთხევლის აფსიდსა და კონქში ქრისტესა და მთავარანგელოზთა ფიგურები შესაძლოა XI საუკუნეში იყოს მოხატული, რომელიც XIX საუკუნეში თავიდან გადაიხატა. ძველი მხატვრობის ფრაგმენტი ეკლესიაში დასავლეთის კედელზე საკმაოდ მაღლაა შემორჩენილი. აქ შემორჩენილია ბიბლიური სცენის „ქრისტე და სამარიტელი ჭასთან" ნაწილი ქრისტესა და მოციქულთა გამოსახულებით და წარწერის ფრაგმენტი. სვეტიცხოვლის დარბაზი ორი ნაგებობაა: სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ეკლესიის მოდელის სახით პატარა სამლოცველოა აგებული (XIII-XIV საუკ.), ხოლო გუმბათქვეშა სამხრეთ-დასავლეთის სვეტიანი თაღის ქვეშ ზედა იარუსში თაღებით გახსნილი სასწაულმოქმედი სვეტის შესანახად აგებული კოშკია, რომელიც XVII საუკუნეში მხატვარ გრიგოლ გულჯავარიშვილის ხელმძღვანელობით მოიხატა. მხატვრობა „ქართლის მოქცევის" სცენებს გადმოგვცემს. საქართველოს კათედრალური ტაძარი ამავე დროს ქართველ მეფეთა, დიდებულთა, ეკლესიის მთავართა საძვალეც იყო. აქ დაკრძალული არიან ვახტანგ გორგასალი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფეები ერეკლე II და გიორგი XII, ბაგრატიონთა გვარის სხვა წარმომადგენლები. სვეტიცხოვლის ტაძარს გარშემო გალავანი ეკვრის. ტაძრის ეზოში შესასვლელი დასავლეთიდანაა, მელქისედეკ კათალიკოსის მიერ აგებული კარიბჭიდან. კარიბჭის შუა ნაწილში, მეორე იარუსზე, სამი თაღით გახსნილ გალერეის ფრონტონზე, ვრცელი ასომთავრული წარწერა ქართული ლაპიდარული წერის ერთი ბრწყინვალე ნიმუშთაგანია. გალავნის დიდი ნაწილი XVIII საუკუნეში, ერეკლე II-ის მეფობის დროსაა აგებული.

**გიორგი მარსაგიშვილი**
**გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი**

# სვეტიცხოვლობა



იმ წელს, როცა ქართლის სამეფო ტახტზე ადრეკი ავიდა, მცხეთაში ხმა გავარდა, იერუსალიმი სპარსელებმა დაიპყრესო. გლოვამ და წუხილმა მოიცვა ქართველი ჰურიანი, მაგრამ გამოხდა მცირე ხანი და ყველანი დამშვიდდნენ – შეიტყვეს, რომ „სპარსნი დასაპყრობად კი არ მოსულან იერუსალიმსა, არამედ საჭურველის ნაცვლად მოჰქონდათ სამეუფო ოქრო, მაკურნებელი მური და სურნელოვანი გუნდრუკი და ეძიებდნენ დავითის ტომის ყრმას. იპოვეს კიდეც მწირი ერთი, მწირი დედაკაცისაგან შობილი უდროო დროს და უადგილო ადგილას. იმ ყრმას სცეს თაყვანი და შესწირეს ძღვენი".

გავიდა ოცდაათი წელი. ანა მღვდელთმთავარმა მოციქული გამოაგზავნა მცხეთელ ურიებთან: „რომლისათჳს იგი მოვიდეს მოგუნი და შესწირეს ძღვენი, აღზრდილ არს იგი და იტყჳს თავსა თჳსსა ძედ ღმერთისა და სხუასა რასმე ახალსა სჯულსა გჳქადაგებს და აწ წარმოგჳვლენია მოციქულნი ყოველთა თანა ჰურიათა, რათა მოვიდნენ მეცნიერნი სჯულისანი. მოვედით უკვე ყოველნივე მოსეს სჯულისა თანამდებნი და განვაბჭოთ მას ზედა".

ქართლიდან სინედრიონის ბჭობაზე წავიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ელიოზის დედა მღვდელთა ტომიდან იყო. წასვლის წინ მან შვილს სთხოვა, წილი არ დაედო მესიის სისხლის დათხევაში, „რამეთუ ის არის სიტყვა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთაგან თქმული".

როცა მაცხოვარი გოლგოთაზე ჯვარს აცვეს, ელიოზის დედამ მცხეთაში გაიგონა ჩაქუჩის ხმა, „საშინელითა კრჩხილებითა" დაიძახა: „მშვიდობით, მეუფებაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა მაცხოვარი და მჴსნელი და იქმნენით ამიერითგან მტერ შემოქმედისა"! – და მყის აღესრულა.

როცა უფლის კვართზე წილი ჰყარეს ჰურიათა, ღვთის განგებულებით იგი მცხეთელებს შეხვდა. ელიოზმა და ლონგინოზმა კვართი ქართლში წამოასვენეს. მცხეთას მოსულ ელიოზს წინ შემოეგება „დაჲ თჳსი", სიდონია. მან გულში ჩაიკრა კვართი მაცხოვრისა ჩვენისა, ტირილით და გოდებით მოისმინა ძმისაგან ჯვარცმის ამბავი და სული განუტევა. ეს სასწაული სწრაფად გახმაურდა მთელს ქართლში. ადერკი მეფემ მოისურვა თავად შეემოსა კვართი, მაგრამ იგი სიდონიას გაცივებულ მკლავებს ვერავინ მოაშორა, ელიოზმა თავისი და წმიდა კვართთან ერთად დამარხა. სიდონიას საფლავზე კვიპაროსის ხე ამოვიდა.

სულთმოფენობის შემდგომ მოციქულებმა წილი ჰყარეს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ქართლის მოქცევა ხვდა წილად, მაგრამ მას მაცხოვარი გამოეცხადა და უბრძანა: „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელვყო ერი იგი საზეპყრო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებით შენითა მათთჳს. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენსა ხვედრებულსა და თანა წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს და შენ წილ ხატი იგი შენი მკჳდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა". ღვთის განგებულებით და ღვთისმშობლის კურთხევით საქართველოში საქადაგებლად წამოვიდა წმიდა ანდრია პირველწოდებული (ხს. 30 ნოემბერს).

წმიდა ანდრიამ იქადაგა დიდაჭარაში, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის მადლით მოაქცია წარმართები, დაადგინა მღვდლები და დიაკვნები, აღაშენა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია. შემდგომ გადმოიარა მთა, რომელსაც რკინის ჯვარი ეწოდებოდა, განვლო ოძრხის ხევი, მოაღწია სამცხის საზღვარს და დაივანა სოფელში, რომელსაც ზადენ-გორა ერქვა. აქ ლოცვის მადლითა და ძალით შემუსრა კერპები. აწყურში მთავრობდა ქვრივი ქალი სამძივრის გვარისა, რომელსაც ერთადერთი ვაჟი გარდაცვლოდა. წმიდა ანდრია მოციქულმა, ჯვრის ნებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის მადლით, მიცვალებული აღადგინა მკვდრეთით. სამძივარმა ძით და ყოველი სახლეულითურთ ნათელ-იღო. წმიდა მოციქულმა მესხეთში დაადგინა ეპისკოპოსი, მღვდლები, დიაკვნები, ამის შემდეგ იქადაგა კლარჯეთში, არტანუჯში, სომხეთში და იერუსალიმში დაბრუნდა პასექის აღსასრულებლად.

ადერკი მეფემ ნათელღებული ქართველები და მეგრელები კვლავ წარმართობაზე მოაქცია და შერისხა კლარჯეთის ერისთავი, რომელმაც მშვიდობით განუტევა წმიდა ანდრია. მოციქული კვლავ დაბრუნდა ქართლში. ამჟამად მას მატათა და სვიმონ კანანელი ახლდა თან. წმიდა მატათამ (ხს. 9 აგვისტოს) საქადაგებლად სვანეთს მიაშურა, წმიდა ანდრია და წმიდა სვიმეონი (ხს. 30 ივნისს) ოსეთს წავიდნენ და მრავალი მოაქციეს, შემდგომ კი აფხაზეთს მიმართეს. წმიდა სვიმეონ კანანელი დარჩა ცხუმში, ხოლო წმიდა ანდრია ჯიქეთს წავიდა. ჯიქებმა არ შეიწყნარეს მოციქულის ქადაგება და მისი მოკვდინება ენადათ, მაგრამ ღვთის მადლით გადარჩა.

გავიდა ჟამი. ურჯულოთა ზედამდგომელობით და წარმართთა შიშით ქართველებმა დაივიწყეს შემოქმედი თვისი და ჯვარცმული მაცხოვარი.

წმიდა გიორგი კაბადუკიელის (ხს. 23 აპრილს და 10 ნოემბერს) წამების ჟამს კაბადუკიაში ცხოვრობდა მართლმორწმუნე ცოლ-ქმარი ზაბულონ და სოსანა (ხს. 20 მაისს). მათ ჰყავდათ ასული ნინო (ხს. 14 იანვარს და 19 მაისს). სოსანა იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის და იყო. ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა თავი უფლისათვის შეეწირათ, თავიანთი ქონება ღარიბებს დაურიგეს, მცირეწლოვანი ასული ძიძას ჩააბარეს აღსაზრდელად, თვითონ კი განდეგილ ცხოვრებას შეუდგნენ. ნინოს აღმზრდელი მოუთხრობდა უფლის ვნებების, ჯვარცმის, დაფლვის, აღდგომის, აგრეთვე მისი ტილოსა და სუდარის შესახებ. როცა მან შეიტყო, რომ უფლის უკერველი კვართი დაფლული იყო წარმართთა ქალაქში, გადაწყვიტა ქართველები ქრისტეს სჯულზე მოექცია. იგი დაუმეგობრდა მეფის ასულ რიფსიმეს და მის გამზრდელს, გაიანეს (ხს. 30 სექტემბერს), რომლებიც ორმოცდაათ ქალწულთან ერთად ილტვოდნენ უსჯულო მეფის, დიოკლეტაინესგან და მათთან ერთად ჩავიდა სომხეთში. სომხეთის მეფის, თრდატის მიერ წმიდა ქალწულმოწამეთა მოწყვეტის შემდეგ, სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი ნინო ჯავახეთის მთებით ქართლში გადავიდა.

ამ დროს ქართლში მეფობდა მი-

**გაგრძელება მე-7 გვ. -ზე**

დასაწყისი მე-6 გვ.-ზე

რიანი. მას ცოლად ჰყავდა პონტოელი მთავარსარდლის ასული ნანა. მირიანი სარწმუნოებრივი შემწყნარებლობით გამოირჩეოდა: თაყვანს სცემდა ცეცხლსა და ქართულ კერპებს, ბერძნებთან ხანგრძლივი ურთიერთობის გამო ქრისტიანული მოძღვრების შესახებაც ჰქონდა გაგებული, მის ყურამდე მისული იყო წმიდა კონსტანტინე დიდის (ხს. 21 მაისს) მიერ მტრის სასწაულებრივი ძლევის ამბავი.

ქართლში მოსული ნინო უბრნისში ჩავიდა და ურიათუბანში დასახლდა. ოციოდე დღის შემდეგ მთელი ქართლი დაიძრა წარმართული ღვთაების, არმაზის დღესასწაულზე. დღესასწაულს მთელი სამეფო კარი ესწრებოდა. წმიდა ნინომ ლოცვა აღავლინა ღვთის წინაშე და არმაზის, გაცის და გაიამის კერპები სასწაულებრივ დაიმსხვრა. ნინო მცხეთაში დასახლდა. ის ყველას ეკითხებოდა კვართის ამბავს, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არავის ახსოვდა. ამ ძიებაში ნინომ გაიცნო მცხეთელ ჰურიათა მღვდელმოძღვარი აბიათარი, ელიოზის შთამომავალი, მისი ასული სიდონია და კიდევ ექვსი დედა. წმიდა ნინომ ისინი ქრისტეს სჯულზე მოაქცია, მაგრამ, რადგან მღვდელი არ იყო, ნათლისღების საიდუმლო არ ჩაუტარებიათ.

წმიდა ნინომ უფლისგან კურნების ნიჭი მიიღო. ის ჯვარცმული მაცხოვრის სახელითა და ვაზის ჯვრით მადლით კურნავდა დავრდომილებს.

ნანა დედოფალი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ნინოს ქადაგებას, გმობდა ახალ მოძღვრებას და მის მქადაგებელს. მირიან მეფეს კი „აქუნდა სურვილი ქრისტეს სჯულისა და არა დააბრკოლებდა ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა“. ერთხელ მან ებრაელთა დევნისაგან ფარულად დაიხსნა აბიათარ მღვდელი, ასული მისი სიდონია და სხვა ქრისტიანები.

გავიდა ხანი. ერთხელ ნანა დედოფალი დასნეულდა და წმიდა ნინოს ლოცვამ იგი უეჭველი სიკვდილისაგან იხსნა. დედოფლის განკურნების შემდეგ მირიან მეფე ქრისტეს სჯულით დაინტერესდა და ურიაყოფილ აბიათარს ხშირად ეკითხებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებზე. აბიათარმა მას ნებროთის წიგნი წააკითხა. მეფეს ქრისტეს სჯულზე მოქცევის სურვილი გაუჩნდა.

ერთ დღეს მირიანი სანადიროდ წავიდა თხოთის მთაზე. მოუხდა უჩინო მტერი, გულში კვლავ ჩაუდო კერპთა და ცეცხლის სიყვარული და მახვილით მოწყვეტა ქრისტიანეთა. მან გადაწყვიტა მცხეთაში დაბრუნებისთანავე ქრისტიანთა განდევნა და ნინოს მოკვდინება. მთაზე ასულ მეფეს მზე დაუბნელდა, უკუნი ღამე ჩამოწვა. შეშინებულმა მირიანმა კერპებს შესთხოვა დახმარება, მაგრამ ისინი უგრძნობი იყვნენ მლოცველის მიმართ. მაშინ მეფემ ჯვარცმულ ღმერთს შეავედრა თავი და მოხდა სასწაული: განათდა, მზე გამობრწყინდა. მირიანმა განიპყრნა ხელნი აღმოსავლისაკენ და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა, უფალი ყოველთა ზედა უფლებათა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის“. მცხეთაში დაბრუნებული მეფე ნინოსთან მივიდა, მისი რჩევით მეორე დღესვე მოციქულნი წარავლინა საბერძნეთს კონსტანტინე მეფესთან და სთხოვა, მღვდლები გამოეგზავნა ნათლისღებისთვის.

სანამ კონსტანტინეპოლით გამოგზავნილი მღვდლები ჩამოვიდნენ, მირიან მეფემ ეკლესიის აშენება გადაწყვიტა სამეფო ბაღში. ხუროებმა ნაძვის ხისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე, ყველაზე დიდი, ადგილიდან ვერ დაძრეს. წმიდა ნინო მოწაფეებთან ერთად ლოცვად დადგა. გამთენიისას ზეცით გარდამოხდა ნათლით შემოსილი, „ყოვლად ცეცხლითა მობლარდნილი“ ჭაბუკი, ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. სვეტი ღვთივ გაბრწყინდა და თორმეტი წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა ჰაერში. მთელი მცხეთა დაიძრა ნათლის სვეტის თაყვანისცემად, მის მიახლოებაზე ავადმყოფები იკურნებოდნენ, ბრმებს თვალები ეხილებოდათ, დავრდომილები აღსდგებოდნენ.

# ამაღლება სვეტისა ცხოველისა



ამასობაში კონსტანტინეპოლიდან დაბრუნდნენ მოციქულები. მათ ჩამოჰყვნენ: იოანე ეპისკოპოსი, მღვდლები და დიაკვნები. წმიდა კონსტანტინე დიდმა ქრისტეს სჯულს შემდგარ მეფეს და ერს გამოუგზავნა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა, ცხოველსმყოფელი ჯვრის ნაწილი – კვარცხლბეკი და სამსჭვალი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. მტკვრისა და არაგვის შესართავთან ნათელ იღო მეფემ, დედოფალმა, სამეფო კარმა და სრულიად ქართლმა. საზეიმო ნათლისღების შემდეგ იოანე ეპისკოპოსი და მისი თანმხლებნი ერუშეთს წავიდნენ, აღაშენეს ეკლესია და დატოვეს სასჭვალნი უფლისა, შემდგომ მანგლისს დაიწყეს ეკლესიის შენება და აქ ძელიცხოველის ნაწილი დაასვენეს.

მირიან მეფე შეწუხდა. მას სურდა სატახტო ქალაქშიც ყოფილიყო დასვენებული სიწმინდეები. წმიდა ნინომ მეფეს უთხრა, რომ მცხეთაში დიდი სიწმიდე უფლის კვართი ინახებოდა. მეფემ აბიათარ მღვდელი დაიბარა, კვართის ამბავი გამოჰკითხა და სიხარულით აღივსო.

მცხეთაში ერთი კლდის თავზე მშვენიერი, სურნელოვანი, სასწაულთმოქმედი ხე იდგა. მისი ფოთლით ისარნაკრავი მომაკვდავი ნადირი იკურნებოდა. როდესაც იოანე ეპისკოპოსს ეუწყა ეს ამბავი, ბრძანა: „ჭეშმარიტად ღვთისა მიერ აღმოცენებულ არს ხე იგი და დამარხულ ჟამისა მისთვის და აწლა მოეფინა მადლი ღვთისა ქართლსა და მის ხისგან ჯერ არს შექმნა ჯვარი პატიოსანი, რომელსა თაყვანის სცეს ყოველმან სიმრავლემან ქართლისამან“.

მირიან მეფის ძემ, რევიმ, ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით და ერის თანხლებით, მოჭრა ხე, რტოებითურთ წამოასვენა და ეკლესიის სამხრეთით აღმართა. ხეს ოცდაჩვიდმეტი დღის განმავლობაში არც ფერი შეუცვლია, არც ფოთლები დასცვენია. შემდგომ ამ ხისგან სამი ჯვარი გააკეთეს.

## აღმართება პატიოსნისა ჯვარისა

ამის შემდეგ მრავალი დღის განმავლობაში ხალხი ერთსა და იმავე ჩვენებას ხედავდა: ღამით ეკლესიას ვარსკვლავებით გარშემორტყმული ცეცხლოვანი ჯვარი ადგებოდა თავს, განთიადის ორი ვარსკვლავი გამოეყოფოდა სხვებს, ერთი აღმოსავლეთისკენ მიდიოდა, მეორე კი – დასავლეთისაკენ, თავად ცეცხლოვანი ჯვარი კი არაგვს გაღმა, კლდოვანი ბორცვის თავზე ჩერდებოდა და იქიდან უჩინარდებოდა ზეცაში. ამ სასწაულის გამო წმიდა ნინოს რჩევით მეფემ ერთი ჯვარი დასავლეთით თხოთის მთაზე აღამართინა, მეორე – ქალაქ უჯარმაში, მესამე ჯვრისთვის კი ადგილი ვერ შეარჩიეს.

მირიან მეფემ ლოცვით შესთხოვა უფალს, მიენიშნებინა ადგილი, სადაც ჯვარი უნდა აღმართულიყო. ღმერთმა ისმინა კეთილმორწმუნე მეფის ვედრება და ანგელოზის პირით აუწყა, რომ ჯვარი აღემართა არაგვის გაღმა კლდოვან ბორცვზე.

როცა მცხეთაში ეს პატიოსანი ჯვარი აღიმართა, მაშინვე ყველა კერპი დაიმსხვრა ქართლში.

სიკვდილის წინ მეფემ აკურთხა ძე თვისი ბაქარი, ანდერძად დაუტოვა წმიდა სამების ერთგულება, ბრძოლა კერპების წინააღმდეგ და ღვთივ მიისვენა. წმიდა კეთილმსახური მეფე საკუთარი სურვილისამებრ დაკრძალეს ზემო ეკლესიაში (სამთავროს დედათა მონასტრის ეკლესია). მან არ ისურვა დასაფლავება ქვემო ეკლესიაში (სვეტიცხოველი), რომელსაც „წმიდათა წმიდაჲ“ ერქვა, იმ მოკრძალებისა და რიდის გამო, რომელიც დიდებული ნათლის სვეტის წინაშე ჰქონდა. ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა ნანა დედოფალიც და დაიკრძალა იქვე, მირიან მეფესთან.

წმიდანთა ცხოვრება, ტომი IV, თბილისი, 2001 წ.

## უფლის კვართის ამბავი

ძველი აღთქმის მღვდელს ეფოდთან, წამოსასხამსა და სხვა შემოსამოსელთან ერთად აუცილებლად ნაქსოვი კვართიც უნდა სცმოდა. იცოდა ეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა და ამიტომაც ყრმა იესუს, მომავალ „მღვდელმოძღვარს წესსა ზედა მელქისედეკისასა“, კვართი მოუქსოვა. „ხოლო კვართი იგი... იყო უკერველ, ზეით გამოქსოილ ყოვლად“. გადიოდა ხანი, „წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა“ იესუ და სასწაულებრივად იზრდებოდა ღვთისმშობლის მოქსოვილი კვართიც, რომელსაცა „ნეტარებით შეეცვა ნათელთა ყოველთა მფლობელი გვამი წმიდა ცეცხლისა მის ღვთაებისა“. თეოდორე ზიგაბენის მიხედვით, კვართი სახელოებიანი ყოფილა. მოკლესახელოიანი კვართია გამოსახული ბაგრატიონთა გერბზეც. ხოლო XVII საუკუნეში იერუსალიმში გავრცელებული ერთი გადმოცემის თანახმად, უფლის კვართი ლაჟვარდისფერი ყოფილა, მანტიის მსგავსი, უსახელო, განიერი და გრძელი (საუბარი იოანიკე ბერძენისა ივ.გრამატინთან), მაგრამ რისგან იყო იგი მოქსოვილი, ეს უცნობია. ერთი კია – ამ ნეტარმა შესამოსელმა, როგორც ღრუბელმა შეიწოვა ოფლი, სისხლი და ცრემლი, რომელიც კაცთა მოდგმის ხსნისთვის დაღვარა მაცხოვარმა.

იერუსალიმში იესოს ჯვარცმისას საქართველოდანაც ჩავიდნენ ურიები – ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ელიოზის დედა ელი მღვდელმთავრის ტომიდან იყო. სწორედ მან გააფრთხილა ვაჟები, რომ უფლის სისხლის დათხევაში მონაწილეობა არ მიეღოთ. ამასვე ევედრებოდა ელიოზს და სიდონია. მაცხოვრის ჯვარცმისას ლურსმნების დაჭედების ხმა თურმე მცხეთაში მოესმა ელიოზის დედას. წამოიძახებია: „მშვიდობით, მეფობაო ისრაელთაო, რამეთუ უგუნურებით მოჰკალთ უფალი და მაცხოვარი ყოველთა!“ – და მწუხარებისაგან იქვე დაულევია სული.

ეტყობა, მაცხოვრის ჯვარცმისას ელიოზი ძალზე აქტიურობდა. როცა უფლის სამოსელი განიყვეს და კვართზე წილი იყარეს, იგი სწორედ მას შეხვდა. უფლის კვართი ელიოზმა მცხეთაში წამოიღო. სიდონია მას ტირილით შეგებებია მცხეთის კარიბჭესთან, ჩაუკრავს მკერდში „ყოველთა სასურველი კვართი მხსნელისა“ და მიუძინებია „თავისი დედის ძილით“. ეს ამბავი მთელ მცხეთას მოედო. მიცვალებული მეფე ადერკს უნახავს და კვართი მოსწონებია. ბევრს ცდილან, მიცვალებულისთვის კვართი გამოერთმიათ, მაგრამ ამაოდ და ბოლოს კვართითვე დაუკრძალიათ ლიბანის ნაძვებთან.

რამდენიმე წლის შემდეგ ადერკის შვილიშვილს, მეფე არმაზელს მოუნდომებია სიდონიას საფლავის გათხრა და კვართის პოვნა, მაგრამ ამის გამო ღვთისგან სასჯელი მიუღია – უეცრად დაბრმავებულა.

აი, ამგვარად მოხვდა უფლის კვართი საქართველოში. სახიერ უფალს წინასწარვე განეგო ჩვენი ქვეყნის „ერად საზეპუროდ შემზადებაი“ და ვინაიდან ღვთისმშობლის წილხვედრნიც ვიყავით, ამისათვის უფრო ღირს იქმნა იბერია „ამას საშინელსა მადლსა“. როგორც წმინდა ნიკოლოზ გულაბერისძე ბრძანებს, „ამისთვისცა უკვე წინასწარვე წარმოავლინა მადლი ღვთაებისა მისისა რათა პირველადვე დაიწინდოს კვართითა მით და მადლით ღვთაებისა მისისათა“.

შემობრძანდა იბერიაში წმინდა ნინო და დადგა ჟამი უფლის კვართით დაწინდული „საზეპურო ერის“ ქრისტესთან ქორწილისა, შეერთებისა... ღვთის სასწაულითა და წმინდანის ლოცვით მოქცეულმა მეფე მირიანმა თავის სამეფო ბაღში ტაძრის აშენება გადაწყვიტა. მოჭრეს ბაღში ამოსული მშვენიერი ლიბანის ნაძვები და მათგან 7 სვეტი გამოთალეს. შეკრეს ძალთაგან კედლები და აღმართეს ექვსი ბოძი თავ-თავიანთ ალაგას, ხოლო ტაძრის შუაში დასადგმელად მეშვიდე სვეტს, მიუხედავად ბევრი წვალებისა, ძვრა ვერ უყვეს. მოსაღამოვდა. მეფე და მისი მხლებელნი სასახლეში წაბრძანდნენ. სვეტთან მხოლოდ წმინდა ნინო დარჩა მოწაფეებთან ერთად. სასოწარკვეთილმა ეშმაკმა მათი შეშინება სცადა, მაგრამ წმინდა ნინოს ლოცვამ დაამხო მისი მანქანება.

იცისკრა. ემოციებისგან დაღლილებს მიეძინათ. მხოლოდ აბიათარ მღვდლის შვილი სიდონიაღა ფხიზლობდა. წმინდა ნინო ხელგანპყრობილი ლოცულობდა. უეცრად მასთან ნათლით შემოსილი ჭაბუკი მივიდა და სამი სიტყვა უთხრა. ქალწული მის წინაშე პირქვე დაემხო, ხოლო ჭაბუკმა მოჰკიდა სვეტს ხელი და ზეცად აღამაღლა. რამდენიმე ხნის შემდეგ ცეცხლის სახედ შეცვლილი სვეტი ნელ-ნელა ჩამოეშვა, იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ხე მოკვეთეს და მიწიდან ორ წყრთაზე გაჩერდა, „ზე ჰაერთა საკვირველად გამოკიდებული“. ასე მოგვითხრობს „სვეტიცხოვლის საკითხავი“, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ცეცხლის სვეტი ჩამოშვებულა, ამავე ადგილას დამდგარა და კაცთაგან ხელშეუხებლად დამყარებულა.

ამ საოცარმა ამბავმა მთელი ქართლი შეძრა. მოდიოდნენ სვეტთან და ველარ შორდებოდნენ საკვირველ სახილველს. სვეტის ძალით უამრავი სასწაული მომხდარა. პირველად შობითგან ბრმა ურია განუკურნავს სვეტი-ცხოველთან მიახლებას, შემდეგ საწოლს მიჯაჭვული ყრმა სეფეწული ამაზასპანი დაუყენებია ფეხზე. იმხანად ერთ ურიას მხოლოდშობილი ძე მოჰკვდომია. ყველა სვეტი-ცხოველის სახილველად წასულა, მიცვალებულთან მხოლოდ მშობლები დარჩენილან, რომლებიც თურმე მწარედ მოთქვამდნენ და შვილს ევედრებოდნენ: „აღდეგ, მხოლოდშობილო ჩვენო, რათა მივეახლნეთ სვეტსა მას ნათლისასა“, რათა ვიხაროთ სხვებთან ერთადო. და უცებ, თითქოს გაიღვიძაო, მიცვალებული ყრმა წამოდგა და სვეტიცხოველთან წაყვანა მოითხოვა. ყვებოდა, რომ ჯოჯოხეთის უფსკრულში იყო ჩავარდნილი; ანაზდად ზეციდან ნათლის სვეტი ჩამოეშვა, რომლის თავზეც მაცხოვარი იჯდა დიდებით. უეცრად სვეტიდან ხმა მოისმა: „მეცოდებიან შენი მშობლები, მათი ტკივილისგან „მელმისო გული“, – მერე კი ანგელოზთ უბრძანა, ყრმის სული სხეულში დაებრუნებინათ.

ამ სასწაულმა უფრო ააფორიაქა ხალხი. ყველა ცდილობდა სვეტიცხოველთან მიახლოებას. ალტყინებისგან ერთმანეთს თელავდნენ. მაშინ მეფე მირიანმა სვეტს ფიცრის საბურველი შემოახვია. საბურველმა ვერ დააბრკოლა სვეტიცხოველის მადლი...

მალე აქ პირველი ტაძარი აშენდა. წმინდა კონსტანტინე დიდმა მეფე მირიანს ეპისკოპოს იოანეს ხელით გამოუგზავნა ძელიცხოვლის ნაწილი, სამსჭვალნი და ფიცარი, რომელზეც მაცხოვრის ფერხნი იყო მიმსჭვალული. ეპისკოპოსმა ძვირფასი ძღვენი ერუშეთსა და მანგლისში დატოვა, მეფე მირიანთან კი ხელცარიელი დაბრუნდა. გულდაწყვეტილი მეფე წმინდა ნინომ ანუგეშა – უთხრა, რომ იგი უდიდეს სიწმინდეს ფლობდა – მის ბაღში იყო დაკრძალული უფლის კვართი და ილია წინასწარმეტყველის ხალენი. მეფემ ურიებს დაწვრილებით გამოჰკითხა ყოველივე. მათაც წმინდა ქალწულის ნათქვამი დაადასტურეს. მაშინ კი აივსო მეფე სიხარულით და ადიდა უფალი.

მირიანის ვაჟს, რევის, მეფობის ჟამს შეშინებია, სვეტი-ცხოველი საბურველისგან არ განძარცვონ და არ მოიპარონო, და მის გარშემო ქვითკირის კედელი აუშენებია. მოგვიანებით ვახტანგ გორგასალმა ხის ტაძრის ადგილას მოზრდილი ქვის ბაზილიკა ააგო თორმეტი მოციქულის სახელზე. ეს ტაძარი აბულ ყასიმს გადაუწვავს მეათე საუკუნეში, მაგრამ მალევე აღუდგენიათ. გიორგი I-ის მეფობისას კი კათოლიკოსმა მელქისედეკმა მის ნაცვლად დიდი გუმბათოვანი ტაძარი ააგებინა. ტაძარი თემურ ლენგის შემოსევისას დაზიანებულა და ალექსანდრე დიდს იგი ხელახლა აღუდგენია. ტაძარი კვლავ დაზიანებულა შაჰ-თამაზისა და მისი შვილიშვილის შაჰ-აბასის შემოსევებისას. როსტომ მეფის მეუღლეს, მარიამ დედოფალს, 1656 წელს აღუდგენია სვეტიცხოვლის გუმბათი, რის გამოც იგი ვაჟთან ერთად ტაძარში გამოუსახავთ. შემოსევების გამო დაზიანებულა სვეტი-ცხოვლის ირგვლივ აშენებული გოდოლიც და იგი აღუდგენიათ 1675 წელს, კათოლიკოს ნიკოლოზის ბრძანებით. გოდოლი „მოქცევაი ქართლისაის“ სცენებით მოუხატავს გრიგოლ გურჯვარიშვილს.

სვეტი-ცხოველის ძირიდან უძველესი დროიდან მოედინებოდა მირონი, რომლითაც საზრდოობდა და წარემატებოდა ქრისტეს სარწმუნოებაში ქართველი ერი. პლატონ იოსელიანის ვარაუდით, ეს მაცოცხლებელი წყარო შაჰ-აბასის შემოსევებისას, 1614-1617 წლებში, უნდა დაწყვეტილიყო, რადგან შაჰს თურმე ძალზე შეურაცხუყვია ტაძარი, ხოლო 1624 წელს შაჰ-აბასის თანამედროვემ, „საელჩო პრიკაზში“ გამოძახებულმა იოანიკე ბერძენმა, ივან გრამოტინს ასეთი რამ უთხრა: როცა შაჰ-აბასის პაპამ, შაჰ-თამაზმა, ივერია დალაშქრა (ეს იყო 1541-1553 წლებში), შაჰს სვეტიცხოვლის ტაძარი ცხენებისა და პირუტყვის სადგომად გადაუქცევია; აი, სწორედ მას შემდეგ შეწყდა სვეტიდან მირონის დენაო.

## წმინდა დავით აღმაშენებელი და სვეტი-ცხოველი

უფლის კვართი დაკრძალვის შემდეგ თუმცა აღარავის უხილავს, მაგრამ ქართველებს მეტად სწამდათ, რომ იგი სწორედ სვეტის ამაღლების ადგილას იყო დაფლული, ხოლო თუ ვინმეს ეჭვი შეეპარებოდა ამაში, ღვთისაგან განისწავლებოდა. თურმე თვით დიდი დავით აღმაშენებელი „განდრეკილობდა რეცა გონებით“ სვეტიცხოვლის მიმართ და ამბობდა, რა ვიცით, რა არის ამ კოშკის გოდოლის ქვეშ, რას ვცემთ თაყვანს, ეშმაკმა ხომ არ შეგვაცდინაო.. ერთხელ მეფეს სვეტი-ცხოვლის წინ ამგვარი დაბრკოლებული გონებით ულოცია. იმავე ღამეს, ძილში, თურმე სვეტის თავზე მჯდომი მოხუცებული ეჩვენა, რომლისგანაც თვალისმომჭრელი ნათელი გამოდიოდა. „დავით, დავით, – მიმართა მან გვირგვინოსანს, – არ იცი, ვინ ვარ; იცოდე, არც შენ და არც სხვას, ვისაც ჩემდა მომართ სასოება ექნება, არასდროს შერცხვება. ნუ ურწმუნოებ ჩემდამო, რამეთუ ვინც ურწმუნოებს, დაისჯებაო“.

გაეღვიძა მეფეს, შეშინებული მოახტა ცხენს, მთელი ღამე აჭენა და სვეტიცხოველში ცისკრის ლოცვისას მივიდა. პირქვე დაემხო, ცრემლით დაალტო იატაკი და „პირველთა ცდომათათვის და ურწმუნოებისა“ შენდობა ითხოვა ღვთისგან.

## ვერავინ შეძლო კვართის ხელყოფა

მეთერთმეტე საუკუნეში, თურქების შემოსევისას, სულთნის მეუღლეს შაჰრიხათუნს სიწმინდის ამოთხრა მოუნდომებია, მაგრამ სვეტის ძირიდან ამოვარდნილ ცეცხლს ფერფლად უქცევია ღვთის მგმობელი... ვერც თემურ-ლენგი და ვერ შაჰ-თამაზი ვერ გაკადნიერებულან სიწმინდის ხელყოფად. მხოლოდ შაჰ-აბასს გაუბედავს და უბრძანებია სვეტი-ცხოველის საძირკვლის გათხრა, მაგრამ მიწიდან ამოვარდნილ ცეცხლს კვლავ დაუწვავს ამ მკრეხელობის ჩამდენნი. შაჰს შეშინებია, ჩამომხდარა, ტაძრისთვის მოკრძალებით შემოუვლია გარს, სვეტის წინ ულოცია და კათოლიკოსისთვის ხელშეუხებლობის გარანტია მიუცია.

რაც შეეხება შაჰის მიერ რუსეთის ხელმწიფესთან 1625 წელს გაგზავნილ საჩუქარს, თითქოსდა უფლის კვართს, ეს ტილოს მოწითალო ნაჭერი ყოფილა, თითო მტკაველის სიგრძე-სიგანისა, რომელზეც თურმე ლათინური მანერით იყო გამოსახული უფლის წამების და ჯვარცმის ეპიზოდები. „ზეითგან გამოსქოილი“ კვართი დანაწევრებისას, ცხადია, დაიშლებოდა. ამგვარად, შეუძლებელია, შაჰის საჩუქარი უფლის კვართი ყოფილიყო.

მაშ, რა იყო ეს სიწმიდე, რომელმაც ამდენი სასწაული მოახდინა რუსეთში?

კონსტანტინეპოლის დამხობის შემდეგ საქართველოში მრავალი სიწმინდე მოხვდა. ალავერდის ტაძარში დაცული გახლდათ ქრისტეს პერანგის ერთი ნაწილი, რუსთავის ფერისცვალების ტაძარში კი ღვთისმშობლის სარტყელი. შესაძლოა, შაჰის საჩუქარი ერთი ამათგანი ყოფილიყო. ამგვარ ვარაუდს გამოთქვამს თეიმურაზ I 1639 წელს რუსეთის ხელმწიფისთვის გაგზავნილ წერილში.

## სვეტიცხოვლის სიწმინდენი

სვეტიცხოვლის ტაძარი მრავალ სიწმინდეს ფლობდა: უფლის კვართს, სასწაულმოქმედ სვეტს, წმინდა ილია წინასწარმეტყველის ხალენს. XX საუკუნის დასაწყისში (და ახლაც) იქვე გახლდათ დაბრძანებული ერთი იმ ოთხ ჯვართაგანი, რომლებიც წმინდა ნინომ სასწაულმოქმედი ხისგან შეაქმნევინა. ადრე, თემურ ლენგის შემოსევამდე, იგი მცხეთის ჯვრის მონასტერში ბრძანდებოდა. სასწაულმოქმედ ჯვარს (მის მიმართ განსაკუთრებით უშვილოებს ჰქონდათ სასოება) 2004 წლის 16 თებერვალს მირონი დაედინა. პატრიარქის კურთხევით, იგი მინანქრული ხატებით გაამშვენეს. მასში ჩატანებულია ძელიცხოველისა და წმინდა ნინოს ჯვრის ნაწილები.

სვეტიცხოვლის ერთ-ერთი მთავარი სიწმინდე ყოფილა საქადაგო ხატი სვეტი-ცხოველისა. ეს არის კარედში ჩაბრძანებული სვეტი-ცხოველის 36x17სმ ზომის ჭედური გამოსახულება. კარედის გვერდებზე გამოსახულნი არიან წმინდა ნინო და წმინდა მირიანი. კარედის ზემოთა ნაწილი მოოქროვილია. მასზე გამოსახულია კუბოში მწოლიარე სიდონია, მის მკერდზე კი აღმართულია სვეტი, რომელიც ანგელოზებს უპყრიათ ხელთ. სიდონიას ფერხთით გამოსახულია მლოცველი წმინდა ნინო, ხოლო ზემოთ – ორივე ხელით მაკურთხებელი მაცხოვარი. ხატში 44 წმინდა ნაწილი ყოფილა ჩატანებული. ის ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

ეს სიწმინდენი სწორედ ის საფარველი გახლავთ, რომელიც ბურავდა „არა ოდენ ვიდრემე გუამსა ღვთაებისასა, არამედ უფროისღა შიშლოებასა სულთა ჩვენთასა ცოდვისა მიერ“.

გაგრძელება მე-9 გვ. -ზე

# ვენახის მოვლა — მევენახის კალენდარი



ნებისმიერი ვენახი ყოველწლიურად ერთსა და იმავე პროცედურას გადის, მაგრამ მევენახეს თითოეული ვარიანტის არჩევის უამრავი შესაძლებლობა გააჩნია. ქვემოთ ნაჩვენებია ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანებიდან რამდენიმე.

მევენახის გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს კლიმატი, ტრადიციები, გამორჩენის მიღების სურვილი და ხარისხისკენ სწრაფვა. ბოლო ათ წელიწადში მევენახეობის შესახებ მეცნიერებამ ძალიან შორს გადადგა ნაბიჯი. აკადემიური კვლევის შედეგები ახლა ხელმისაწვდომია მთელი მსოფლიოსთვის.

ასე რომ, მოწინავე მევენახეებს, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი, აურაცხელი ოდენობის რჩევებისთვის ყურის დაგდება უწევთ. უმრავლესობა სჯერდება დროში გამოცდილ ტრადიციულ ტექნოლოგიებს, თუმცა, ამასთანავე, არც იმ ახალი პროდუქტებისა და მეთოდების იგნორირებას ახდენენ, რომლებიც მევენახის მძიმე შრომას ამსუბუქებს.

ზამთარი – გასხვლა

არსებობს ოთხი ძირითადი ვარიანტი:

ა) რქების გასხვლა (რაც უდიდეს ოსტატობას მოითხოვს);

ბ) ლერწების გასხვლა (უფრო უბრალო და სწრაფი ტექნოლოგია);

გ) მანქანით გასხვლა (არსებითად — ლერწების გასხვლა);

დ) მინიმალური გასხვლა (არსებითად — ზამთრის გასხვლის გამორიცხვა);

მექანიკურ გასხვლას, ჩვეულებრივ ემატება ხოლმე ხელით გასხვლა, ან «მოსწორება». ნებისმიერ შემთხვევაში ხელით გასხვლას მივყავართ კვირტის უფრო გვიან გამოტანამდე და მის გაცილებით გვიან გაშლამდე.

გაზაფხული – გადარგვა

ვაზის გადარგვის ყველაზე ოპტიმალური დრო ადრეული გაზაფხულია, როდესაც ნიადაგმა უკვე დაიწყო გათბობა, მაგრამ ჯერ კიდევ ნოტიოა.

თუ დაფესვიანება ძალიან ნაადრევად ხდება, ფესვები შეიძლება დალპეს;

ახალ სამყაროში ვაზებს ხშირად გრილ საცავებში ინახავენ და ზაფხულის დასაწყისში რგავენ.

ფოთლების შეწამვლა

პირველი შეწამვლა ხდება კირისა და გოგირდის ნარევი ხსნარით «ფაფუკი კვირტის“ სტადიაში (როდესაც ისინი იბერება და ფუმფულა ხდება) სოკოსგან თავდაცვის მიზნით. თვით ორგანული მეღვინეობისა და მინიმალური შეწამვლის მომხრეები იყენებენ ამ ხსნარს ან ბორდოს ნარევს (სპილენძის სულფატისა და კირის წყლის ხსნარის).

ნიადაგის დამუშავება

სულ უფრო და უფრო მეტი მეღვინე აღიარებს, რომ არსებობს არჩევანი ტრადიციული ნიადაგის მოხვნის სამიწათმოქმედო პრაქტიკასა და მის ხელშეუხებლობას შორის — ამ შემთხვევაში სარეველას მოსპობისა და მეტისმეტად მაღალი ბალახისთვის გამოიყენება ჰერბიციდები.

იმ რაიონებში, სადაც ხშირია ყინვები, ვაზებს შორის გლუვი, შიშველი ნიადაგი უზრუნველყოფს ჰაერის ცირკულაციას და, შესაბამისად, გაყინვისგან იცავს მას. თუმცა, ორგანული მიწათმოქმედების მიმდევრები ვაზებს შორის რგავენ სხვადასხვა სახის ისეთ მცენარეებს, რომლებიც წარმოქმნიან ბუნებრივ საკვებ ჯაჭვს და ნიადაგს აზოტით ამდიდრებენ.

ბუჩქების გასხვლა და საბრჯენი

ვაზისთვის ჯერ მიმართულება, შემდეგ კი გადამეტებული სიმაღლის შეზღუდვაა აუცილებელი წონასწორობის მოსაპოვებლად და ყურძნის მტევნების მზისთვის მისაფიცხებლად. ეს პროცესი ყოველთვის მოითხოვდა კვალიფიცირებულ ხელით შრომას, მაგრამ ახლა უკვე ლერწების დასაკავებელ მავთულს წარმატებით ჭიმავენ მანქანები.

ზაფხული – მორწყვა

ყვავილობა და კვირტების გამონასკვა გადამწყვეტი პერიოდია. ამ პერიოდში ვაზს ესაჭიროება თბილი, მშვიდი ამინდი და მევენახის ფრთხილი ჩარევა. სწორედ ამ დროს იწყება ახალი სამყაროს გვალვიან რეგიონებში მორწყვა.

ვაზის მოვლა

ა) ფოთლების შეწამვლა.

გრილ, ტენიან რეგიონებში ვაზი უნდა შეიწამლოს, რათა ყვავილობის პერიოდში თავიდან ავიცილოთ ოტრყტის დაზიანება. ეს სოკო მანამდე ანადგურებს ვენახს, ვიდრე ის ფორმირებას დაიწყებდეს. ვაზები ასევე რეგულარულად უნდა შეიწამლოს, რომ არ გაუჩნდეს ნაცარი და სხვა სახის ხავსი. ასეთ დროს ჩვეულებრივ გამოიყენება ბორდოს ნარევი ან ფართო სპექტრის მოქმედების ფუნგიციდები.

ეს უკანასკნელი აღწევს მცენარის შინაგან ჰუმორალურ სისტემაში. სამწუხაროდ, ხავსი ძალიან სწრაფად ეჩვევა განსაზღვრულ ქიმიკატს, ამიტომ აუცილებელია მისი შემადგენლობის მუდმივად ვარირება;

ბ) ვაზის გასხვლა.

მთელი სეზონის განმავლობაში რქების სიმაღლე მოითხოვს თავის გადაჭრას, ხოლო დარჩენილი მწვანე მასა უნდა აიკრას ცხაურზე, რათა ფოთლებმა და ნაყოფმა მიიღოს მზის შუქის მაქსიმალური რაოდენობა.

ნიადაგის დამუშავება

მართალია უშუალოდ ვაზის ძირების ქვეშ ნიადაგისთვის ხელის ხლება არ შეიძლება, მაგრამ ტრადიციული მეთოდიკების მიხედვით, ვაზებს შორის ნიადაგი მსუბუქად უნდა გამოიხნას, რაც ხელს შეუწყობს წყლის გადინებისა და ნიადაგს გამოშრობის თავიდან აცილებას.

მავნებლებთან ბრძოლა

აუცილებელია ბრძოლა მუხლუხოებთან, ღამის პეპლებთან და მოსავლის აღებისას ჩიტებთან. ყურძენს და ვაზებს აზიანებენ სხვა მავნებლებიც: კურდღლები, მელიები და ლოკოკინები, ხოლო ავსტრალიაში — კენგურუები.

შემოდგომა – მოსავლის აღება

მევენახემ არჩევანი უნდა გააკეთოს მოსავლის სწრაფ და ეკონომიკურ მექანიზებურ აღებასა (თუ ვენახი ამის საშუალებას იძლევა) და შედარებით დელიკატურ, ნელ და უფრო მოსახერხებელ ხელით დაკრეფას შორის.

შეწამვლა მოსავლის აღების შემდეგ

როდესაც ვაზი კარგავს ფოთლების დაახლოებით 50%-ს, მას წამლავენ, რათა გაანადგურონ ხავსის სპორები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მომავალ წელსაც დააზიანებს ვაზს.

ნიადაგის დამუშავება და სასუქის გამოყენება

ტრადიციულ ვენახებში ნიადაგს ანოყიერებენ კომპოსტით და სასუქებით, ვაზებს კი გარშემო მიწას უყრიან, იმავდროულად ყინვებისგან რომ დაიცვან. არჩევანი მდგომარეობს დამატებითი საკვების ტიპსა და რაოდენობაში. ციცაბო ფერდობზე ვენახისთვის ნიადაგის მიყრა შეიძლება გორაკის ძირიდან, რათა მოხდეს ჩარეცხილი ნიადაგის კომპენსირება.

ვენახის მოვლა

მოსავლის აღების დასასრულსა და გასხვლის დაწყებას შორის, ვენახის მოვლის რამდენიმე მნიშვნელოვანი სტადიაა: გასხლულ ტოტებს აგროვებენ და, ან წვავენ, ან კუწავენ და ამით ნიადაგს ანოყიერებენ. ასევე ხელახლა ჭიმავენ საყრდენ ცხაურებსაც.

**წყარო:** vinoge.com

**რედაქცია:** agrokavkaz.ge

# მზადება ფუტკრის გამოსაზამთრებლად

## საშემოდგომო სამუშაოები საფუტკრეში

სექტემბრის დასასრული და ოქტომბრის დასაწყისი ზუსტად ის დროა, როცა უნდა დავიწყოთ სერიოზული მზადება ფუტკრის გამოსაზამთრებლად.

ფუტკარი ბუნების ფენომენია და სოფლის მეურნეობის მრავალ დარგთა შორის მეფუტკრეობა ძალზე მნიშვნელოვანი და შეუცვლელი მიმართულებაა.

მსოფლიოში აღიარებული ქართული ფუტკარი ქვეყნის სიმდიდრე და ერის სიამაყეა. წლის სხვადასხვა დროს, ფუტკარს სხვადასხვა სახის სამუშაოები ესაჭიროება, მაგრამ ზამთრის პერიოდი მისთვის ურთულესია და საგანგებოდ უნდა მოვამზადოთ ამ ბარიერის გადასალახად.

სწორედ ახლა უნდა დავიწყოთ ზრუნვა ფუტკრის გამოსაზამთრებლად. ფუტკრის თითოეული ოჯახი გვიჩვენებს მეფუტკრის მიერ წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ხარისხს. თუ დარღვეულია ფუტკრის ნორმალური დაზამთრებისთვის საჭირო პირობები, ადრე გაზაფხულზე ადგილი აქვს ნაკლოვანებათა გამოვლინებას. ჩვენი მოწოდებაა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ყველა გამოცდილება, დრო არ დავზოგოთ და არ გადავდოთ საქმე.

ყველა გამოცდილმა მეფუტკრემ იცის, თუმცა, განსაკუთრებით შევახსენებ დამწყებ მეფუტკრეებს, რომ ზამთარი ყველაზე რთული დროა ფუტკრის ცხოვრებაში. ამ დროს სკაში წყდება აქტიური ცხოველქმედება; ფუტკარი გუნდად იკვრება, საკვების მინიმალური ხარჯვით ინარჩუნებს არსებობისთვის საჭირო ტემპერატურას და ტენიანობას.

განსაკუთრებით ესაჭიროება სიმშვიდე. ფუტკარზე დამღუპველად მოქმედებს, როცა ნესტი ედება სკის კედლებს, ფიჭას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თაფლს გააჩნია ჰაერიდან ნესტის შთანთქმის უნარი. სინოტივის დროს თაფლი თხელდება, ჭეო მჟავდება. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს საფუტკრე ადგილის არჩევას.

საფუტკრისთვის გათვალისწინებული ადგილი არ უნდა იყოს ჭაობიანი და დაცული უნდა იყოს ხშირი, ცივი ქარისგან, არ უნდა ფარავდეს შენობა-ნაგებობების ჩრდილი, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში იყოს ბუნებრივი სინათლითა და სითბოთი შეუზღუდავი.

მიუღებელია დიდი ტბების, მდინარეების და წყალსაცავების პირას, ავტომაგისტრალებთან, რკინიგზასთან, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებთან, პირუტყვის ფერმებთან, საკონდიტრო წარმოების ქარხნებთან ახლოს საფუტკრის მოწყობა. კარგი საკვები ბაზა საფუტკრესთან ახლოს – ეს ხომ საუკეთესო პირობაა ფუტკრის ოჯახების მაღალპროდუქტიულობისა და განვითარებისთვის.

საკმაოდ ხშირად, მოზამთრე ფუტკარს დიდ ზარალს აყენებენ თაგვები. ისინი სკაში იკეთებენ ბუდეს, ღრღნიან ფიჭას და მერე ჭამენ, როგორც ამ ფიჭას, ისე ფუტკარს. მართალია, ფუტკარს თაგვის სუნი და ხმაური საშინლად აღიზიანებს, მაგრამ სიცივეში არ ჰყოფნის ძალა წინააღმდეგობის გასაწევად და აღელვების ნიადაგზე ფუტკარი იკვებება ზომაზე მეტი თაფლით.

ეს იწვევს კუჭ-ნაწლავის გადავსებას. სიცივის გამო ვერ ითავისუფლებს კუჭს, ემართება ფაღარათი, ნოზემატოზი და სხვადასხვა გართულებები. ცხადია, ასეთი ოჯახები ვერ გამოიზამთრებენ. ამისთვის არსებობს საფრენის სპეციალური საკეტი, რომ ფუტკრის გარდა სკაში ვერ შევიდეს მავნებლები.

სკა რომ საიმედოდ იყოს შეკრული, ამაზე მეფუტკრემ დროულად უნდა იზრუნოს. არსებობს მცდარი შეხედულება ზოგი მეფუტკრისა, თითქოს, თუ სკა დამზადებულია 4-5 სმ სისქის მასალისგან, სითბოს უფრო დაიჭერს. გახსოვდეთ, რომ ასეთ დროს პირიქით ხდება – სკაში გროვდება დიდი რაოდენობით ნესტი და როგორც ზემოთ ვთქვით, საზიანოა ფუტკრისთვის.

საკვების მარაგის შევსების დროს, მომზადებულ სქელ შაქრის სიროფთან ერთად, პროფილაქტიკის მიზნით უნდა მიეცეს ანტიბიოტიკები თითო ცალი ან მორიგეობით – ტეტრაციკლინი, სტრეპტომიცინი, ნოლსულფაზოლნატრი და არსებობს კიდევ სხვა ახალი პრეპარატები.

საკონტროლოდ ვსინჯავთ (ახალი პრეპარატები მაქვს მხედველობაში) ერთეულ, შედარებით, სუსტ ოჯახებზე. თუ კი სასურველი შედეგი მივიღეთ, შემდეგ ვიყენებთ კომპლექსურად, მთელ საფუტკრეში.

საშემოდგომო დათვალიერების დროს აუცილებელია, დავადგინოთ ოჯახების ზამთრის მარაგის რაოდენობა და ხარისხი, დედის არსებობა და მისი ხარისხი.

სუსტი და უდედო ოჯახები შევაერთოთ და დაზიანებული ფიჭები ამოვაცალოთ, ჩავუდგათ ტიხარი, საკვები მარაგი თუ არასაიმედოა და ეჭვი ეპარება მეფუტკრეს დიდი რაოდენობით სურის ან მანანის თაფლის არსებობაზე, დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს ზაფხულის ხარისხიანი სამარაგო თაფლიანი ჩარჩოებით ან უნდა შეავსოს ხელოვნური საკვებით, შაქრის სიროფით.



ფუტკრის ოჯახების სამკურნალო და პროფილაქტიკური მკურნალობას ვიწყებთ თაფლის გამოწურვისთანავე, ძირითადად, შუა ივლისიდან. ვარვატოზის წინააღმდეგ მკურნალობა უნდა ჩატარდეს არსებული თანამედროვე პრეპარატებითა და თანდართული ინსტრუქციის მიხედვით.

თუ საფუტკრე წინა წლებში ფუტკრის ბარტყის სიდამპლეზე არაკეთილსაიმედოდ და გამაღიზიანებლად ითვლებოდა, კვება უნდა მოხდეს ფრთხილად, საღამოს, რათა არ მოხდეს თავდასხმა (ქურდობა). ნორმალურად გამოზამთრებული ფუტკრის ოჯახები გაზაფხულზე სწრაფად ვითარდებიან და უკეთ ითვისებენ საგაზაფხულო ღალას, რაც შემდგომში მაღალპროდუქტიულობის საწინდარია.

მეფუტკრეებს შევახსენებ, რომ ჩვენს სამუშაო გეგმაშია, ზამთრის პერიოდში მოვაწყოთ საკონსულტაციო ლექცია-სე-



მინარები მეფუტკრეობის თემაზე, როგორც ადგილზე, ისე უბნებზე, სოფლებში გასვლით. ხოლო მეფუტკრეობის სახალხო უნივერსიტეტმა განაახლა მუშაობა 2014 წლის ნოემბრიდან, სწავლების ერთწლიანი ვადით.

ფუტკრის კარგი გამოზამთრებისთვის, ბუდეში იმდენ ჩარჩოს სტოვებენ რამდენსაც ფუტკარი ფარავს.

დასაზამთრებლად ბუდის მოსაწყობად სკიდან იღებენ მცირე თაფლიან ჩარჩოებს, რომლებსაც ინახავენ გაზაფხულზე გამოსაყენებლად, ხოლო საკვების უკმარისობის შემთხვევაში ჩადგამენ ზაფხულში ბუდიდან ამოღებულ და სათადარიგოდ შენახულ თაფლით სავსე ფიჭებს.

მცირე თაფლიანი ფიჭების ბუდეში დატოვება არ შეიძლება, რადგან მასზე არსებული თაფლის ათვისების შემდეგ, ცივი ამინდების პირობებში, ფუტკარს მეზობლად მდებარე თაფლიან ფიჭაზე გადასვლა არ შეუძლია.

ბუდის შუაში არ უნდა დავტოვოთ ისეთი ჩარჩო, რომელზედაც ჩასხმული გადაბეჭდილი თაფლის ქვეშ არსებული ცარიელი უჯრედებიდან ბარტყი არ გამოჩეკილა.

ბუდის ორივე მხარეზე თაფლით სავსე ჩარჩოები უნდა განლაგდეს, ბუდის ცენტრისაკენ ჩარჩოებში კი ფიჭის ზედა ნახევარზე ჩასხმული თაფლიანი ფიჭები, რომლის ქვეშაც ფუტკარი გუნდის შესაკრავად სპეციალურად ინახავს ცარიელ უჯრედებს, ისე რომ გუნდის ზედა წვერო ეხებოდეს გადაბეჭდილ თაფლიან უჯრედებს.

ფუტკარი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ისეთი ჩარჩოებით, რომელზედაც იქნება როგორც ჭეო, ისე თაფლი, მაგრამ ღია ჭეოთი მთლიანად გავსებული ფიჭის ბუდეში დატოვება დაუშვებელია, რადგან მას ფუტკარი ვერ დაფარავს და ობი გაუჩნდება, არ შეიძლება ასევე ჭეოთი მთლიანად გადავსებული ფიჭის ჩადგმა ბუდის ცენტრშიც, სადაც იგი გამოიწვევს გუნდის გაყოფას და იმ მხარეზე, სადაც დედა არ მოხვდება, ფუტკრის დაღუპვას.

მღრღნელების, ხვლიკების და სხვა მავნებლების სკაში შეღწევადობისაგან დასაცავად, სკას უკეთებენ თუნუქის საფრენს, რომელზეც ამოჭრილია 6-7 მმ სიფართის საძრომი.

დასათბუნებელად ტიხარსა და სკის კედლებს შორის დარჩენილ სივრცეში საფარ ტილოზე სახურავის ქვეშ ათავსებენ ბალიშებს, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბამბა, სართავი, საფეიქრო წარმოების ნარჩენები, ხავსი, აგრეთვე ჩალა, ბურბუშელა, მშრალი ფოთლები, ნახერხი და სხვა.

საფარ ტილოზე დასათბუნებელი მასალის მოსათავსებლად, ქარებისაგან სკის სახურავის გადაგდების და სკაში მღრღნელების შეღწევადობის თავიდან ასაცილებლად, კორპუსს მჭიდროდ ადგამენ საკუჭნაოს ნახევარი სიმაღლის ფიცრისაგან კორპუსის ზომებზე შეკრულ კარკასს — საბალიშეს (რომელშიაც თავსდება ბალიში), რომელზეც კარგად ჩამოეცმება სახურავი.

დათბუნების დროს საფარ ტილოზე ბალიშის ქვეშ აფენენ 2-3 ფენა გაზეთის ფურცლებს ბუდეში სითბოს შესანარჩუნებლად და ტენის ასათვისებლად.

თუ ფუტკრის ოჯახები სუსტია და ფუტკარი 3-5 ჩარჩოზეა ორივე გვერდიდან ათბუნებენ, სკებს დგამენ ისე, რომ დილის მზის სხივებმა ბუდის წინა კედელი გაათბოს.

თუ საფუტკრეში გვყავს სათადარიგო დედები, ისინი უნდა შევინახოთ ჰორიზონტალურ, წოლელა სკებში, ერთმანეთისგან გამყოფი ტიხრებით და ცალ-ცალკე საფრენებით, რომლებიც ერთმანეთს კარგად გაათბობენ, ხოლო უფუტკროდ დარჩენილი თავისუფალ სივრცეს საგულდაგულოდ ათბუნებენ.

Agrokavkaz.ge

# ისტორიის მნიშვნელობა ქართულ სინამდვილეში

## ისტორია იმდენად წარსულისათვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსთვის

/ვაჟა-ფშაველა/

ჩვენ ვიცით, რომ ისტორია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს კაცობრიობის წარსულს უძველესი დროიდან დღემდე და მის მიღწევებს სულიერ და მატერიალურ სფეროში. აქედან გამომდინარე საქართველოს ისტორიოგრაფია სწავლობს ქართველი ხალხის წარსულს უძველესი დროიდან დღემდე და მის პორდუქტიულ მონაგარს. და თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ერის ცხოვრებაში, ამის შესახებ წმ. ილია მართალი ბრძანებს: როგორც კაცად არ იხსენიება ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც აღარ ახსოვს ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისე ერად ხსენებული არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. და რა არის ისტორია? იგია მთხრობელი იმისა თუ რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავაც... წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა.

ქართველი ხალხი ისტორიის ასპარეზზე უხსოვარი დროიდან გამოვიდა. დღემდე მან კულტურული ცხოვრების დიდი გზა განვლო და შექმნა მრავალსაუკუნოვანი და საოცრად მდიდარი ისტორია.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას და სახელმწიფოებრიობას საფუძვლად დაედო ქრისტიანობა. სწორედ ამიტომ ქართველობა და ქრისტიანობა გაიგივებული იყო. აი, როგორ გვმოძღვრავს ამის შესახებ წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე):

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას. დღესაც მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავე მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ იტყვიან, – გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორცთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარი მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას სულ იმაზედ მიაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდანს და უდიდესს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს... აი რამ მოაგებინა ამ პატარა ქვეყანას აურაცხელი მტერი! მამული და ეროვნება მიაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნებასა და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლის ღვრით გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

ჩვენი წინაპრების სახელოვანი ისტორიის, მათი რწმენის, მათი გმირული ბრძოლის, შრომისა და მოქმედების შესახებ მოთხრობილია თვით ხალხის მიერ შექმნილ თხზულებებში, ლეგენდებსა და იგავარაკებში.

ქართველი ხალხის გმირულ თავგადასავალზე ღაღადებენ აგრეთვე ჩვენი წინაპრების ნახელავი ნივთიერ-სულიერი ძეგლებიც: ციხე-კოშკები, გალავნები, სასახლეთა ნანგრევები, ეკლესია-მონასტრები, ნასოფლარები, ნაქალაქარები და სხვა კულტურის ძეგლები, რომლებითაც მოფენილია ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი და დგანან, როგორც ცოცხალი მოწმეები საქართველოს წარსულისა და უსიტყვოდ მეტყველებენ მისი სიდიადის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ქართველ ხალხს ადრიდანვე უზრუნია, რათა მისი წარსული წერილობითაც აღბეჭდილიყო ქვის ფილებზე, ეტრატის თუ ქაღალდის ფოლიანტებზე. ჩვენს წინაპრებს სურდათ რომ არცერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა, მათი გმირობა და თავდადება დავიწყებას არ მისცემოდა და შესაბამისად მისი ცოდნა მომავალი თაობებისათვის სამაგალითო და ერთგვარი მასტიმულირებელი ყოფილიყო.

უძველესი დროიდან ქართველებისა და მათი სიდიადის შესახებ წერდნენ არა მარტო ქართველი მწერლები, არამედ უცხოელი მოღვაწეებიც. მაგალითად შარლ ჰუმენი, ჟურნალ ატლანტისის რედაქტორი საქართველოს შესახებ წერდა: ქართველები უძველესი კულტურის ხალხია, ეს ერი, თავისი ძეგლებითა და გმირული ისტორიით უმდიდრესი ერია, მისი წარმოშობის ფესვი უხსოვარ წარსულში იკარგება... კავკასიაში ცხოვრობს უძველესი კულტურისა და ენის მფლობელი ევროპელი ხალხი. ამ ხალხის გაცნობა დიდად გაამდიდრებს მკითხველთა შემეცნებას, განუზომელ სულიერ სიამოვნებას მიანიჭებთ მათ.

ძველი ბერძენი მწერლები უძველესი დროიდან გვაძლევდნენ ცნობებს საქართველოსა და ქართველი ხალხების შესახებ. ბერძნულ მითებსა და ლეგენდებში ასახული იყო ქართველ ხალხთა ყოფა-ცხოვრება. მათი მითების მიხედვით კოლხეთი ის ქვეყანა იყო სადაც ოქროს მომპოვებელი ხალხი ცხოვრობდა, ამიტომ მათ მითებში კოლხეთი გაიდეალებული იყო, როგორც ოქროს მომპოვებელი სახელმწიფო და იგი იმ დროისათვის მოგზაურთა საოცნებო მხარედ მიიჩნეოდა. სწორედ ამ იდეის ხორცშესხმას წარმოადგენს მითი არგონავტების შესახებ. ჩვ.წ.აღ-მდე მესამე საუკუნეში იგი ჩაწერა აპოლონიოს როდოსელმა. თხზულების სახელწოდებაა არგონავტიკა. ასევე ამ მითზე წერს მეხუთე საუკუნის მეცნიერი ევრიპიდე, თავის თხზულებაში – მედეა. ზოგიერთი ცნობით მითში არსებული პერიოდი ტროას ომის წინა დროს უნდა განეკუთვნებოდეს. ჰომეროსი „ილიადა და ოდისეაში“ ასახელებს მითის გმირებს, ამიტომ ზოგს მიაჩნია, რომ მითში არსებული მოვლენები ჩვ.წ.აღ-მდე მერვე საუკუნის 70-60-იან წლებს უნდა განეკუთვნებოდეს.

მითში არსებული სინამდვილის შესამოწმებლად საქართველოში 1984 წელს იმოგზაურა ინგლისელმა სწავლულმა, ტიმ სივერინმა და აღნიშნა, რომ მითში არსებული ფანტაზიის მიუხედავად იგი გარკვეულ რაციონალურ მარცვალს შეიცავსო.

კოლხების შესახებ აგრეთვე ძალზედ საინტერესო ცნობები აქვს ძვ. წ. აღ. მეხუთე საუკუნეში მოღვაწე ბერძენ ისტორიკოსს, ისტორიის მამად წოდებულ ჰეროდოტეს. მან ფეხით იმოგზაურა კოლხეთში. იგი აღნიშნავდა, რომ კოლხები ეგვიპტური წარმომავლობისანი არიანო, რადგან ორივე შავგვრემანები და ხუჭუჭთმიანები არიანო. აგრეთვე წინადაცვეთასაც ეწევიან და ხორბლისა და სელის მოყვანა ერთნაირად იციანო.

კოლხების შესახებ ასევე მდიდარ ცნობებს გვაწვდის პირველი საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი სტრაბონი. მან აღწერა გზები და აბანოები. თავის ჩანაწერებში იგი აღნიშნავს თუ როგორი გაოცებული დარჩა როცა იხილა არქიტექტურულად მოწყობილი და კრამიტით გადახურული სახლები, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებები.

აღსანიშნავია, რომ კოლხეთი იმ ხანად მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული სახელმწიფო იყო. ისინი მისდევდნენ თევზჭერას, მიწადმოქმედებას, ამუშავებდნენ ლითონს, განვითარებული იყო ვაჭრობა და ხელოსნობა. მათ ასევე ღვინის დაყენებაც კარგად იცოდნენ.

საქართველოს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ქრისტიანობას უკავია. საეკლესიო ტრადიციის მიხედვით საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ჯერ კიდევ ქრისტეს მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში ცალკეული პიროვნებები, კერძოდ ელიოზ მცხეთელის და და დედა ამ სარწმუნოების მიმდევრები იყვნენ.

როგორც ცნობილია, ქრისტეს ჯვარცმისას იერუსალიმში იმყოფებოდა ორი ებრაელი საქართველოდან: ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. სწორედ ელიოზმა ჩამოიტანა მცხეთაში კვართი უფლისა, მას პირველი მისი და სიდონია შეეგება, კვართი გულში ჩაიკრა და მყისვე მიიცვალა. იგი კვართთან ერთად დაკრძალეს. მისი საფლავის ადგილზე კიპაროსი ამოვიდა და შემდეგ იმ ადგილზე ააშენეს პირველი ხის ტაძარი – სვეტიცხოველი.

საქართველოში ქრისტიანობა პირველად უშუალოდ იესო ქრისტეს მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ იქადაგეს. ხოლო მეოთხე საუკუნეში სარწმუნოების განსამტკიცებლად და სრულიად ქართლის განსანათლებლად ღვთის განგებით საქართველოში შემოვიდა კაპადოკიელი წმ. ქალწული ნინო. მან ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევითა და ვაზის ჯვრით, რომელიც დედაღვთისამ გადასცა მას, გაიმეორა ანდრია პირველწოდებულის მისია. ამასთანავე მოაქცია მირიან მეფე და ნანა დედოფალი. სწორედ ამ დროიდან (326 წ.) საქართველოში ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად.

ქართლის ეკლესიის პირველი მამამთავარი გახდა იოანე, რომელიც ორ მღვდელთან და სამ დიაკონთან ერთად ქართლში გამოგზავნა ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინემ, რომელთაც თან გამოატანა ქრისტეს ჯვარცმის ორი სამსჭვალი და პატიოსანი ჯვრის ნაწილი.

საქართველოს კიდევ ერთი უდიდესი სიმდიდრე მისი ენა და დამწერლობაა. მსოფლიოში არსებული 14 დამწერლობას შორის ერთ-ერთი უძველესი ქართულია. ამის შესახებ კ. გამსახურდია ბრძანებს: ქართული ენა უხუცესთაგანია, როგორც ევროპის, ისე წინა აზიის ენთა შორის, მისი ასოები ამკობენ, როგორც ქრისტიანული კულტურის უხუცეს ძეგლებს, ისე ბიბლიის თარგმანების უძველეს ვერსიებს. აღსანიშნავია, რომ ამის გამო ქართველმა ერმა ძეგლი დაუდგა დედაენას, რაც იყო გამომხატველი იმ უსაზღვრო სიყვარულისა და დაფასებისა, რასაც ისინი გრძნობდნენ თავიანთი მშობლიური ენის მიმართ. საგულისხმოა აგრეთვე ის, რომ არსებობს ბერძნული წარწერები ქართული დამწერლობის შესახებ. ანტიკური ხანის ქართველებს ბერძნები წიგნისა და ანბანის მცოდნე ხალხებად თვლიდნენ.

ცნობილი ენათმეცნიერი გარდტჰაუზერი ამბობს, რომ – ქართული ანბანი სავარაუდოდ ბერძნული ანბანიდან წარმოიშვა, რადგან ქართული პალეოგრაფიული ტერმინოლოგიის თითქმის ყველა ტერმინი ბერძნულ პალეოგრაფიის ტერმინოლოგიას იმეორებს. ბერძნული ანბანის ასო-ნიშნების რიგიც ქართულს ემთხვევა. ქართული ანბანი ასომთავრულობაში ყველაზე უფრო ბერძნულს ჰგავს...



ქართული ანბანი სამი სახისაა: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. თითოეულ მათგანს თავისი დამახასიათებელი გრაფიკული სტილი აქვს. ნუსხური დამწერლობა ასომთავრულის განვითარების შედეგია, ხოლო მხედრული – ნუსხურისა. ეს ცვლილებები თავის მხრივ სწრაფი, გამარტივებული წერისაკენ მისწრაფებამ განსაზღვრა, რასაც წიგნზე მზარდი მოთხოვნილება განაპირობებდა.

ქართული დამწერლობის შემოღებას ისტორიკოსი ლეონტი მროველი ფარნავაზ მეფეს (ძვ.წ.აღ. მესამე საუკ.) მიაწერს. წერილობითი ძეგლები კი დღეისათვის მხოლოდ მეხუთე საუკუნედან მოგვეპოვება. მაგ.: პალესტინის 433 წლის ბაკურისა და გრიორმიზდის წარწერა, ბოლნისის სიონის 493 წლის სამშენებლო წარწერა და სხვა. საგულისხმოა, რომ ქართული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფში შედის და მას 16 დიალექტი აქვს.

ქართულ საუნჯეს განეკუთვნება აგრეთვე: ნაციონალური მუსიკა, მსოფლიოში უნიკალური სამხმიანი საეკლესიო გალობა, ფოლკლორი, მინანქრისა და ხატწერის კულტურა, ცეკვები რომელშიც ქალი და მამაკაცი თითქმის არ ეხებიან ერთმანეთს. იგი დაცლილია ყოველგვარი ქვედამზიდველი ინსტიქტებისაგან და იგი იმით განირჩევა მსოფლიოში არსებული ყველა ცეკვის სტილისაგან, რომ მასში საოცარი სიფაქიზით არის აკუმულირებული ზნეობრივი ელემენტები.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ბევრი ცრუ და ერეტიკული სწავლება ჩამოყალიბდა თვით ქრისტიანობის წიაღში, ამიტომ ეკლესიას, რომელიც მართლად და სწორად იცავდა მოციქულთა გადმოცემულ მოძღვრებას, მართლმადიდებელი ეკლესია ეწოდა. მართლმადიდებელი ეკლესია იყო, არის და იქნება ხერხემალი ჩვენი ეროვნული სულისა. იგი ისე ჩაეზარდა ქართველი ადამიანის გენეტიკურ კოდს, ისე გაიშალა ერის ხასიათსა და ცხოვრების წესში, რომ ამ ერისა და რელიგიის ერთმანეთისაგან განცალკევება შეუძლებელია. წმ. ილია მართალი ამის შესახებ ასე ხატოვნად ამბობს: რომ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი, და ამ მკერდზედ, ვითარცა კლდეზედ დავუდგით ქრისტიანობას ტაძარი, ქვათ ჩვენი ძვლები ვიხმარეთ, კირად სისხლი და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი.

დედამიწაზე არ მოიპოვება არც ერთი ერი საქართველოს გარდა, რომელსაც სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის ამდენი თავდადებული მოწამე და წმინდანი ჰყავდეს. მხოლოდ ის მაგალითიც კმარა, რომ ერთ დღეში (1226 წ.) თბილისში ხვარაზმეთაგან 100 000 ადამიანი ეწამა სარწმუნოებისათვის. ამ დღეს ხვარაზმელთა მთავარსარდალმა ჯალალ-ად-დინმა საშინელ სასაკლაოდ გადააქცია მეტეხის ხიდი და მოწამეთა სხეულები მტკვარში გადააყრევინა, რის გამოც მტკვარი რამდენიმე დღე სისხლისაგან გაწითლებული მიედინებოდა. ეს სწორედ იმის გამომხატველი იყო, რომ ქართველი ერი არამც და არამც არ გაცვლიდა ქრისტეს ნათელს, ბნელეთის მეუფებაზე. ქართული ცნობიერების საფუძველი ხომ სწორედ მართლმადიდებლურ ღირებულებათა პრიორიტეტი, სულიერის მატერიალურზე მაღლა დაყენება, ღვთისა და ერისათვის თავგანწირვა და მარტვილობაა. როგორც უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ამბობს: ქართული მიწა, რომ მუჭით აიღო და ხელი მოუჭირო, წინაპართა სისხლი და ოფლი გამოწვეთავსო.

ჩვენს ქვეყანას თითქმის ყოველთვის ჰქონდა ტერიტორიული მთლიანობის პრობლემები, ვერ ვინარჩუნებდით სახელმწიფოებრიობას, ვერ ვინარჩუნებდით დამოუკიდებლობას, მაგრამ ერი მაინც ფეხზე იდგა და ინარჩუნებდა თვითმყოფადობას, ერი ერთად რჩებოდა და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას გააჩნდა საყრდენი, რომელიც მატერიალური კი არა, სულიერი იყო და ამდენად მიუწვდომელი განადგურებისათვის. ქართული რეალობისათვის სხვა საერთო და გამაერთიანებელი ძალა გახდა მართლმადიდებლობისა არ არსებობდა. ეს ახლაც ასეა. ქართველი ერი ხომ მისმა სულიერმა ციხე-კოშკმა, სულიერმა ციტადელმა, სულიერმა გალავანმა და ჯავშანმა, ანუ სარწმუნოებამ იხსნა განადგურებისაგან. პირველ რიგში იგი იყო და არის გზა ცხონებისა და აგრეთვე საცავი ქართული თვითმყოფადი კულტურისა. იგი არის გარანტი მშვიდობისა!

ქართული იდეა და აზროვნება ყოველთვის ეყრდნობოდა ორ უძირითადეს სვეტს: ეკლესიისა და სამშობლოს სიყვარულს. საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალზნეობრივი და ინტელექტუალურად განვითარებული საზოგადოებით, რომელსაც სარჩულად ედო ქრისტიანული სწავლება და მორალი. ქართველი ადამიანის მსოფლმხედველობრივი აზროვნება, კულტურა, მენტალობა და ტრადიციები მუდამ იყო კეთილი მაგალითის მიმცემი მსოფლიო საზოგადოებისათვის. დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში შემოდის ე.წ. დასავლური ანუ ფსევდო-კულტურა, რომელიც შედეგია იმ შეუქცევადი მსოფლიო პროცესისა რასაც გლობალიზაცია ჰქვია. იგი ანადგურებს ერის ინდივიდუალურობას და სიკეთის ნიღბით ცდილობს დედამიწაზე ამქვეყნიური და თანაც ანტიადამიანური წესრიგის დამყარებას, წარსული სიმდიდრის დეგრადაციას და მას ახალი, გამოფიტული და უნივერსალური კულტურით ანაცვლებს. ჩვენი წინაპარებისათვის განმრთელების, განღრთობის გზა იყო მთავარი და არა პიროვნული, ამსოფლიური ფსევდო-ბედნიერება. ისინი იყვნენ ქომაგნი ჭეშმარიტებისა. ვერაფერი დააკნინებს სიდიადეს და შარავანდედს ჯვარცმული ქართველი ერისას, რომელმაც გამოიარა ისტორიის გოლგოთა იმ იმედით, რომ გოლგოთას აღდგომა და ამაღლება მოსდევს.აგერ უკვე საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ავტოკეფალიის 1500 წელი განვლო, რომელიც მეფე ვახტანგ გორგასლის ღვაწლით 468 წელს ანტიოქიის ეკლესიისაგან მოიპოვა. ამასთანავე საქართველომ სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი იზეიმა.

ამრიგად, დღევანდელი თაობა ვალდებულია გაეცნოს საკუთარი სამშობლოს მდიდარ ისტორიას, მის სულიერ ღირებულებებსა და ფასეულობებს, რათა მათ გულებში გაღვივდეს პატრიოტიზმის ნაკვერჩხალი, ხოლო ის რაც ჩვენმა წინაპრებმა ვერ შეძლეს ან ვერ მოასწრეს, ჩვენ უნდა შევქმნათ და დავასრულოთ. ამის შესახებ წმ. ილია მართალი ბრძანებს: ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელის წევაო... შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი... რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა... სხვაგან კი იგივე ილია გვმოძღვრავს: საქართველოს ისტორიის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება, მისი შენარჩუნება და გაძლიერება, ხოლო ეროვნული ცნობიერების გარეშე კი წარმოუდგენელია ეროვნული სახელმწიფოებრიობა.

ღვთივკურთხეული მამული ჩვენი საქართველო, ღვთის მადლით მუდამ იყო, არის და იქნება მანათობელი ლამპარი დედამიწისა!

უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით. (ფსალმ. 28,11)

**გიორგი ტიგინაშვილი**

## ამაღლება სვეტისა ცხოველისა

დასაწყისი მე-7 გვ.-ზე

### უფლის კვართი განუყოფელია

როგორც წმინდა კვიპრიანე კართაგენელი ბრძანებს, „თავისი კვართის საიდუმლოთი უფალმა ეკლესიის ერთიანობაზე მიგვანიშნა“ და „შეუძლებელია, ქრისტეს სამოსი ჰქონდეს იმას, ვინც ქრისტეს ეკლესიას არღვევს“. ამიტომაც იყო, ქართველები ასე რომ უფრთხილდებოდნენ ეკლესიის ერთიანობას, ამიტომაც იყო, რომ ეპისკოპოსი აუცილებლად სვეტიცხოველში უნდა კურთხეულიყო.

ერთხელ წმინდა პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერისძემ „ზამთრის სასტიკებისა“ და დედოფლის უძილების გამო მროველი ეპისკოპოსი ტიმოთე რუისის საყდარში აკურთხა ეპისკოპოსად. იმავე ღამეს სვეტი-ცხოველი „სახედ მოხუცებული ბერი კაცისა“ ტაძრის ქადაგს ეჩვენა და უბრძანა, პატრიარქი გაეფრთხილებინა, რომ მას აღარასოდეს ეკურთხებინა ეპისკოპოსი სადმე სხვაგან, გარეშე სვეტიცხოვლის ტაძრისა. ეს უმეცრებით ჰყო, ამიტომ შევუნდობ, მაგრამ სხვა დროს აღარ ვაპატიებ „შეურაცხყოფას საყდრისა ჩემისაო“, – უბრძანებია უფალს.

ეკლესიის ერთიანობას არად დაგიდევდნენ სამცხის ათაბაგები და მცხეთის საყდართან კავშირის გაწყვეტის მცდელობით იმისაც მიაღწიეს, რომ ეს დალოცვილი მხარე სულიერადაც და ფიზიკურადაც დაცარიელდა და გამოიფიტა. უფლის კვართის დარღვევის სურვილით მათ საკუთარი სული დაარღვიეს და მომავალ თაობებს დაუტოვეს იმხელა ტვირთი, რომ არ ვიცი, მისი ამწევი ოდესმე თუ დაიბადება...

### და ბოლოს

ტოპონიმიკისა და სიწმინდის მფლობელობის გამო მეორე იერუსალიმად წოდებული მცხეთა, 7 სვეტზე აგებული და ამით სოლომონის ტაძარს მიმსგავსებული სვეტიცხოველი, კვართი უფლისა და წმინდა სვეტი სახისმეტყველებად აღძრავს ქართველებს. ჩვენც ერთ პარალელს გავავლებთ: სოლომონისეული ტაძრის ნანგრევებიდან ამოვარდნილმა ცეცხლმა დაწვა იულიანე განდგომილის მიერ ღვთის ნების წინააღმდეგ ტაძრის ასაგებად გაგზავნილი მუშები. იქიდან, საიდანაც ადრე მირონი მოედინებოდა, უფალმა ცეცხლი ამოაფრქვია. ამიტომაც გვეშინოდეს სვეტი-ცხოველთან უკრძალველად მიახლებისა, განსაკუთრებით – კვართის დღესასწაულზე, გვეშინოდეს და შევიქმნათ იმ „საზეპურო ერად“, რომელსაც უფალი, ნიშნად დიდი წყალობისა, სვეტი-ცხოვლის ძირიდან აღმოუცენებს და უწყაროებს „მირონსა, ვითარცა ღმრთმოყვარეთა და ნათელყოფელსა“.

http://www.orthodoxy.ge/

# ვინ არის ყოფილი დეპუტატი, ვისთანაც 2003 წლის რევოლუციის ცნობილი ვარდი ინახება – „მივხვდი, რომ ეს ყველაფერი გათამაშებული იყო“



*ყოფილი დეპუტატი, ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, კობა ამირხანაშვილი, წლებია, „დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაციის“ დამაარსებელი და პრეზიდენტია. ბატონი კობა თავის სამუშაო ოთახში ორ უნიკალურ ნივთს ინახავს: ვარდს, რომლითაც საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა და საქართველოს დროშას, რომელსაც 2004 წლის 14 იანვარს პარლამენტმა კენჭი უყარა...*

*ბატონ კობას ოფისში ამ თემებზე სასაუბროდ ვესტუმრეთ, თუმცა საქართველოს უახლესი ისტორიის გარკვეული ეპიზოდის გახსენებას, რომლის უშუალო მომსწრე და მონაწილე ჩვენი რესპონდენტი პირადად იყო, ვერ ავცდით.*

**– პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი იყავით, დეპუტატობის სურვილი აღარ გქონიათ?**

– მადლობას გადაგიხდით, რომ მივიწყებული და დახავსებული პოლიტიკოსი გაგახსენდით... რაც შეეხება აქტიურ პოლიტიკაში ჩემს დაბრუნებას, ამის არანაირი სურვილი არ მაქვს, თუმცა ჩემი საქმიანობა მაინც ყოველთვის პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული, რადგანაც პოლიტიკის გარეშე არაფერი კეთდება, მაგრამ ისე, რომ რომელიმე პარტიასთან ასოცირებული პოლიტიკოსი ვყოფილიყავი, ნამდვილად არა.

რაც შეეხება ჩემს წარსულ საქმიანობას, „მოქალაქეთა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლდით,პარლამენტის მეორე მოწვევაზე უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი და ვფიქრობ, ერთი ადამიანისთვის სრულიად საკმარისია, რომ ბევრი რამ გააცნობიერო; ყველაფერს თავისი დრო აქვს, – მოსვლასაც და წასვლასაც. სანამ მეორე მოწვევის საპარლამენტო ვადა გამივიდოდა, წელიწად-ნახევრით ადრე მივიღე გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკაში აღარ უნდა ვყოფილიყავი.

ზოგადად კი ამ სფეროში იმისთვის მოვედი, რომ საქართველოში დიაბეტიანი მოსახლეობის (ბავშვები და მოზრდილები) ინტერესები დამეცვა. ძალიან რთულ მდგომარეობაში იყვნენ ისინი და ამისთვის არასამთავრობო ორგანიზაცია 1990 წელს დავაფუძნეთ, რომლის რეგისტრაცია 1991 წელს მოხდა. მოკლედ, ასეთი ტიპის პირველი არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაცია ვართ, მეორე არც ყოფილა და არის.

**– ე.ი. თქვენი მიზანი იყო საქართველოს დიაბეტიანი მოსახლეობის დაცვა და დეპუტატი ამიტომ გახდით?**

– დიახ და ეს მიზანი განვახორციელე: პირველ მოწვევაზე ბავშვების პრობლემების მოგვარება შევძელი, მეორე მოწვევა იმისთვის დამჭირდა, რომ მოზრდილი ადამიანებისთვის აღმომეჩინა დახმარება. დიაბეტის პროგრამების ავტორი გახლავართ. დღეს რომ ამ დარგში ყველაფერი აწყობილი და მოგვარებულია, ამაში მეც მიმიძღვის წვლილი. თუმცა როგორც გითხარით, ვადის დასრულებამდე, წელიწად-ნახევრით ადრე მქონდა გადაწყვეტილება მიღებული, რომ პოლიტიკიდან წავსულიყავი და გამოვემშვიდობე საპარლამენტო, პოლიტიკურ მომავალს და სწორადაც მოვიქეცი.

**– „მოქალაქეთა კავშირის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი იყავით. როგორ გახსოვთ ის პერიოდი?**

– „მოქალაქეთა კავშირის“ დაფუძნება ძალიან სპონტანურად მოხდა, რადგანაც ქვეყანაში 90-იან წლებში ზოგადად, იცით, რომ ძალიან მძიმე სიტუაცია იყო, – კრიმინალი მძვინვარებდა, სოციალურად მძიმე ფონი გახლდათ... ამიტომ დაიწყო თბილისელების მოძრაობა, რომლებმაც ქალაქში არსებული რთული ვითარების გაკონტროლება დაიწყო, შემდეგ კი როცა შევარდნაძე 1993 წელს პრეზიდენტად აირჩიეს, მასთან სტუმრად ბეიკერი (აშშ-ს სახელმწიფო მდივანი) ჩამოვიდა, რომელმაც პოლიტიკური ჯგუფის, პარტიის შექმნა ურჩია. მერე ეს იდეა შევარდნაძემ ჩვენ შემოგვთავაზა, პარტია არავის გვინდოდა და დაფუძნდა მოძრაობა – „მოქალაქეთა კავშირი“, რომელმაც თავისი მუშაობით, პირველ ეტაპზე დიდი შედეგი გამოიღო...

მთელი სერიოზულობით ვიტყვი იმასაც, რომ „მოქალაქეთა კავშირს“ პირველი არჩევნები არ გაუყალბებია და არც შევარდნაძის არჩევა გაყალბებულა. ხალხმა ხმა მას მასობრივად მისცა. მოკლედ, ახალ პარლამენტს საკანონმდებლო ვაკუუმის შევსება ევალებოდა და 800-მდე კანონი იქნა მიღებული (კოდექსები, ორგანული კანონები), ძალიან რთული მუშაობა გვქონდა, ისე კი არა, ახლა რომ არის... წარმოიდგინეთ, მაშინ მთელი ეს ინსტიტუტები და სისტემები შეიქმნა და ყველაფერი ზურაბ ჟვანიას მეთაურობით. მაგრამ პარლამენტის შემდეგი მოწვევისას ყველაფერი თავდაყირა დადგა: დაიწყო იმით, რომ არჩევნები გაყალბდა. მაშინ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ვიყავი მოქალაქეთა კავშირის პარტიის წარმომადგენელი, სადაც ბევრი უმსგავსობები საკუთარი თვალით ვნახე, ღია გაყალბებები, რაზეც გამუდმებული ჩხუბი მქონდა; მაშინდელ ოპოზიციას ვესარჩლებოდი და ერთ-ერთ პოლიტსაბჭოზე გამასამართლეს, შევარდნაძეს დაუდასტურეს, რომ არასაიმედო და არასანდო პარტნიორი ვიყავი, გაყალბებას ვეწინააღმდეგებოდი. მაგრამ გულწრფელად გეუბნებით, ვერ წარმომედგინა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამდენ უზნეობას, კორუფციას, გარიგებას თუ ვნახავდი... დენი იმიტომ არ გვქონდა, რომ ვიღაცას აწყობდა და მას სხვაგან ყიდდა, ვიღაცები ამ ყველაფრის წილში ისხდნენ და წარმოუდგენელი ამბები ხდებოდა...

მოკლედ, შევარდნაძე თავისივე გარემოცვის მძევალი იყო და იმ ყველაფერმა გამოიწვია სრული კოლაფსი, – აღარ ვითარდებოდა ეკონომიკა, ბიუჯეტი ნულამდე დაეცა, პრეზიდენტი სიტუაციას ველარ მართავდა. „მოქალაქეთა კავშირში“ პრობლემები შეიქმნა, მოხდა თანამდებობიდან ზურაბ ჟვანიას გადაყენება და ისიც თავისი გარემოცვის მძევალი აღმოჩნდა, პრაქტიკულად, ველარ შეინარჩუნა თავისი ადგილი. „მოქალაქეთა კავშირი“ დაიშალა...

**– დეპუტატობისას წარმოიდგენდით იმას, რომ ახალგაზრდა რეფორმატორები, რომლებიც თქვენ გვერდით მოღვაწეობდნენ, „მოქალაქეთა კავშირში“ შევარდნაძის ხელისუფლებას დაამხობდნენ და ქვეყნის სათავეში მოვიდოდნენ?**

– გამოკვეთილი კონტურები სულ უფრო ჩნდებოდა, რომ შევარდნაძეს ვადას ესენი ბოლომდე არ მიაყვანინებდნენ და ეს ერთი წლით ადრე ტრიბუნიდან ვთქვი კიდეც, ამის ვიდეოჩანაწერიც არსებობს...

**– ამასთან, „ვარდების რევოლუციის“ მონაწილე ხართ... პარლამენტში მიხეილ სააკაშვილს შეყევით... იქ როგორ აღმოჩნდით?..**

– კი, „ვარდების რევოლუციის“ მონაწილე ვარ, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ წევრი არ ვყოფილვარ... ხალხი მშვიდობიანად პარლამენტში ხელისუფლების დასამხობად რომ შევიდა, მიმაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება იყო. ხოლო თუ როგორ აღმოვჩნდი იქ, გეტყვით: რუსთაველზე ვცხოვრობ, იქ მთელი ის პერიოდი მიტინგები იმართებოდა, ბოლოს, როდესაც ვითარება დაიძაბა, არ მინდოდა, შეტაკება, სისხლის ღვრა მომხდარიყო. არადა, იქ იარაღიანი ხალხი ნამდვილად იყო თავმოყრილი კერძოდ, „აღორძინებიდან“. მოკლედ, 22 ნოემბერს, დილას თავისუფლების მოედანზე მომიტინგეებს შევუერთდი. მერე ხალხი სამ საათამდე დაიშალა... მანამდე პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია გადაკეტილი და ჩახერგილი იყო, რატომღაც სამი საათისთვის ჩაკეტილი ქუჩები გაეხსნათ, იქიდან ყველა მანქანა გაეყვანათ და ტერიტორია გათავისუფლებული იყო.

გზის გახსნა ცხადია, ვიღაცის ბრძანებით მოხდა. მხოლოდ კობა ნარჩემაშვილის (მაშინდელი შს მინისტრი) პატარა ჯგუფი იყო ჩიტაძეზე. ნარჩემაშვილი ამბობდა, – რატომ უნდა გაგატაროთ? გაატარეთ, უამრავი ხალხი მოდის, დიდი ტალღაა-მეთქი, – ვუთხარი და ხმა აღარავის გაუცია. მახსოვს, ერთადერთი უშიშროების პოლკოვნიკი იყო, სახელოში ხელი მტაცა, – რას შვრებითო?! ვუთხარი: წინააღმდეგობის გაწევა, იარაღის გამოყენება არ შეიძლება, ეს ხალხის ნებაა და თავი დაანებეთ, ხელს ნუ უშლით-მეთქი. ამასობაში მიშა სააკაშვილი პარლამენტში შევიდა. სხდომათა დარბაზში რომ შეცვივდნენ, პირველად უკან გამოუშვეს და იმ დროს კართან აღმოვჩნდი, მიშა რომ გამოვარდა, კარი კინაღამ სახეში მომხვდა. რომ დამინახა, ვარდი ხელში მომაწოდა, რომელიც მისთვის მანამდე დათო მუმლაძეს მიუცია. მითხრა, – ხალხი სად არის? აქ არიან-მეთქი და უეცრად ორივე კარი გაიღო და ადამიანები დარბაზში შეიჭრნენ. ატყდა ამბავი, მაგიდებზე აცვივდნენ, დეპუტატ ვიტალი ხაზარაძის სკამს ეძებდნენ, რომ დაეწვათ... მიშამ შევარდნაძის ჩაი დალია და შემდეგ რაც მოხდა, კარგად იცით... სანამ შევარდნაძე გადადგებოდა, პარლამენტის შენობის დაცვა მევალებოდა, მერე 23-ში, გამთენიისას ჩემთან ჟვანია მოვიდა და მითხრა: კობა ჯან, წადი სახლში, არადა, ვინჩესტერი მეკავა ხელში (ცნობილია, რომ ყოველთვის შეიარაღებული ვიყავი, იარაღით დავდიოდი), სულხან პაპაშვილი (შევარდნაძის დაცვის უფროსი) მოდისო. მოვიდა ხაბურზანიაც, უშიშროების ყოფილი მინისტრი. გავოცდი, რომ მეგონა, შევარდნაძეს საფლავში ჩაჰყვებოდნენ, ყველანი იქ არ დავინახე? მივხვდი, რომ ეს ყველაფერი გათამაშებული ამბავი იყო და კიდევ ერთხელ აღმოვჩნდი იდიოტის როლში. იმის მერე კი პოლიტიკას განსაკუთრებით ვერიდები...

**– დღეს თქვენ სამუშაო ოთახში ჰკიდია ვარდი, რომლითაც საქართველოში პრაქტიკულად, „ვარდების რევოლუცია“ მოხდა. რას გვეტყვით მასზე?**

– როდესაც პარლამენტში ჩემს სამუშაო ოთახს ვცლიდი, თანაშემწემ მითხრა, – ამას რა ვუყოთ? თურმე ვარდი, რომელიც მიშამ ხელში მომაწოდა, ოთახში კარადის თავზე შემომიდვია. იცი, რა არის? მიშას ვარდია-მეთქი, – თანაშემწეს ვუპასუხე. წამოვიღე და ჩარჩოში ჩავსვი, მას მერე კედელზეა ჩამოკიდებული, რომელიც უკვე დიდი ხანია რელიკვიაა.

ისე, ამ ოთახში კიდევ ერთი ისტორიული დოკუმენტია – საქართველოს სახელმწიფო დროშა, რომელიც პარლამენტმა 2004 წელს დაამტკიცა. შეხედეთ, რა აწერია: 14 იანვარი 2004 წელი, 18 საათი, საქართველოს პარლამენტი. სხდომის თავმჯდომარე გიგი წერეთელი იყო. ეს დროშა განვიხილეთ და ამას ვუყარეთ კენჭი... მუზეუმს მივმართე, ეს ექსპონატები წაიღეთ-მეთქი, – ადგილი არ გვაქვსო...

**– დროშა თქვენთან რატომ დარჩა?**

– ქაღალდზე დახატული დროშით უნდოდათ მისი განხილვა. ეს არ იყო სწორი და მერე ეს დროშა მე მოვიტანე და ხომ გითხარით, პარლამენტში განხილვისას ეს იყო გადმოფენილი...

დღეს მეამაყება, რომ „ვარდების რევოლუციის“ მონაწილე ვარ, რადგანაც მას მერე ქვეყანაში ძალიან სერიოზული შემოტრიალება და ზრდა დაიწყო, მაგრამ ხელისუფლება ჭარბად რომ აქვთ ადამიანებს, რყვნის და გაირყვნა ახალი ხელისუფლებაც. ჩემთვის არც მიშა და არც მისი თანაგუნდელები უცხოები არ იყვნენ – უმცროსი მეგობრები და კოლეგები გახლდნენ, მაგრამ ყველაფერი სამწუხარო შედეგებით დაასრულეს.

მაგრამ ადამიანი მადლიერი უნდა იყო და არ ვივიწყებ იმას, რომ სააკაშვილი ძალიან დამეხმარა ამ ცენტრის მშენებლობაში. ვისაც დიაბეტიანი ადამიანებისთვის რაიმე კარგი გაუკეთებია, არასდროს დავუვიწყებ. ოფისში მასთან ერთად გადაღებული ფოტოც კი მიკიდია...

**– დღეს როგორ აფასებთ მის საქციელს?**

– აბსოლუტურად ნეგატიურად, ასეთი რაღაც არ შეიძლება. უნდა მოისვენოს, დაასვენოს თავის ხალხი, ქვეყანა, ოჯახიც. გაივლის დრო და ისტორია შეაფასებს, ვის რა ადგილი ჰქონდა და ვინ ვინ იყო. სამწუხაროდ, ხმა არ მიმიწვდება, კონტაქტი არ მაქვს მასთან, რომ პირადად ვუთხრა. ბევრი შეცდომა დაუშვა ხელისუფლებაში ყოფნისას. რომელი ერთი ჩამოვთვალო... ეს ყველაფრი ადამიანების გონებაში მყარად არის დალექილი...

**– ბოლო არჩევნებით კმაყოფილი ხართ?**

– როგორ შეიძლება კმაყოფილი ვიყო? დღეს რომ უმრავლესობა ხელს იშვერს რაღაცებზე, – ეს ოპოზიციის ბრალია. სუსტი აღმოჩნდა ოპოზიცია... ახლა საკონსტიტუციო უმრავლესობა ძალიან დიდი ცდუნების ზღვარზეა, თუ ამ ყველაფერს კარგი საქმისთვის გამოიყენებენ, მაგას რა სჯობია?

ასე რომ, „ქართული ოცნება“ კი არ არის ძლიერი, ოპოზიცია არ ვარგა. მე ვარ ავტორი ტერმინისა, „კლონირებული უმრავლესობა“. თავის დროზე „მოქალაქეთა კავშირს“ ჰყავდა „’კლონირებული უმრავლესობა“ (საკონსტიტუციო უმრავლესობა) და იცით, როგორც დამთავრდა ის ამბავი, ასეთივე უმრავლესობა ჰყავდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და მათი ფინალიც ვიცით, ახლა ასეთივე უმრავლესობა ეყოლება „ოცნებას“ თუ არ გაითვალისწინა წინამორბედების შეცდომები, მათ ბედს გაიზიარებს. ეს რომ არ მოხდეს, ყველაფერი უნდა გაითვალისწინონ. მე ოჯახით „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი ვარ და ამიტომ არ ვუსურვებ ამას „ოცნებას“! არ უნდა დაუშვან შეცდომა, რათა გაგრძელდეს ეს ციკლი ბოლომდე ხალხის და საზოგადოების საკეთილდღეოდ.

**ლალი ფაცია, ambebi.ge**

# ბავშვთა რომელი დაავადებები აქტიურდება შემოდგომაზე



*ამ და სხვა აქტუალურ შეკითხვებზე პედიატრიული პრივატ კლინიკის პედიატრი ხატია შუკაკიძე გვიპასუხებს:*

**– ბავშვთა რომელი დაავადებები აქტიურდება შემოდგომაზე?**

– შემოდგომის პერიოდი გამოირჩევა მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების ინტენსივობის მატებით. სასუნთქი სისტემის პათოლოგიას ორგანიზმში სხვადასხვა ვირუსული ინფექციები, მათ შორის უპირატესად გრიპის ვირუსი, ადენოვირუსი, პარაგრიპის ვირუსი და სხვა იწვევენ. პარაგრიპით უმეტესად სკოლამდელი ასაკის ბავშვები ავადდებიან, მათ შორის – ერთ წლამდე ასაკის პატარებიც. ინფექცია ჰაერწვეთოვანი გზით გადაედება. ვირუსი გარემოში გამოიყოფა ხველის, ცემინების დროს ლორწოს წვეთებთან ერთად, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით – დაავადების პირველ 2-3 დღეს. პარაგრიპული ინფექცია სპორადული შემთხვევებისა და მცირე აფეთქებების სახით გვხვდება. ავადობა იმატებს შემოდგომა-ზამთრის პერიოდში. თუ გრიპის ეპიდემიამ არ იფეთქა, ოქტომბერ-დეკემბერში მწვავე რესპირაციულ დაავადებათა 40% პარაგრიპით არის განპირობებული.

სასუნთქი სისტემის პათოლოგიებიდან აგრეთვე ბრონქიოლიტს ახასიათებს პიკი შემოდგომის პერიოდისთვის. შეგახსენებთ, რომ ბრონქიოლიტით ავადდებიან 2 წლამდე ასაკის ბავშვები და გულისხმობს ბრონქიოლებისა და წვრილი ბრონქების გენერალიზებულ ობსტრუქციულ დაზიანებას. გაზაფხულსა და შემოდგომაზე ასევე მწვავდება წყლულოვანი დაავადებებიც. სამწუხაროდ, წყლულოვანი დაავადება ბავშვებშიც გვხვდება. 6-დან 10 წლამდე ბიჭებსა და გოგონებში – ერთნაირი სიხშირით, 10 წლიდან კი ბიჭებში უფრო მეტად. დაავადების სეზონური გამწვავების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების ჩატარება, რაც მოიცავს გამოკვლევებსა და მკურნალობის შესაბამის კურსს.

შემოდგომა საყურადღებოა ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისთვისაც, რადგან ქრონიკულ დაავადებების უმეტესობა, სეზონურ ხასიათს ატარებს და მწვავდება ამ პერიოდისათვის. შემოდგომის ალერგია ამგვარი ტერმინიც კია მიღებული საერთაშორისო პრაქტიკაში,რაც თავის მხრივ მოიცავს :ალერგიას ამბროზიის მტვერზე,ალერგიას მტვრის ტკიპებზე და ძირითადი გამოხატულება აქვს ალერგიული რინიტის, კონიუნქტივიტის, ცემინების, ხველის სახით.ბევრი ადამიანი წლის ცივი სეზონის დადგომას არც თუ ისე მარტივად ხვდება,წინ გრძელი და ცივი ზამთარის მოლოდინი ზოგ ადამიანს დეპრესიაშიც კი აგდებს,ასე რომ შემოდგომა ბევრი ადამიანისთვის მელანქოლიის და დეპრესიის მიზეზი ხდება.დეპრესია არც თუ ისე მარტივი პრობლემაა რაც კომპლექსურ მკურნალობას და დახმარებას მოითხოვს.

**– როგორი ტემპერატურა და ტენიანობა უნდა იყოს სახლში, გარემოში სადაც ბავშვი დღის უმეტეს ნაწილს ატარებს?**

– ბავშვის ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის აუცილებელია დაიცვათ მისი ინდივიდუალური ჰიგიენა, შეუქმნათ საკუთარი მიკროკლიმატი და გამოუმუშაოთ ჰიგიენური ჩვევები. ბავშვებისთვის ყველაზე ოპტიმალურ ტემპერატურად მიღებულია 18-22 გრადუსი, ხოლო ტენიანობის ნორმად მიღებულია 60-65%. ასევე ყურადღება მიაქციეთ, რომ ხშირად ნიავდებოდეს ბავშვის ოთახი, არ ჩააცვათ ბავშვს ზედმეტად თბილად.

**– პროფილაქტიკის მიზნით რა შეიძლება გააკეთოს მშობელმა, რომ ბავშვი მომზადებული შეხვდეს ვირუსებს და ადვილად დაძლიოს?**

– პირველ რიგში დიდი ყურადღება მიაქციეთ თქვენი პატარას ჰიგიენას, დაიბანეთ ხელები მასთან ერთად ხშირად და აუხსენით ამ პროცედურის აუცილებლობა და სიკეთე. ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი. თუკი ოჯახში რომელიმე წევრს აქვს ავადობის რაიმე სიმპტომატიკა, მოარიდეთ თქვენი პატარა მას, დააძინეთ სხვა ოთახში. მოარიდეთ ბავშვი ზედა სასუნთქი გზების ინფექციით დაავადებულ პირებს, არ გაუშვათ ბაღში ავადობის პერიოდში, რათა არ მოხდეს ვირუსის გავრცელება.

უკვე მთელ მსოფლიოში დამკვიდრდა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რომლის პროფილაქტიკური ეფექტურობის კოეფიციენტი თითქმის 95%-ია.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდი საკმაოდ დატვირთულია განსაკუთრებით სასკოლო ასაკის ბავშვთა ცხოვრებაში. ზაფხულის არდადეგების შემდეგ მათ უწევთ დატვირთულ რეჟიმთან და რუტინასთან ადაპტირება. იმუნური სისტემის ამაღლებისთვის ჯანსაღ საკვებთან, ძილის სწორ რიტმთან ერთად აუცილებელია ფიზიკური აქტივობა და ცხოვრების ჯანსაღი რიტმი. სპორტის სახეობა აირჩიეთ ბავშვის ხასიათის, გამბედაობის და ფიზიკური მზაობის გათვალისწინებით, გაითვალისწინეთ თქვენი შვილის მისწრაფებანი, ინტერესი და ფიზიკური შესაძლებლობა, მთავარია, მათ მიიღონ პოზიტიური ენერგია და სიამოვნება საყვარელი საქმის კეთებისას.



# თხილი — ადგილის შერჩევიდან მოსავლის აღებამდე

**დასაწყისი მე-4 გვ.-ზე**

### მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები

ჩატარებული ფიტოსანიტარიული გამოკვლევებით, თხილის ფერმერულ მეურნეობებში აღნიშნულ იქნა შემდეგი ძირითადი მავნებელ-დაავადებანი: თხილის შავი ხარაბუზა, ამერიკული თეთრი პეპელა, ვაზის ლურჯი რწყილი, თხილის ცხვირგრძელა, მთვარისებრი მზომელა, თხილის ბუგრი, თხილის ყავისფერი სიდამპლე, თხილის ნაცრისფერი სიდამპლე და თხილის ნაცარი.

სრულმოსავლიან თხილნარებში მავნებელ – ავადმყოფობებთან ბრძოლა შესაძლებელია ჩატარდეს კომბინირებული ნაზავებით (ინსექტიციდი+ფუნგიციდი).

მავნებლების წინააღმდეგ გამოიყენება ბი-58(ახალი), ან ალპაკის, ან ვალსამბას, ან ბუდოკის, ან კალიფსოს 0,1%-იანი სამუშაო ხსნარი.

დაავადებების წინააღმდეგ გამოიყენება სპილენძის ქლორჟანგის 0,4% ან ვალდსაქსილის სამუშაო ხსნარი. მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ კომბინირებული ნაზავებით პირველი შესხურება ტარდება აპრილიდან ივლისამდე, მეორე შესხურება ივლისიდან, საჭიროების მიხედვით. ერთ ჰა-ზე საჭიროა 2000 ლ სამუშაო ხსნარი (გამასხურებელი უნდა იყოს წვრილწვეთოვანი).

გახსოვდეთ, რომ თხილის კულტურა მეტად მგრძნობიარეა ქიმიური პრეპარატების მიმართ. პრეპარატების არასწორმა შერჩევამ, კონცენტრაციის თვითნებურად გაზრდამ, შეიძლება გამოიწვიოს ფოთლების დაწვა, ზრდის შეჩერება, ნაყოფის დეფორმირებული განვითარება და ნაადრევი ცვენა.

### თხილის ნაყოფის დამზადება და შენახვა

თხილის ნაყოფი დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რეგიონებში ივნის-ივლისში იწყებს ტექნიკურ სიმწიფეს. ეს ის პერიოდია, როდესაც უხვ ნალექთან და ჰაერის მაღალ შეფარდებით ტენიანობასთან გვაქვს საქმე.

თხილის საკრეფად უნდა შევარჩიოთ მზიანი, მშრალი ამინდი, სასურველია თხილი მოკრეფიდან 1-2 დღეში გაირჩეს და გასაშრობად თხელ ფენად გაიფინოს. მზის პირდაპირი სხივები ხშირად იწვევს ნაყოფის გულის მოხალვას, ამიტომ გასაშრობად საჭიროა შეირჩეს ნახევრადდაჩრდილული ადგილები.

ზოგიერთი ფერმერი/გლეხი თხილის ნაყოფის დასამზადებლად მიმართავს ნაყოფის სრულ სიმწიფეში (აგვისტო – სექტემბერი) ბუჩქების მექანიკურ დაბერტყვას და ნიადაგის ზედაპირიდან ნაყოფის აკრეფას. ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაკვეთი დაცულია ცხოველებისა და მღრღნელებისგან; ასევე, რიგთაშორისები სუფთა და რელიეფი ვაკე ან 100-მდე დაქანებისა უნდა იყოს. სხვა შემთხვევებში უმჯობესია თხილი მოიკრიფოს, გაირჩეს და გაიფინოს გასაშრობად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თხილის ნაყოფის დასაწყობებას. თხილს, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე თბილ და ნესტიან გარემოში ინახავენ, შესაძლებელია სოკო გაუჩნდეს. ობის სოკოს აღმოჩენა კი, შეუიარაღებელი თვალით სულაც არ არის ადვილი. თხილზე შესაძლოა წარმოიქმნას მავნე ნივთიერებები მიკროტოქსინების სახით, რომელიც ადამიანის ორგანიზმის სერიოზულ დაზიანებას იწვევს.

გახსოვდეთ! თხილის ნაყოფის სამომხმარებლო ვარგისიანობა და ხარისხზე ზრუნვა პლანტაციებიდან უნდა დავიწყოთ. კალენდარულ ვადებში სრულყოფილად ჩატარებული ყველა სახის აგროღონისძიება, ასევე კრეფის, შენახვისა და გაყიდვების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების დაცვა საბოლოოდ განსაზღვრავს პროდუქციის მაღალ ხარისხს.

**წყარო: სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

# ექიმები გვაფრთხილებენ, გვირჩევენ, გვთავაზობენ!

## გოგლი-მოგლი: წამალი თუ საწამლავი? – ეს უნდა ვიცოდეთ!



გოგლი-მოგლი – ამ უგემრიელესი დესერტის წარმოშობის რამდენიმე ვერსია არსებობს. ერთ-ერთი ვერსიით იგი გერმანელმა კონდიტერმა, მარფრედ კიოკენბაუერმა გამოიგონა ტკბილეულის კონსერვაციის შესახებ ჩატარებული ექსპერიმენტის დროს. სახელწოდებაც გერმანული სიტყვისგან – უდდელ-მუდდელ (არევ-დარევა) – მომდინარეობს. ცოტა ხანში გოგლი-მოგლის მასიურ წარმოებაზე პატენტი 1, 5 მილიონ მარკად შეისყიდა ერთ-ერთმა ცნობილმა კონცერნმა.

გოგლი-მოგლის ხსენებაზე ალბათ ბევრს გაახსენდა ცნობილი მულტფილმი, სადაც ექიმი აიბოლიტი ავადმყოფ ბავშვებს წამლად სწორედ გოგლი-მოგლს უნიშნავს.

მართლაც, ეს ის შემთხვევაა, როცა გემრიელი სასარგებლოცაა და ბავშვებიც სიამოვნებით მიირთმევენ.

**რატომ არის გოგლი-მოგლი სასარგებლო?**

კლასიკური გოგლი-მოგლის სარგებელი მთლიანად განპირობებულია მის შემადგენლობაში არსებული კვერცხით. კვერცხის გული შეიცავს ორგანიზმისთვის სასარგებლო მთელ რიგ ვიტამინებსა და მინერალებს, რომლებსაც სამკურნალო ეფექტიც აქვს. მასში შემავალი ძირითადი ვიტამინებია A, B3 და B12, და C; მინერალები – კალციუმი, იოდი, ფოსფორი, რკინა, მაგნიუმი, თუთია. გარდა ამისა, კვერცხის შემადგენლობაში შედის ამინომჟავები. სამკურნალო მიზნით გოგლი-მოგლს იყენებენ ხველებისას, ანგინისას, ხმის დაკარგვისას, გაციებისას. ამ დესერტის მიღება ასევე ახდენს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და სიმსივნის პროფილაქტიკას, ამაგრებს ძვლოვან ქსოვილებს და დადებითად მოქმედებს მხედველობაზე, კბილების, თმისა და ფრჩხილების მდგომარეობაზე. გოგლი-მოგლი რეკომენდებულია ასევე იმ ადამიანებისთვისაც, ვისაც არასაკმარისი წონა გააჩნია. მიუხედავად შედარებით დაბალკალორიულობისა, იგი ორგანიზმს ამარაგებს ცხოველური ცხიმებითა და ცილებით, რაც წონის მატებას უწყობს ხელს.

**საფრთხე!**

სასარგებლო თვისებებისა და სასიამოვნო გემოს მიუხედავად, გოგლი-მოგლს მთელი რიგი უკუჩვენებები და შეზღუდვები გააჩნია. პირველ რიგში იგი გამორიცხულია იმ ადამიანთა რაციონიდან, რომლებსაც კვერცხზე ალერგია აქვთ. მისი მიღებისგან თავი უნდა შეიკავონ ასევე შაქრიანი დიაბეტით, ღვიძლის დაავადებებით, ათეროსკლეროზით დაავადებულებმა; ასევე მათ, ვისაც აქვთ კუჭის, პანკრეასის ან ნაღვლის ბუშტის პრობლემა.

ბავშვებისთვის გოგლი-მოგლის მიცემა რეკომენდებულია 5 წლის ზემოთ ასაკიდან.

გოგლი-მოგლის მომზადებისას დარწმუნებული იყავით, რომ იყენებთ მხოლოდ ახალ და შემოწმებულ კვერცხს, რადგან ქათმის კვერცხი ხშირად ხდება ისეთი საშიში დაავადების გადამტანი, როგორიცაა სალმონელა. თუ კვერცხის ნაჭუჭზე რაიმე სახის დაზიანებას შეამჩნევთ, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ იგი გოგლი-მოგლისთვის, რადგან ამ დროს კვერცხი თერმულად არ მუშავდება და ბაქტერიების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება საფრთხე შეუქმნას თქვენს ჯანმრთელობას.

**ახლა კი კლასიკური გოგლი-მოგლის რეცეპტი:**

პირველ რიგში კარგად გარეცხეთ 1 ცალი ახალი კვერცხი. გულდასმით გააცალკევეთ ერთმანეთისგან ცილა და გული. გულს დაამატეთ 2 ჩ.კ. შაქარი და ხელით ათქვიფეთ რაც შეიძლება ენერგიულად, სანამ თეთრ ქაფს არ მიიღებთ. შეგიძლიათ ეს ყველაფერი მიქსერითაც გააკეთოთ, მაგრამ, ხელით მაინც სულ სხვაა...

როგორც აღვნიშნეთ, ეს მხოლოდ კლასიკური გოგლი-მოგლის რეცეპტია, რომლის საფუძველზე ძალიან ბევრი ვარიაციაა შესაძლებელი თაფლის, ხილის, რძის, ლიქიორისა და სხვა ინგრედიენტების დამატებით.

## უკვე ოფიციალურად – სოსისი და ძეხვეული სიმსივნეს იწვევს!

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი დასკვნა გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია, რომ გადამუშავებული ხორცის სისტემატური მოხმარება კიბოთი დაავადების მიზეზი ხდება. გადამუშავებაში იგულისხმება ყველანაირი ტექნოლოგიური პროცესი, რომელსაც ხორც-პროდუქტები და მათ შორის ნახევარფაბრიკატები დახლზე გამოჩენამდე გადიან. ასე რომ, სოსისი, ძეხვეული, შებოლილი, დაკონსერვებული, ცხიმში შემწვარი თუ მარილში „გამოყვანილი“ ხორცი უკვე ოფიციალურად აღიარეს საშიშ პროდუქტებად.

ძეხვეული მომხმარებელთა შორის დიდი ნდობით არც არასდროს გამოირჩეოდა და არაერთხელ გაჟღერებულა სხვადასხვა მკვლევართა ჯგუფების დასკვნა, რომ ასეთი ხორცი საშიშია ჩვენი ჯანმრთელობისთვის. მაშ რა არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ახალ განცხადებაში? ის, რომ აქამდე გაჟღერებული დასკვნები მიღებულია მტკიცებულებად და ეს საკითხი მეცნიერული კამათის საგანი აღარ არის – ამ პროდუქტის მავნებლობაზე მთელი მსოფლიო შეთანხმდა.

მაგრამ საქმე ისაა, რა ცვლილებებს გამოიწვევს ეს ინფორმაცია მსოფლიო მოსახლეობაში. ერთ მშვენიერ დღეს დედამიწის მოსახლეობა ვერ ამოიღებს რაციონიდან პროდუქტებს, რომლებსაც მთელი სიცოცხლეა სისტემატურად მოიხმარენ.

მაშ რა აზრი აქვს ისეთ დასკვნებს, რომელსაც ცხოვრებაში არავინ გამოიყენებს, რას გვაძლევს ეს კვლევა?

ნუტრიციოლოგ მარი მალაზონიას განცხადებით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია არ მოგვიწოდებს, რომ კატეგორიული უარი ვთქვათ გადამუშავებულ ხორცზე, არამედ მოვიხმაროთ ზომიერად და შეზღუდული რაოდენობით. „ოქსფორდის უნივერსიტეტის ნუტრიციოლოგთა ჯგუფისა და კიბოს კვლევის სააგენტოს დასკვნით, ადამიანები, რომლებიც სისტემატურად დღეში 50 გრამზე მეტ გადამუშავებულ ხორცს მოიხმარენ, ნაწლავის კიბოს რისკი 18%-ით ეზრდებათ. თუ შევადარებთ ადამიანებს, რომლებიც კვირაში ერთხელ მიირთმევენ ამ პროდუქტებს, იმ ადამიანთა ჯგუფთან, ვინც ყოველდღე მოიხმარს 100 გრამზე მეტს, დაავადების რისკი 42%-ით მატულობს“, – განაცხადა მალაზონიამ ტელეკომპანია „იმედის“ შუადღის ეთერში.

როგორც აღმოჩნდა, შეწვა, დამარილება, დაშაშხვა, დაკონსერვება, გადამუშავება ქიმიური დანამატებით, ისეთ ქიმიურ ძვრებს იწვევს ხორცში, რაც აზიანებს ნაწლავის კედლებს. კიბოს რისკიც აქედან



ჩნდება. რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ ყველაფრიდან?

1. ძეხვეულის მავნებლობა „მოგონილი“ ამბავი არ არის.

2. მოხარშულ ხორცს არავინ „ერჩის“ – უშიშრად მიირთვით და ბავშვსაც თამამად აჭამეთ.

3. ხორცი გრილზე შემწვარი მიირთვით. შაფურზე შემწვარი მამაპაპური მწვადიც ამ მხრივ უსაფრთხოა.

4. შეზღუდეთ ძეხვეული, მით უმეტეს ბავშვებში. ბევრ მშობელს ჰგონია, რომ რაკი ძვირი გადაიხადა ძეხვსა და სოსისში, შვილს ხარისხიანი პროდუქტი აჭამა. სოსისი და ცხიმში შემწვარი კატლეტი ხორციანი ბლინებით ჩაანაცვლეთ, რომელიც მოხარშული ხორცის ფარშისგან იქნება დამზადებული.

## ნუ გადააგდებთ ძველ, ღივებიან ნიორს – ის კიბოსგან დაგიცავთ



ღივებიანი ნიორი – ძველი ბოლქვი მწვანე ყლორტებით – ხშირად მას გამოუსადეგრად მიიჩნევენ და სანაგვე ყუთში მოისვრიან ხოლმე. მეცნიერები იუწყებიან რომ ძველი ნიორი გულისათვის სასარგებლო ანტიოქსიდანტებს გაცილებით დიდი ოდენობით შეიცავს ვიდრე ახალი. ის გამოიმუშავებს სხვადასხვა მეტაბოლიტებს და გაღვიებული ყლორტები სპეციფიურ ნივთიერებებს გამოყოფს. ძველი ნივრისგან მიღებული ექსტრაქტები ლაბორატორიულ სინჯარაში დაკვირვების შედეგად უჯრედებს აპოპტოზისგან ანუ სიკვდილისგან იცავდა.

„ამგვარად, გაღივებულ ნიორს მეტი ანტიოქსიდანტური მოქმედების პოტენციალი გააჩნია, ის თავისუფალი რადიკალების მავნე ზემოქმედებისგან იცავს თითოეულ უჯრედს თქვენს ორგანიზმში და აქედან გამომდინარე ხელს უშლის მათ ავთვისებიან ტრანსოფრმაციას“, დაასკვნეს მეცნიერებმა.

აღნიშნული კვლევის შედეგები დაიბეჭდა ამერიკის ქიმიკოსთა ასოციაციის გამოცემაში „’ჟოურნალ ოფ გრიცულტურალ ანდ ოოდ ჩჰემისტრყ“.

იონ-სან კიმი და მეცნიერ თანამშრომლები დასძენენ რომ ნიორს სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულებით ათასობით წლის წინ იყენებდა ადამიანი. მისი დადებითი ეფექტები დღესაც აქტუალურია. ქოლესტეროლის დაბალი დონე სისხლში, არტერიული წნევის დარეგულირება და გულ–სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა განვითარების პრევენცია, ეს და არა მხოლოდ, ნივრის სასარგებლო თვისებებს მიეწერება. ის წარმოადგენს იმუნოსტიმულატორს და კარცინოგენეზის პროცესს აფერხებს. ეს თვისებები ახალ ნიორს მიეწერებოდა. ღივებიანი ბოლქვები კი ნაკლებად იმსახურებდა ადამიანის ყურადღებას. ცნობილია რომ თესლზე ამოსული მცენარე, ჩითილი, ბევრ ახალ ნივთიერებას გამოიმუშავებს, მათ შორის ისეთს რომელიც ახალგაზრდა მცენარეს პათოგენებისგან იცავს. პროფესორ კიმის სამეცნიერო გუნდი მოიაზრებს რომ იგივე ეფექტი აქვს ღივებიან ნიორს. სხვა კვლევებმა აჩვენა რომ ღივებიანი ლობიო და წვრილმარცვლოვანი კულტურები ანტიოქსიდანტების უდიდეს მარაგს შეიცავს.

საბოლოო ჯამში, მეცნიერები გვირჩევენ, ნუ გადავაგდებთ დაძველებულ, ყლორტებიან ნიორს. მათ გაცილებით მეტი სარგებლის მოტანა შეუძლიათ ჩვენი ჯანმრთელობისთვის.

## უნაბი – სიცოცხლის ხე, მცენარე რომელიც სასწაულებს ახდენს



უნაბი ყველაზე მნიშვნელოვანი მცენარეა ჯანმრთელობისათვის, ის სამხრეთ აზიიდან იღებს სათავეს და სამხრეთსა და – ამდე ჯიში ჩამოყალიბდა. უნაბს სიცოცხლის ხესაც უწოდებენ, ის აქტიურად გამოიყენება ჩინურ მედიცინაში.

უნაბი საუკეთესო მკურნალია კანის, სისხლისა და ღვიძლის. მასში უამრავი სახის მინერალი და ვიტამინია.

უნაბის სამკურნალო თვისებები:

1) გამოიყენება უძილობისას

2) მდიდარია რკინითა და ფოსფორით, ხსნის ორგანიზმში სტრესსა და დაღლილობას

3) გამოიყენება ძვლების გასამკვრივებლად

4) საუკეთესო საშუალებაა წონის კონტროლისათვის

5) აძლიერებს იმუნურ სისტემას

6) ხელს უწყობს მონელების პროცესს

7) საუკეთესო საშუალებაა სისხლის დეტოქსიკაციისათვის

გაფრთხილება: უნაბის მიღება არ არის

## სიცილის იოგა – სტრესის დაძლევის საუკეთესო საშუალება! აი, რატომ უნდა ვიცინოთ ხშირად

რა სჯობს გემრიელ და გულიან სიცილს, რომელიც ხშირად მუცელსაც კი გვატკივებს ხოლმე? ალბათ, ყველა თქვენგანისთვის ნაცნობია ის მშვენიერი გრძნობა, რომელსაც გულითადი სიცილი გვანიჭებს და სწორედ ამიტომ, არც თქვენთვის იქნება ახალი აღმოჩენა თუ ვიტყვი, რომ სიცილი საუკეთესო წამალია! დიახ, სწორედ სიცილია ის უებარი საშუალება, რომელსაც შეუძლია ყველაზე დაძაბული და რთული დღეც კი გაგვიფერადოს, დაგვაძლევინოს სტრესი, დაძაბულობა და უბრალოდ გამოგვაცოცხლოს.

სიცილის თერაპია ანუ სიცილის იოგა, დღეს ძალიან აქტუალური აქტივობაა, რომელსაც სულ უფრო მეტი ადამიანი მიმართავს, რათა დაძლიოს სტრესი და დაძაბულობა. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სიცილი არამარტო განწყობას გვიუმჯობესებს, არამედ ჩვენს ჯანმრთელობაზეც დადებითად მოქმედებს. სიცილი ხსნის დაძაბულობას, ადუნებს თქვენს სხეულს, აძლიერებს იმუნურ სისტემას, სისხლის მიმოქცევას, რაც ხელს უწყობს გულის გამართულად ფუნქციონირებას. ენდორფინები, რომელიც სიცილის დროს ჭარბი რაოდენობით გამოიყოფა, თრგუნავს ტკივილს და აბედნიერებს ადამიანს.

სიცილის თერაპიას აქტიურად იყენებენ ის ადამიანები, რომლებიც დეპრესიით იტანჯებიან, რადგან ითვლება, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა მისგან თავის დასაღწევად. სწორედ სიცილი თრგუნავს სტრესისა და დაძაბულობის შეგრძნებას, მღელვარებას. თუ თქვენ ამჩნევთ, რომ ყველაფერი გაღიზიანებთ, ერთფეროვანი და მომაბეზრებელია თქვენთვის ცხოვრება, ან უბრალოდ ზედმეტად დამღლელი და დაძაბული, აუცილებლად უნდა იცინოთ ბევრი. შეიძლება ეს არასერიოზულად ჟღერდეს, მაგრამ კარგად დაფიქრდით და გაიხსენეთ, როგორი განწყობა და დამოკიდებულება გაქვთ ყველაფრის მიმართ, მას შემდეგ რაც გულიანად იცინით? სწორედ სიცილი გავსებთ პოზიტივით და გმუხტავთ დადებითად, რაც თავის მხრივ სხვა ადამიანებსაც იზიდავს თქვენკენ. ყველას უხარია ნათელ და ბედნიერ ადამიანთან ურთიერთობა, რადგან სიცილიც და მისგან გამოწვეული განწყობაც გადამდებია.

სამწუხაროდ ჩვენ, ზრდასრული ადამიანები, სულ უფრო ნაკლებად ვიცინით, ეს მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტია. სწორედ ჩვენ გვჭირდება ყველაზე მეტად სიცილი, რათა თავი უკეთ ვიგრძნოთ. დღევანდელობაში რთულია სულ კარგ განწყობაზე ყოფნა, მაგრამ თქვენ თავს



აუცილებლად უნდა აჩუქოთ ეს უებარი და სრულიად უსასყიდლო საშუალება. უყურეთ ბევრ კომედიური ჟანრის ფილმებს და გადაცემებს, გაატარეთ დრო მათთან, ვინც კარგ განწყობაზე გაყენებთ და პოზიტივით გავსებთ, ითამაშეთ თქვენს შინაურ ცხოველებთან, დაკავდით სახალისო აქტივობებით მეგობრებთან ერთად და რაც მთავარია ბევრი დრო გაატარეთ ბავშვებთან. ისინი ხომ ყველაზე თავისუფლად და ლაღად იცინიან და სწორედ მათგან უნდა ვისწავლოთ და გავიხსენოთ თუ როგორ უნდა ვიცინოთ მთელი გულით.

## სვეტიცხოვლობა

დასაწყისი მე-6 გვ.-ზე

ლისა და არა დააბრკოლებდა ქადაგებად ნინოს და მოწაფეთა მისთა“. ერთხელ მან ებრაელთა დევნისაგან ფარულად დაიხსნა აბიათარ მღვდელი, ასული მისი სიდონია და სხვა ქრისტიანები.

გავიდა ხანი. ერთხელ ნანა დედოფალი დასნეულდა და წმიდა ნინოს ლოცვამ იგი უეჭველი სიკვდილისაგან იხსნა. დედოფლის განკურნების შემდეგ მირიან მეფე ქრისტეს სჯულით დაინტერესდა და ურიაყოფილ აბიათარს ხშირად ეკითხებოდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებზე. აბიათარმა მას ნებროთის წიგნი წააკითხა. მეფეს ქრისტეს სჯულზე მოქცევის სურვილი გაუჩნდა.

ერთ დღეს მირიანი სანადიროდ წავიდა თხოთის მთაზე. მოუხდა უჩინო მტერი, გულში კვლავ ჩაუდო კერპთა და ცეცხლის სიყვარული და მახვილით მოწყვეტა ქრისტიანეთა. მან გადაწყვიტა მცხეთაში დაბრუნებისთანავე ქრისტიანთა განდევნა და ნინოს მოკვდინება. მთაზე ასულ მეფეს მზე დაუბნელდა, უკუნი ღამე ჩამოწვა. შეშინებულმა მირიანმა კერპებს შესთხოვა დახმარება, მაგრამ ისინი უგრძნობი იყვნენ მლოცველის მიმართ. მაშინ მეფემ ჯვარცმულ ღმერთს შეავედრა თავი და მოხდა სასწაული: განათდა, მზე გამობრწყინდა. მირიანმა განიპყრნა ხელნი აღმოსავლისაკენ და თქვა: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა, უფალი ყოველთა ზედა უფლებათა, ღმერთი, რომელსა ნინო იტყვის“. მცხეთაში დაბრუნებული მეფე ნინოსთან მივიდა, მისი რჩევით მეორე დღესვე მოციქულნი წარავლინა საბერძნეთს კონსტანტინე მეფესთან და სთხოვა, მღვდლები გამოეგზავნა ნათლისღებისთვის.

სანამ კონსტანტინეპოლით გამოგზავნილი მღვდლები ჩამოვიდნენ, მირიან მეფემ ეკლესიის აშენება გადაწყვიტა სამეფო ბაღში. ხუროებმა ნაძვის ხისგან შვიდი სვეტი დაამზადეს. ექვსი აღმართეს, ხოლო მეშვიდე, ყველაზე დიდი, ადგილიდან ვერ დაძრეს. წმიდა ნინო მოწაფეებთან ერთად ლოცვად დადგა. გამთენიისას ზეცით გარდამოხდა ნათლით შემოსილი, „ყოვლად ცეცხლითა მობლარდნილი“ ჭაბუკი, ხელი მოჰკიდა სვეტს და აღამაღლა. სვეტი ღვთივ გაბრწყინდა და თორმეტი წყრთის სიმაღლეზე გაჩერდა ჰაერში. მთელი მცხეთა დაიძრა ნათლის სვეტის თაყვანისცემად, მის მიახლოებაზე ავადმყოფები იკურნებოდნენ, ბრმებს თვალები ეხილებოდათ, დავრდომილები აღსდგებოდნენ.

## საუკუნის დაავადება – უმკურნალეთ ასთმას მარტივად

ასთმას სპეციალისტები საუკუნის დაავადებას უწოდებენ. ალტერნატიული მედიცინის მიმდევრებმა ამ დაავადებისთვისაც მოძებნეს ბუნებრივი ინგრედიენტები, რომლებიც ჯანმრთელობისთვის ყოველგვარი ზიანის გარეშე დაგეხმარებათ ასთმის შეტევების სიმწვავისა და სიხშირის შემცირებაში.

დაიწყეთ დღე ვიტამინებით. მოიმზადეთ გრილი ლიმონიანი წყალი. ეს სასმელი მთელი დღის განმავლობაში საჭირო რაოდენობის წყლით მოგამარაგებთ.

**ინგრედიენტები:**

წყალი (რამდენიც გინდათ).

ლიმონი (იმდენი, რამდენი მჟავიანობის ატანაც თქვენს ორგანიზმს შეუძლია).

კოჭა (სურვილისამებრ).

**მომზადების წესი:** ლიმონი დაჭერით და მოათავსეთ წყალში. თუ სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ კოჭაც დაამატოთ. კოჭა ანთებითი პროცესების დაძლევაშიც დაგეხმარებათ.

ზემოაღნიშნულ ინგრედიენტებს შეგიძლიათ, ასევე, დაამატოთ: ანანასი. კიტრი. კაიენის წიწაკა.კურკუმა.

**გაითვალისწინეთ:** ზოგადად, ხალხური რეცეპტების გამოყენებისას გამოიჩინეთ სიფრთხილე, განსაკუთრებით, თუ ალერგიული ხართ ან გაქვთ მიდრეკილება, დაიცავით მითითებული დოზები და მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა.

საერთოდ, კარგად განსაზღვრეთ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა – გჭირდებათ თუ არა ამა თუ იმ ხალხური რეცეპტის გამოყენება. კარგი იქნება, თუ



ნებისმიერი რეცეპტის გამოყენების წინ კონსულტაციისთვის მკურნალ ექიმს მიმართავთ.

ერთმა და იმავე რეცეპტმა სხვადასხვა პაციენტის ორგანიზმზე შეიძლება განსხვავებულად იმოქმედოს.

# მეშვიდე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული



მიმდინარე წლის 29 სექტემბერს ქ. ქუთაისში ჩატარდა ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის აკაკი კაკაურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეშვიდე საერთაშორისო ტურნირი კრივში.

ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ უკრაინის, რუსეთის, თურქეთის, სასომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ახალგაზრდა მოკრივეები. 49 კგ. წონით კატეგორიაში ბრწყინვალედ იასპარეზა ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოკრივემ გიორგი ლაფერაშვილმა. ფინალამდე მან ჩვეული ოსტატობით დაამარცხა ქუთაისელი, აზერბაიჯანელი და თურქი მოკრივეები. ფინალურ ირთაბრძოლაში გიორგი დაუპირისპირდა სასომხეთის ჩემპიონს არარატ მამიკონიანს.

მეტად დაძაბული და უშეღავათო ბრძოლა დამთავრდა ჩვენი ჩემპიონის გამარჯვებით. (მწვრთნელები ფარნაოზ მაისურაძე და ზურაბ ტორსტიაშვილი). მომდევნო საერთაშორისო ტურნირი კრივში გაიმართება ოქტომბრის ბოლოს ტურისტულ ქალაქ მესტიაში, სადაც მონაწილეობას მიიღებს ჩვენი თანამემამულე გიორგი ლაფერაშვილი. ვუსურვოთ წარმატებები ჩვენს ახალგაზრდა მოკრივეს.

**დალი ტატულიშვილი**

## მილოცვა

**ალმატის საჯარო სკოლის პედაგოგს, ქალბატონ მანანა მუსაშვილს!**

**ძვირფასო მასწავლებელო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებას თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.**

**თქვენი კეთილის მსურველი**
**ნინო ბაწილაშვილი**

# ეს პრაქტიკული და მარტივი მეთოდი თქვენი უთოს დამწვარ ზედაპირს მომენტალურად გაასუფთავებს



დიასახლისებისთვის კარგად ნაცნობია, როცა უთოს ძირი მიეწვება. ყველამ კარგად ვიცით, როგორი სასჯელია ამ დროს უთოობა. მოულოდნელად გაჩენილი ლაქა, გაფუჭებული ტანსაცმელი და უსიამოვნო სუნი...

ეს არცერთ ჩვენგანს არ გვჭირდება. მიჰყევით ჩვენს რჩევებს და ეს პრობლემა აღარასოდეს შეგაწუხებთ. ამოირჩიეთ მეთოდი, რომელიც უფრო მარტივად მოგეჩვენებათ და შეუდექით საქმეს.

### მარილი უთოს ზედაპირის გასაწმენდად

1. საუთოებელ მაგიდაზე დააფინეთ ბამბის ქსოვილი ან პირსახოცი – ისეთი რამ, რისი გადაგდებაც არ დაგენანებათ.
2. ქსოვილზე დაყარეთ ერთი სუფრის კოვზი მსხვილად დაფქული მარილი. განსაკუთრებით ეფექტურია ზღვის მარილი.
3. ჩართეთ უთო მაქსიმალურ ტემპერატურაზე, მთლიანად გამოუშვით ორთქლი.
4. აუთოეთ მარილმოყრილი ქსოვილი ძლიერი დაწოლის გარეშე და რამდენიმე წუთში დატკბით შედეგით. უთოს ზედაპირი სარკესავით ბზინვარე იქნება.

### მარილისა და ძმრის ნარევი

1. ძმარი და მარილი თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთს და დადგით საშუალო ცეცხლზე, სანამ მარილი სრულიად არ გაიხსნება. ძმარი არ უნდა ადუღდეს. სუნი, რა თქმა უნდა, სასიამოვნო არ იქნება, მაგრამ ამ ხსნარით გაწმენდილი უთოს ზედაპირი ამად ღირს.
2. გააგრილეთ მიღებული ხსნარი იქამდე, რომ თითებს არ წვავდეს. უმჯობესია, რეზინის ხელთათმანებით დაიცვათ ხელები. ძველი ჩვარი დაასველეთ ხსნარში და ფაქიზად გაწმინდეთ უთოს ზედაპირი.
3. ამის შემდეგ გაწმინდეთ ზედაპირი სუფთა ჩვრით. ახლა ჩართეთ უთო და ზედაპირის საბოლოოდ გაწმენდისთვის გააუთოეთ ძველი ქსოვილი.

### ქიმიური საწმენდი საშუალებები

1. მთლიანად დაცალეთ წყლისგან უთო.
2. ჩართეთ უთო ბამბის ქსოვილის უთოობის რეჟიმზე.
3. აიღეთ სქელი ბამბის ქსოვილი, დააფინეთ საუთოებელ მაგიდაზე და ზედ დაასხით უთოს ზედაპირის გასაწმენდი სითხე რეკომენდებული რაოდენობით. უთოს გამწმენდი საშუალებები სხვადასხვაგვარია: ზოგიერთი მათგანი უნდა დაესხას ქსოვილზე, ხოლო ზოგი – პირდაპირ უთოს ზედაპირზე.
4. ქსოვილი აუთოეთ წრიული მოძრაობებით, შემდეგ გამორთეთ და დაელოდეთ უთოს გაგრილებას. შეამოწმეთ ორთქლის გამოსაშვები ნაპრალების სისუფთავე და აუცილებლობის

შემთხვევაში გაასუფთავეთ დარჩენილი საწმენდი საშუალებებისგან ყველა ნაპრალი.

### როგორ გავწმინდოთ ორთქლის გამოსაშვები ნაპრალები

1. ნაპრალები მარტივად გაიწმინდება ძმრისა და მარილის ხსნარში დასველებული ყურის საწმენდი ჩხირით. შემდეგ კი სუფთა ჩხირით მოაშორეთ ძმრიანი სითხე.

### ზედაპირის გაწმენდის სხვა მეთოდები

1. ერთ-ერთი პოპულარული მეთოდია – უთოს ზედაპირის სოდით გაწმენდა. გახსენით სოდა წყალში პასტის კონსისტენციის მიღებამდე. მიღებული მასა წაუსვით ჩვარზე და გაუსვით მასზე უთო. შემდეგ გაწმინდეთ ზედაპირი სუფთა ჩვრით.
2. თანაბარი რაოდენობით წყლისა და ძმრის ხსნარი ჩაასხით უთოს რეზერვუარში, შემდეგ გააცხელეთ უთო. რამდენიმე წუთის განმავლობაში აუთოეთ ძველი ბამბის ქსოვილი. ამის შემდეგ დაცალეთ რეზერვუარი ხსნარისგან, ზედაპირი კი სუფთა პირსახოცით გაწმინდეთ.
3. ცოტაოდენი კბილის პასტა წაუსვით უთოს ზედაპირზე, განსაკუთრებით, ჭუჭყიან ადგილებზე. შემდეგ გაწმინდეთ სუფთა ჩვრით. ჩართეთ უთო, გააცხელეთ და გააუთოეთ ძველი ქსოვილი.

# 7 რჩევა სკოლის მოსწავლის სამეცადინო კუთხის მოსაწყობად



სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის მოსწავლეების მშობლებს ძალიან ბევრ საკითხზე უწევთ ზრუნვა: რომელი სახელმძღვანელოები და ზურგჩანთა შეიძინონ შვილისთვის, რა დაუჯდებათ საკანცელარიო ნივთები, სად შეიძინონ ტანსაცმელი, როგორ ასწავლონ ბავშვს ფულის სწორად დახარჯვადა ა.შ., მაგრამ ამასთან ერთად, ერთი ძირითადი საკითხი შეიძლება გამორჩეთ, როგორ მოაწყონ სამეცადინო კუთხე.

### როგორი მაგიდა უნდა შეიძინოთ პირველკლასელის სამეცადინო კუთხისთვის?

მაგიდის შერჩევისას ძალიან მნიშვნელოვანია მისი ზომისა და დიზაინის გათვალისწინება, რადგან სწორედ სამეცადინო კუთხის კომფორტულობა განსაზღვრას ბავშვის ხერხემლის მდგომარეობას, მხედველობას და სწავლის სურვილს.

მაგიდის შერჩევისას აუცილებლად თან წაიყვანეთ მოსწავლე, რათა მაგიდა მისი სიმაღლის შესაბამისად შეარჩიოთ. ბავშვს მაგიდა გულმკერდამდე უნდა წვდებოდეს , ისე, რომ იდაყვის დადება მაგიდაზე უპრობლემოდ შეეძლოს. მაგიდის სიგანე 60-80 სმ უნდა იყოს, ხოლო სიგრძე 120-160 სმ. ყოველ წელს რომ არ მოგიწიოთ მაგიდის გამოცვლა Vივუს.გე გირჩევთ შეიძინოთ მაგიდა, რომლის ზომის ცვლილება შესაძლებელია. გაითვალისწინეთ, რომ კომპიუტერის და სამეცადინო მაგიდა სხვადასხვა უნდა იყოს, რათა ბავშვს არ მოუწიოს მონიტორთან ახლოს მეცადინეობა. თუკი ოთახი ორი მაგიდისთვის არც ისე დიდია, შეარჩიეთ კუთხის მაგიდა, რათა ერთ მხარეს კომპიუტერი მოათავსოთ, მეორე მხარე კი მოსწავლემ სამეცადინოდ გამოიყენოს.

### ოთახის რა ნაწილში უნდა განათავსოთ სამეცადინო მაგიდა?

იდეალურ შემთხვევაში სამეცადინო მაგიდა ფანჯრიდან მარცხნივ, ზურგით ფანჯრისკენ უნდა იდგას ან მარჯვნივპირით ფანჯრისკენ. პირველი ვარიანტი უკეთესია, რადგან ბავშვი არ დაიწყებს ფანჯარაში ყურებას და ყურადღებაც არ გაეფანტება. პატარა ოთახის შემთხვევაში კი შეგიძლიათ ფანჯრის რაფა გააფართოვოთ და ის გამოიყენოთ სამეცადინო მაგიდად.

### როგორი სკამი უნდა შეარჩიოთ?

სკამის შერჩევა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მაგიდის. სკამი უნდა შეარჩიოთ ისეთი, რომ არ იყოს ძალიან მაღალი და ბავშვს შეეძლოს ფეხების იატაკზე სწორი კუთხით დადგმა. ძალიან კარგი გამოსავალია ისეთი სკამის შეძენა, რომელსაც რეგულირებადი სიმაღლე აქვს. სკამის ზურგი მაქსიმალურად მორგებული უნდა იყოს, ბავშვი უნდა წვდებოდეს იატაკს და ზურგიც სწორად ჰქონდეს.

### სპეციალური მოთხოვნები ავეჯის მოდელისადმი

ავეჯის შერჩევისას აუცილებელია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინება:

- სასურველია ავეჯი იყოს ნატურალური მასალისგან შეკერილი,
- ჰქონდეს ხარისხის მანიშნებელი სერთიფიკატი და
- არ შეიცავდეს ნივთიერებებს, რომელთაც შეუძლიათ ავნონ ბავშვის ჯანმრთელობას.

ძალიან კარგი იქნება თუ ავეჯი ნატურალური მასალისგან იქნება აწყობილი, მაგალითად ხისგან.

სამეცადინოდ იდეალური გარემო.

მეცადინეობის პროცესში, ძალიან მნიშვნელოვანია განათება. გარდა იმისა, რომ სწორად შერჩეული განათება აუცილებელია ჩვენი მხედველობისთვის, ის მეტ კომფორტს და მყუდრო გარემოს ქმნის. იმისთვის, რომ ბავშვს არ დაუზიანდეს მხედველობა უნდა გამოიყენოთ სინათლის არა ერთი, არამედ რამოდენიმე წყარო , მაგ. ოთახის ძირითადი განათება და მაგიდის სანათი ან ე.წ. ბრა.

ბავშვი, რომელიც მხოლოდ მაგიდის სანათით განათებულ ოთახში მეცადინეობს ყოვლად დაუშვებელია მხედველობისთვის. ასე თვალი მალე იღლება და შეიძლება მხედველობაც გაუარესდეს.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს სამუშაო მაგიდის ორგანიზებაში?

ძალიან კარგია თუკი სამეცადინო მაგიდას აქვს უჯრები, რადგან უჯრებში შენახული სახელმძღვანელოები და საკანცელარიო ნივთები მეტი წესრიგის შეგრძნებას ტოვებს. თუკი მაგიდას არ აქვს უჯრები ყველა საჭირო ნივთი მაგიდაზე უნდა დავალაგოთ ისე, რომ მეცადინეობისას მოსწავლე ადვილად მიწვდეს. თუკი გყავთ პირველკლასელი ეცადეთ დაეხმაროთ მაგიდის ორგანიზებაში, დაულაგოთ რვეულები ერთად, ფანქრები ერთად და ა.შ. აუცილებელია თავიდანვე მივაჩვიოთ ტერიტორიის დალაგებას და ყველაფრის საკუთარ ადგილას დაბრუნებას.

დღის განრიგის შემუშავება.

გაწერილი დღის განრიგი ეხმარება მოსწავლეს მოახდინოს დროის მენეჯმენტი. გადაანაწილოს დრო სამეცადინოდ, სათამაშოდ, დასასვენებლად და ა.შ.

პირველკლასელის ცხოვრებაში კი განრიგის შემუშავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მის ცხოვრებაში ბევრი სიახლეა, ყველაფერი იცვლება და ის აუცილებლად უნდა შეეჩვიოს ახალ ცხოვრების სტილს. კარგი იქნება თუკი პირველი ორი თვის განმავლობაში ვიზუალურ განრიგს შეუდგენთ. შეიძინეთ ფერადი ფურცლები, დაფა და გააფორმეთ დღის გრაფიკი, ასე პირველკლასელი უკეთ დაიმახსოვრებს და შეეჩვევა სიახლეებს.

# დაბინძურებულ ჰაერს შეიძლება კავშირი ჰქონდეს ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან



შვედეთის უმეოს უნივერსიტეტის მკვლევრების ბოლო კვლევების მიხედვით, ჰაერის დაბინძურება შეიძლება უკავშირდებოდეს ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს.

ჟურნალ BMJ Open-ში ამ თვეში გამოქვეყნებული კვლევა არის პირველი ძლიერი მტკიცებულება დაბინძურებულ ჰაერსა და ბავშვების ფსიქიატრიულ მდგომარეობას შორის არსებულ კავშირზე. ესაა წინა კვლევის გაგრძელება, რომლის მიხედვითაც ჰაერის დაბინძურება უკავშირდება ფსიქიკურ დაავადებებს და ვარაუდობს, რომ ჰაერის დაბინძურების სულ მცირე ზრდასაც კი შეუძლია დრამატულად იმოქმედოს ბავშვის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

მკვლევრებმა შვედეთში 500 000-ზე მეტ ბავშვს შორის გადაამოწმეს ჰაერის დაბინძურების ზემოქმედება და შეადარეს მათთვის გაცემულ ექიმის დანიშნულებებში დაფიქსირებულ ზემოქმედების დონეებს. მათ აღმოაჩინეს, რომ ბავშვები, რომლებიც ცხოვრობდნენ აზოტის დიოქსიდის ანუ 2-ის, ჰაერის საშიში დამაბინძურებლის, უფრო მაღალი კონცენტრაციის მქონე ადგილებში მეტად მიიღებდნენ გრძელვადიან ფსიქიკურ დაავადებებთან დაკავშირებულ დანიშნულებებს.

### ჰაერის დაბინძურების რეიტინგში საქართველო პირველ ადგილს იკავებს

კვლევა ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამომწვევად არ ასახელებს ჰაერის დაბინძურებას, მაგრამ აჩვენებს კორელაციას ამ ორს შორის. მკვლევრების მიხედვით, მათ აღმოაჩინეს, რომ დაბინძურების შემცირებამ შეიძლება ბავშვებს შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები შეამციროს.

„შედეგებს იქამდე მივყავართ, რომ ჰაერის დაბინძურების უფრო მცირე კონცენტრაციამ, უპირველეს ყოვლისა, ტრანსპორტისგან, შეიძლება ბავშვებსა და მოზარდებს შორის ფსიქიატრიული აშლილობები შეამციროს“, უამბობს ანა უდინი, უმეოს უნის მკვლევარი და კვლევის ხელმძღვანელი, The Guardian-ს.

მთელ მსოფლიოში ჰაერის დაბინძურება ჯანმრთელობის მთავარი პრობლემაა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, ყოველ წელს პერმანენტულად, დაახლოებით, 4 მილიონი ადამიანი იღუპება გარე ჰაერის დაბინძურებისგან. ა.შ.შ-ში დაბინძურებული ჰაერი ყოველწლიურად, დაახლოებით, 200 000 ადამიანს იწირავს. მაშინ, როცა ჰაერის დაბინძურება, ძირითადად, დაკავშირებულია ხოლმე ასთმასა და გულის დაავადებებთან, მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2-ისა და 2.5-ის მსგავსი დამაბინძურებლები შეიძლება იწვევდნენ შფოთვისა და დეპრესიის მსგავს ფსიქიკურ აშლილობებს.

ა.შ.შ-ში მცირეშემოსავლიანთა კვარტლებსა და ფერადკანიანთა თემებში ხშირად ვაწყდებით ე.წ. „სუპერ-დამაბინძურებლების“ – ქვეყნის უსაშინლესი ინდუსტრიული დამაბინძურებლების, მაღალ კონცენტრაციებს. ამ კვარტლებში მცხოვრები ადამიანები არიან დაუცველნი ჰაერის დამაბინძურებელი ნაწილაკების არათანაზომიერი გადანაწილებისა, რაც ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებულ მათს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის აშლილობებს უფრო დიდ საფრთხეს უქმნის.

მიუხედავად იმისა, რომ უმეოს უნის კვლევები გვიჩვენებენ, რომ ჰაერის მაღალი დაბინძურების მქონე ქვეყნებში მცხოვრები ბავშვები არიან დიდი საფრთხის ქვეშ – განუვითარდეთ ფსიქიკური პრობლემები, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ საჭიროა მეტი მუშაობა იმის გასაგებად თუ ზუსტად რა კავშირი აქვს ჰაერის დაბინძურებას ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან.

ავტორთა თქმით „ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მძიმე გავლენა საზოგადოებაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს“.

**წყარო:** younggreens.ge

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდება.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86